პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 54, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 11 ნოემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 261 (2304)

დღიური

- ლოიდ-ჯორჯის განცხადება ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის შესახებ.
- მთავრობის კრიზისი რუმინეთში.
- ავსტრიის პარლამენტმა მიიღო კანონი ამნისტიის შესახებ.
- ელზასელ ავტონომისტებს—რიკლენს და როსეს ჩამოართვეს დეპუტატის რწმუნებები.
- პორტუგალიაში შესდგა ახალი მთავრობა.
- განაჩენი ობრეგონის მოკვლის საქმეზე.
- გარდაიცვალა ცნობილი მომღერალი ბატისტინი.
- ამხ. სოლოვიოვის დაკრძალვა.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკასთან არსებულ
სასოფლო თათბირის პირველი პლენუმი
გადადებულია

პლენუმი შესდგება პროფსაბჭოს მცირე დარბაზში
ამ წ. 12 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე

ჩამოსულ დელეგატებს სთხოვენ დაესწრონ საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებასთან გამართულ თათბირს, სასახლის წითელ დარბაზში.

მედგარი შეტევისათვის მარჯვნივ

(თბილისის კომიტეტის პლენუმის გამო)

დღეს ჩვენს გაზეთში მოთავსებულია საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია მემარჯვენე საფრთხის შესახებ ჩვენს პარტიაში. მემარჯვენე გადახრის საკითხი უკანასკნელ ხანებში, უმთავრესად კი კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესის შემდეგ, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. საერთო პირობები, რომელიც საკავშირო კომპარტიაში ჰქმნის ნიადაგს ზოგიერთი ელემენტების მერყეობისა და უიმედობისათვის, რომელიც ბადებს ლიკვიდატორულ სულისკვეთებას ამ ელემენტებს შორის, უკვე საყოველთაოდ ცნობილია. ესაა ის ბუნებრივი სიძნელენი, რომელნიც წარმოიშვა ჩვენს წინაშე რეკონსტრუქციის ამოცანებთან დაკავშირებით. ამას თან დაემატა კაპიტალისტური ელემენტების გამოცოცხლება სოფლად და ქალაქად და კლასიური ბრძოლის გამძაფრება.

ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში კი ყოველივე ამის გარდა არის სპეციფიური ადგილობრივი პირობები, რომელნიც ყოველთვის აწვევდნენ მავნე გადახრებს პარტიის სწორი ხაზიდან. ჩვენ ვლაპარაკობთ თავისებურ ეროვნულ პირობებზე და ნაციონალისტური პარტიების მემკვიდრეობითი გავლენაზე, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ აღმოფხვრილი არაა, რამდენადაც განაგრძობენ არსებობას და ბრძოლას პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები. ამ პირობების მავნე შედეგი დღესაც მნიშვნელოვნად საგრძნობია არა მარტო ჩვენს საერთო მუშაობაში, არამედ თვით პარტიის რიგებშიაც კი.

აქედან წარმოიშობა უსასოების ჰანგები, წუწუნი იმის შესახებ, რომ ჩვენს ძალებს აღემატება ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის იმ ტემპით გატარება, როგორც ეს დასახულია მე-XV ყრილობის მიერ, ეს პირობები კვებავს აზრებს იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია განუხორციელებელი ოცნებაა; რომ საჭიროა მორიდებით მოვეკიდოთ კულაკებს, საჭიროა გადაისინჯოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, მისი შერბილების მიზნით და სხვა.

ამიტომ აუცილებელია სასტიკი იერიშის მიტანა როგორც მემარჯვენე გადახრის, ისე მასთან შემარიგებლობის პოზიციის წინააღმდეგ.

მთელი ჩვენი სააგიტაციო და საპროპაგანდო აპარატი უნდა ამოძრავდეს იმისათვის, რომ გაშუქებულ იქნას პარტიის მასებისათვის მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლის აუცილებლობა და მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის საკითხს პარტიის ორგანოების გადარჩევის დროს. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ თბილისის ორგანიზაციის ბიუროების არჩევნები ამ მხრივ არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თბილისის კომიტეტის პლენუმმა ამ გარემოებას უკვე მიაქცია ყურადღება. აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ დანარჩენ ორგანიზაციებმაც.

ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ უნდა გადაიქცეს ჩვენი შინაპარტიულ მუშაობის ყოველდღიურ ამოცანად, ის უნდა შეიჭრეს ჩვენს პარტიულ ყოფა-ცხოვრებაში. ადგილი აღარ უნდა ექნეს გულგრილ განწყობილებას მემარჯვენე გადახრის და მასთან შეთანხმების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი წინსვლის, ჩვენი ზრდისა და საბოლოო გამარჯვების საწინდარი პირველყოვლისა საკუთარი რიგების ფოლადისებური სიმტკიცე და მთლიანობაა ლენინის დროშის ქვეშ. ამით იმარჯვებდა ბოლშევიზმი წარსულში და ამითვე განაგრძობს ის სვლას ახალ გამარჯვებათა გზით. ლენინურ მთლიანობისაკენ და სიმტკიცისაკენ მოუწოდებს თბილისის კომიტეტი პარტიის ყველა წევრებს.

თვალსაჩინო გაკვეთილი

ყველას კარგად ახსოვს ვოლინის ვოევოდა იუზეფსკის გამოსვლა. ყველას ახსოვს იუზეფსკის უტიფარი სიტყვა, რომელიც მიმართული იყო უკრაინის მუშებისა და გლეხების და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის წინააღმდეგ. ყველას ახსოვს, რომ ეს ვაჟბატონი, რომელიც, რა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ, ახერხებდა ერთსა და იმავე დროს ყოფილიყო როგორც პოლონეთის ოხრანკის აგენტი, ისე „უკრაინის დამოუკიდებლობის" მოციქული, წინადადებას იძლევა, საბჭოთა კავშირს „მოსწყდეს" საბჭოთა უკრაინა და მოხდეს მისი ასიმილიაცია „პოლონეთის სახელმწიფოებრივობის ფარგლებში"; ამასთან ის არაჩვეულებრივი გულმოდგინეობით სცდილობს დაასურათოს „პოლონეთის სახელმწიფოებრივობის" ყველა მშვენიერება და მიმზიდველობა. „უკრაინა იარსებებს", უკრაინის კულტურა დაამშვენებს პილსუდსკის ფაშისტურ პოლონეთსო, — ამაყად გაიძახოდა ეს, უკაცრავად პასუხია, „გეტმანი".

მოვლენებმა დიდხანს არ დაიგვიანეს და ისეთი საფუძვლიანი გაკვეთილი მისცეს როგორც „გეტმანს", ისე მის ზურგს უკან მდგომ უფრო „დიდ" პიროვნებებს, რომ საეჭვოა მათ როდესმე დააღწიონ თავი მომხდარ სკანდალს.

სულ რამდენიმე კვირა გავიდა იუზეფსკის „პატრიოტული" გამოსვლის შემდეგ და ლვოვში იუზეფსკების ჭეშმარიტი ბუნება სავსებით გაშიშვლებულად მოგვევლინა. პოლონეთის „სახელმწიფოებრივობისა და დამოუკიდებლობის" ათი წლის თავის გამო პოლონეთის ფაშიზმმა ლვოვში მოაწყო საშინელი სისხლის ღვრა. მოხდა უკრაინელთა ნამდვილი დარბევა, რამდენიმე ათეული უკრაინელი მოჰკლეს და დასჭრეს, რამდენიმე ასეული დააპატიმრეს. პოლონეთის ფაშიზმის „ნაციონალური პოლიტიკა" ისეთივე აღმოჩნდა, როგორც ის „ნაციონალური პოლიტიკა", რომელსაც კიშინიოვში ატარებდა სისხლიანი ნიკოლოზ მეორე. ლვოვში მომხდარმა დარბევამ ბრმასაც კი დაანახვა, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში მაღალფარდოვანი ფრაზა — „უკრაინა იარსებებსო".

უკრაინის ასიმილიაცია — არის ასიმილიაცია ტყვეებით. პოლონეთის სახელმწიფოებრივობის ფარგლები უკრაინული პრესისა და კულტურული დაწესებულებების ბორკილია, აღვირახსნილი და უსინდისო ნაციონალური ჩაგვრა, თავაშვებული ფაშისტური ტერორი, დასავლეთ უკრაინის მშრომელთა და ყველა პატიოსანი მუშისა და გლეხის აბუჩად აგდება, დევნა და მათი საპყრობილეებში ჩაყრა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მთელ ამ ამბებში უკრაინული ბურჟუაზია მოქმედებდა და მოქმედებს სავსებით შეთანხმებული პოლონეთის რეაქციასთან.

საკმაოა დავაკვირდეთ უკრაინული ბურჟუაზიული პარტიის „უნდო"-ს (უკრაინული სახალხო - დემოკრატიული გაერთიანება) კაენისებურ როლს და უკრაინელ ბურჟუაზიული დეპუტატების საქციელს სეიმში, რათა დავრწმუნდეთ, რომ „უნდო"—ფაშისტები შეხმატკბილებულნი არიან ვარშავის ფაშისტებთან. მხოლოდ დასავლეთ უკრაინის კომპარტია და პოლონეთის კომპარტია იბრძოდნენ და იბრძვიან დასავლეთ უკრაინის მშრომელთა ძირითადი საჭიროებებისათვის, მათი კლასობრივი ინტერესებისათვის და ნამდვილი რევოლიუციონური განთავისუფლებისათვის.

ეგრედწოდებული „თავისუფლება უკრაინის ნაციონალური კულტურისა" განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა ლვოვის ამბების დროს. ამ „თავისუფლების" სახელით საჭირო გახდა ვეებერთელა ქალაქში სამხედრო წესების გამოცხადება, მისი ავსება ცხენოსანი და ქვეითი პატრულებით და ყოველი გამვლელ-გამომვლელის დაპატიმრება. „უკრაინის ნაციონალური კულტურის" პოლონეთში არსებული დედა-ქალაქი სინამდვილეში გადაიქცა უსასტიკესი ნაციონალური ჩაგვრის და პოლონეთის ფაშისტების მიერ მოწყობილი შოვინისტური რბევის კერად.

განა „თვით" მარშალმა პილსუდსკიმ არ აღუთქვა ნაციონალურ უმცირესობებს „უფლებები" და უსაზღვრო „ნაციონალური მშვიდობიანობა"? განა ეხლა, როდესაც მან სისხლით მორწყო ლვოვი, ნამდვილი „ნაციონალური კულტურა" არ უჩვენა „უცხო ტომის" ხალხს? მხოლოდ გაუსწორებელ ბოროტგამზრახველებს შეუძლიათ ეხლა იმის უარყოფა, რომ მარშალი სავსებით „ევროპიული," სავსებით ჰუმანური ყოფაქცევისაა.

ლვოვის ამბები ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ, რომ ბურჟუაზიას სრულებით არ ძალუძს გადასჭრას ნაციონალური საკითხი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა პოლონეთში, რომლის სახელმწიფოებრივი სისტემა ემყარება შეუწყვეტელ ნაციონალურ ჩაგვრას და ნაციონალურ უმცირესობათა აბუჩად აგდებას.

განა განსაცვიფრებელი არ არის ის, რითაც ბატონი იუზეფსკი და ძმანი მისნი ფიქრობენ საბჭოთა უკრაინის მშრომელთა „მოხიბვლას"? განა ვერ ხედავენ უკრაინის მშრომელნი ლვოვის „ჩირაღდნის" სისხლისფერ შუქს? სწორედ ახირებული ხალხია უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის მუშები და გლეხები, რომელთაც არ სურთ, რომ მათ მიწა-წყალზედაც ასეთი ამბები დატრიალდეს, როგორიც ლვოვში დატრიალდა.

მაგრამ იუზეფსკების, პილსუდსკების და მთელი საერთაშორისო ბურჟუაზიის საუბედუროდ საბჭოთა კავშირში და უკრაინის ს.ს. რესპუბლიკაში ნამდვილად გადაჭრილია ნაციონალური საკითხი. საბჭოთა კავშირში ადგილი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რაიმე ნაციონალურ დარბევას. უკრაინის ს.ს. რესპუბლიკაში ჩვენ ვხედავთ ჭეშმარიტ ნაციონალურ კულტურას მუშებისათვის და მშრომელი გლეხებისათვის, ნაციონალურ კულტურას სოციალისტურ ნიშნან ქვეშ. ეს ისე განსხვავდება პოლონეთის ფაშისტების ნაციონალური პოლიტიკისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. სწორედ ამიტომ უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის მშრომელმა მასებმა პირველი ცნობების მიღებისთანავე ვოლინის ვოევოდის გამოსვლის შესახებ, ერთსულოვანი ენერგიული პროტესტი განაცხადეს იუზეფსკის წინააღმდეგ, ისეთი მკაცრი პროტესტი, რომელიც აღვირახსნილ ავანტიურისტებს დაუკარგავს ასეთი გამოსვლის ხალისს. სწორედ ამიტომ ადგილი ჰქონდა მეორე თვალსაჩინო კონტრასტსაც. მაშინ, როდესაც პოლონეთის პოლიცია და ჟანდარმერია თოფებს უშენდა უკრაინელ დემონსტრანტებს, საბჭოთა უკრაინის მშრომელნი ემზადებოდნენ პლიერი მრავალრიცხოვანი დემონსტრაციებისათვის საბჭოებისა და კომუნისტური პარტიის წითელი დროშის ქვეშ. ლვოვის დარბევის გმირები კიდევ ბედავენ მიმართონ უკრაინის მუშებსა და გლეხებს და შესთავაზონ მათ „ნაციონალური კულტურისა და დამოუკიდებლობის" მშვენიერებანი. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო საზიზღარი და უბადრუკი სურათი? ფაშისტ დამრბევთა სისხლისმღვრელი საქმენი საგმირონი ყოველთვის იწვევდნენ და გამოიწვევენ საბჭოთა უკრაინის მშრომელთა გულში მრისხანე პროტესტს და მწვავე სიძულვილს, ხოლო დასავლეთ უკრაინის მშრომელთა შორის ისინი გაათკეცებენ მხურვალე სიმპატიებს საბჭოთა დროშისადმი. ლვოვის ამბებმა ულმობელად გამოააშკარავეს ავანტიურისტი იუზეფსკები და მათი მფარველნი. ამ ამბებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცეს, რომ ქებული ფაშისტური „სახელმწიფოებრივობა" არის დახავსებული სახელმწიფოებრივობა, რომ ის არის ისეთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც ძირფესვიანად ლპება.

„პრავდა", 10 ნოემბერი.

საფრანგეთის პრესა პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის შესახებ

ხორვატიის პარტია (სამხრეთ-სლავია) მოითხოვს ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან

არჩევნების პირველი შედეგები ამერიკაში.-გუვერმა მიიღო 20 მილიონი ხმა

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

ზალესკის ერთა ლიგის იმედი აქვს

ბერლინი, 9 ნოემბერი. „ოსტ პრესშე ცეიტუნგ"-ის წარმომადგენლებთან საუბარში ზალესკიმ განაცხადა, რომ კენიგსბერგის კონფერენციის უმნიშვნელო შედეგი არ შეეფერება ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის რეზოლიუციას პოლონეთ-ლიტვის საკითხის შესახებ, რის გამოც ლიგის საბჭო, რომელიც შეიკრიბება დეკემბერში, ექსპერტთა კომისიას დაავალებს პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებას სხვადასხვა სადაო საკითხებში. (ადს).

საფრანგეთის პრესა მოლაპარაკების ჩაშლას ვოლდემარასს აბრალებს

პარიზი, 9 ნოემბერი. საფრანგეთის ოფიციოზური პრესის აზრით, კენიგსბერგის კონფერენციის უნაყოფოდ დამთავრებაში ბრალი მიუძღვის მხოლოდ და მხოლოდ ვოლდემარასს.

„ვოლდემარასს—სწერს გაზეთი—არა სურს ნორმალური ურთიერთობის დამყარება პოლონეთთან. შეთანხმებებს ადგილობრივი მიმოსვლის შესახებ და აგრეთვე პოლონეთისა და ლიტვის ვაჭრობის სამინისტროებს შორის კონტაქტის დამყარების შესახებ არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რამდენადაც ლიტვის მთავრობა თანახმაა მხოლოდ შორი გზით მიმოსვლაზე. დადგა დრო, როცა ერთა ლიგამ უნდა დაიწყოს მოქმედება. რადგან აშკარა გახდა, რომ უშუალო მოლაპარაკება მიზანს ვერ აღწევს, ერთა ლიგის საბჭომ უნდა დაავალოს ექსპერტთა კომისიას პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების პრობლემის პრაქტიკუ-

„ლიტვამ გამოიჩინა კეთილი განზრახვის მაქსიმუმი".

კოვნო, 9 ნოემბერი. კენიგსბერგიდან დაბრუნების შემდეგ ვოლდემარასმა გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში დაახასიათა მოლაპარაკების მსვლელობა. ვოლდემარასმა სთქვა, რომ პოლონეთის დელეგაცია გამოდიოდა ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის რეზოლიუციის ჩარჩოებიდან, იგი სცდილობდა აეძულებია ლიტვა, რომ ვილნო პოლონეთის კუთვნილებად ეცნო. უკანასკნელი მოლაპარაკების დროს პოლონეთის დელეგაციამ აგრძნობინა ლიტვის დელეგაციას, რომ თუ ლიტვა პოლონეთის წინადადებებს მიიღებს, პოლონელები დასთანხმდებიან ლიტვის შენიშვნას ვილნოს შესახებ. ვოლდემარასის სიტყვით, ეს იგივეა, რაც ათასი წლის ვადით გაცემული თამასუქი. პოლონელები სცდილობდნენ პოლიტიკურ საკითხებთან დაეკავშირებინათ წმინდა ეკონომიური ხასიათის საკითხებიც კი, მაგალითად, საქონლის ბრუნვის მოწესრიგების საკითხი, რომელშიაც პოლონეთი უფრო დაინტერესებულია, ვიდრე ლიტვა. ლიტვის დელეგაციამ, რომელიც მოქმედებდა ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის რეზოლიუციის ფარგლებში, ვოლდემარასის აზრით, კეთილი განზრახვის მაქსიმუმი გამოიჩინა (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

სასარგებლოა მთელი მოსახლეობისათვის

თეირანი, 9 ნოემბერი. „ეტელაეთ"-ი მეთაურ წერილში სწერს:

„საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის წყალობით სპარსეთმა მოახერხა ეკონომიური მონობისაგან განთავისუფლება და თავისი ფაბრიკების შექმნა. საბჭოთა კავშირი თავისი მოწინააღმდეგე კაპიტალისტების დასამარცხებლად კარგ საქონელს ჰყიდის და გაცილებით უფრო იაფად, ვიდრე კაპიტალისტები ჰყიდიან. ამ ტაქტიკას ზარალი მოაქვს 50.000 კაპიტალისტისთვის, მაგრამ იგი სასარგებლოა დედამიწის მთელი მოსახლეობისათვის" (ადს).

მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას

ვენა, 9 ნოემბერი. კნიაჟევაცში (აღმოსავლეთ სერბია) ხორვატთა პარტიის ბელადმა იოვანოვიჩმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გააკრიტიკა მთავრობის საგარეო პოლიტიკა. იოვანოვიჩმა განაცხადა, რომ სამხრეთ-სლავიის ეკონომიური განვითარების ინტერესები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას (ადს).

არჩევნების პირველი შედეგები ამერიკაში

ნიუ-იორკი. 9 ნოემბ. არსებულ ცნობების მიხედვით არჩევნების შედეგები ასეთია:

გუვერმა მიიღო 20 მილიონი ხმა, **სმიტმა**—14 მილიონი, სოციალისტების საპრეზიდენტო კანდიდატმა **ნორმან ტომასმა** და სავიცეპრეზიდენტო კანდიდატმა **მაურერმა** ნიუ-იორკში მიიღო თვითეულმა 50.000 ხმა. კომუნისტების საპრეზიდენტო კანდიდატმა **ვილიამ ფოსტერმა** და სავიცეპრეზიდენტო კანდიდატმა **გიტლოუმ** ნიუ-იორკში მიიღეს თვითეულმა 8.840 ხმა (წინანდელ არჩევნებში კომუნისტების კანდიდატებმა მიიღეს 5.371 ხმა). კომუნისტების კანდიდატებმა ნიუ-იორკის შტატის სენატორების და პროკურორ-კონტროლიორის თანამდებობაზე ნიუ-იორკში მიიღეს 10.000 ხმა თვითეულმა.

პროფინტერნის აღმასბიუროს მოწოდება

გერმანიის მუშათა კლასისადმი

მოსკოვი, 10 ნოემბერი. პროფინტერნის აღმასბიურომ მოწოდებით მიმართა გერმანიის მუშათა კლასს. მოწოდება ეხება ლოკაუტს მძიმე ინდუსტრიაში.

„დღევანდელ ბრძოლაში,—ნათქვამია მოწოდებაში,—საქმე შეეხება არა მარტო სამედიატორო გადაწყვეტილების მიღებას ან არ მიღებას, არა მარტო 2 ან 6 პფენიგის მომატებას: დღევანდელი ბრძოლა წარმოადგენს მუშათა კლასის ძალისა და მსხვილი მრეწველობის პატრონთა ზრახვების შეტაკებას. თქვენ თქვენი ზურგით გადაიტანეთ კაპიტალისტური აღდგენის მთელი ხარჯი, თქვენ განიცადეთ მილიონიანი უმუშევრობა, თქვენ სამთამადნო მუშებს, გაგიგრძელეთ სამუშაო დღე, რომ თქვენი ოფლით გადაიხადონ რეპარაციები. თქვენ სურვილი გქონდათ დაგეცვათ თქვენი ინტერესები, მაგრამ კაპიტალის ლაქიები, სოციალ-დემოკრატები და რეფორმისტული პროფბიუროკრატები, ლოდად დაეკიდნენ მახვილის ჩასაცემად ამართულ თქვენ მარჯვენას და არარად აქციეს მთელი თქვენი ცდა. მათ უნდა უმადლოდეთ იმ საარბიტრაჟო გილიოტინის შემოღებას, რომელიც ყოველი გაფიცვის დროს ხელიდან გაცლით თვენი ბრძოლის ნაყოფს. ნუთუ ფიქრობთ, რომ ისინი დაგეხმარებიანთ? ნუთუ ფიქრობთ, რომ მთავრობა, რომელშიაც სხედან სოციალ-დემოკრატები, პოლიცია, რომელსაც განაგებს სოციალ-დემოკრატი, სასამართლო, სადაც სოციალ-დემოკრატი მოსამართლეები არიან მოკალათებულნი, ნამდვილად დაგეხმარებიან თქვენ? დაგეხმარებათ თქვენ მხოლოდ საკუთარი ბრძოლა. მხოლოდ საკუთარი ძალღონით მოიპოვებთ გამარჯვებას. ამ ბრძოლაში თქვენ მარტონი არა ხართ. საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიის მუშები ისევე იბრძვიან კაპიტალისტების წინააღმდეგ, როგორც თქვენ. ამიტომ თქვენ ბრძოლას ინტერნაციონალური ხასიათი ეძლევა და პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალი ამიტომვე მოუწოდებს აღნიშნული ქვეყნების მუშებს მხარი დაუჭირონ თქვენ ბრძოლას. მაღაროების და ტრანსპორტის მუშებო! მოიშორეთ თავიდან პროფკავშირთა ბიუროკრატები, რომელნიც მხოლოდ ლაყბობენ „ხალხის ინტერესებზე" ნამდვილად კი კაპიტალისტების ინტერესებს იცავენ. შექმენით საკუთარი საგაფიცვო კომიტეტები სარკინიგზო მრეწველობის წარმოებებში, სამთამადნო საქმეში და ტრანსპორტზე. გააერთიანეთ ისინი ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტში და მისი ხელმძღვანელობით იბრძოლეთ საარბიტრაჟო თვალთმაქცობის წინააღმდეგ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რეფორმისტული გამცემლობის წინააღმდეგ". (ადს).

ლოკაუტი გერმანიის ლითონის მრეწველობაში

ბერლინი, 9 ნოემბერი. საგაფიცვო კომიტეტებს, რომლებშიაც შედიან როგორც ორგანიზაციულად შეკავშირებული, ისე შეუკავშირებელი მელითონეები, უკვე ფართო დასაყრდენი აქვთ მასებში. 8 ნოემბერს დაიწყო ლოკაუტ-გამოცხადებულ მელითონეების რეგისტრაცია და შესაკრებ პუნქტების მოწყობა, სადაც საგაფიცვო კომიტეტები ღებულობენ განცხადებებს ორგანიზაციულად შეუკავშირებელ მუშებისაგან, რომელთაც სურთ პროფკავშირებში შესვლა. 9 ნოემბერს მოხდა საგაფიცვო კომიტეტების კონფერენცია მემაღაროების, ტრანსპორტის მუშების და უმნიშვნელოვანესი ელექტროწარმოებების დელეგატთა მონაწილეობით. კონფერენციამ უნდა აირჩიოს ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი და უნდა მიმართოს მოწოდებით გერმანიის მუშებს.

თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ლითონის ქარხანა იძულებულია შეამციროს კოქსის წარმოება, ვინაიდან ბევრი ღუმელი არ მოქმედებს (ადს).

საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გარშემო

პარიზი, 9 ნოემბერი. ნაციონალური მთლიანობის ბლოკის დაშლა, რაც განსაკუთრებით დააჩქარა მემარცხენე რადიკალების ყრილობის შეტევამ, მოულოდნელი იყო დეპუტატთა პალატისთვის, რომლის სესიაც მთავრობის გადადგომის დღეს გაიხსნა. ანჟერის პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა რადიკალების მემარცხენე ფრთის ზეგავლენით, უმთავრესად გამოხატავს ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის მოთხოვნილებებს. ამ ბურჟუაზიას სურს, რომ საგადასახადო ტვირთი მისთვის უფრო ხელსაყრელად იყოს განაწილებული. იგი მოითხოვს ბურჟუაზიის გაძლიერებულ დაბეგვრას. რადიკალების წარმომადგენლები პალატის საფინანსო კომისიაში შეეცადნენ ამ მიმართულებით გადაეკეთებიათ ბიუჯეტი, რასაც პუანკარემ უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია. აქედან სჩანს, რომ მემარჯვენე ბურჟუაზიულ ფრთას არ სურს დათმობებზე წასვლა.

კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე" ეხება მთავრობის კრიზისს და აღნიშნავს, რომ **ნაციონალური მთლიანობის მთავრობის პოლიტიკამ ორი წლის განმავლობაში არაჩვეულებრივად გაადიდა გადასახადის ტვირთი, რომელიც დააწვა მშრომელთ და მოსახლეობის საშუალო ფენებს, გაადიდა სამხედრო ხარჯები, გააძლიერა რეაქცია და მშრომელთა ექსპლოატაცია რაციონალიზაციის ნიშან ქვეშ.** მოსახლეობის საშუალო ფენები დიდად უკმაყოფილონი არიან. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ანჟერში.

„პუანკარე მოახერხებს ახალი მთავრობის შედგენას"

პარიზი, 9 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პუანკარე, ალბად, მოახერხებს მთავრობის შედგენას. ფიქრობენ, რომ მთავრობაში შევლენ წინანდელი მინისტრები, გარდა **მარენისა, ერიოსი** და **პერიესი** (პენსიების, განათლების და კოლონიების მინისტრები), ამათ ნაცვლად იქნებიან **ობერკირი, დელბოსი** და **ბენარი**, რომელნიც იმავე პოლიტიკურ დაჯგუფებებს ეკუთვნიან (ადს).

ელზასელ ავტონომისტებს დეპუტატის რწმუნება ჩამოართვეს

პარიზი, 9 ნოემბერი. დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი ელზასელ ავტონომისტების რიკლენისა და როსესათვის დეპუტატის რწმუნებების ჩამორთმევის შესახებ (რიკლენსა და როსეს მსჯავრი დასდეს ავტონომისტების სტრასბურგის პროცესზე). პირველად გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ბერტონი, რომელმაც მოითხოვა მთავრობის რეპრესიების შეწყვეტა ელზასელი დეპუტატების და, საერთოდ, ყველა პოლიტიკური პატიმრის წინააღმდეგ.

დეპუტატმა ფილიპოტომ განაცხადა, რომ რიკლენი ომის დროს გერმანელთა ექიმი იყო, იგი დაჭრილ ფრანგებს აწამებდაო. ბერტონმა უარჰყო ფილიპოტის ცილისწამება. რიკლენმა და როსემ ფილიპოტის განცხადების გამო მოითხოვეს სინიდისის სასამართლო. ისინი უარყოფენ, ვითომ სცდილობენ ელზასის ჩამოშორებას საფრანგეთისაგან.

[illegible] ხმით 39 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა დადგენილება რიკლენისა და როსესათვის დეპუტატის რწმუნებების ჩამორთმევის შესახებ. (ადს).

რიკლენისა და როსეს შუამდგომლობა

პარიზი, 9 ნოემბერი. როგორც გაზეთი „ევრ"-ი იუწყება, რიკლენმა და როსემ შუამდგომლობა აღძრეს საკასაციო სასამართლოს წინაშე მათი საქმის გადათვალიერების შესახებ. რიკლენი და როსე ამბობენ, რომ ისინი სასამართლოში მისცეს პოლიციის წვრილი მოხელეების იმ ჩვენებების ძალით, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენო (ადს).

სოციალისტების წინადადება უარჰყვეს

პარიზი, 9 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„დეპუტატთა პალატამ 284 ხმით 285 ხმის წინააღმდეგ უარჰყო სოციალისტების წინადადება, რომელიც მოითხოვდა საყოველთაო ამნისტიის კანონის მიღებას და მის შეფარდებას ელზასის ავტონომისტების რიკლენისა და როსეს საქმისთვის. დადგენილება იმის შესახებ, რომ რიკლენსა და როსეს დეპუტატობა ჩამოერთვათ, მიღებულია 220 ხმით 39 ხმის წინააღმდეგ". (ადს).

ლოიდ-ჯორჯის განცხადება

ლონდონი, 9 ნოემბერი. თემთა პალატაში კამათის დროს გამოსულმა ლოიდ ჯორჯმა განაცხადა:

„1926 წელს ჩვენმა ვაჭრობამ რუსეთთან პირველ ექვს თვეს მიაღწია 7 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე. წელს კი იმავე ხნის განმავლობაში ვაჭრობა უდრიდა 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს. თუ ხაზინის კანცლერი იტყვის, რომ 5 მილიონი უმნიშვნელოაო, მისი თვალსაზრისი ჩვენი პასუხისმგებლობის შესახებ შემცდარი იქნება" (ადს).

კლაინსის შესწორება

ლონდონი, 9 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მუშათა პარტიის დეპუტატმა კლაინსმა წინადადება შეიტანა მეფის სეფე სიტყვის საპასუხო ადრესში გამოთქმულ იქნას მწუხარება იმის გამო, რომ მთავრობის წინადადებები ყოვლად უვარგისია უმუშევრობის საკითხის გადასაჭრელად და რომ მთავრობა არავითარ ანგარიშს არ უწევს მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესებას".

კლაინსის წინადადების შესახებ ჩერჩილმა განაცხადა, რომ კლაინსის ერთად-ერთი სურვილია ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთანო.

„სტყუვდება ის,—განაცხადა ჩერჩილმა,—ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა რაიმეს შესცვლის უმუშევრობის პრობლემაში" (ადს).

პოლონეთის დამოუკიდებლობის 10 წ. თავის გამო

ვარშავა, 9 ნოემბერი. მთელს პოლონეთში დაიწყო ზეიმი პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ათი წლის თავის გამო. ხელისუფლების მოთხოვნით, საშუალო და დაბალი სკოლების ადმინისტრაცია შეუდგა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პილსუდსკისადმი სამადლობელ ადრესზე ხელმოწერათა შეგროვებას. ბევრ შემთხვევაში მოწაფეები უარს ამბობენ ხელის მოწერაზე. მთავრობის წრეებში დიდ უკმაყოფილებას იწვევს გერმანული, უკრაინული და ბელორუსული ფრაქციების განცხადება, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას სეიმის საზეიმო სხდომაში პოლონეთის დამოუკიდებლობის 10 წლის თავის გამო. ზეიმში მონაწილეობას იღებს საფრანგეთის გენერალი მორენი, რომელიც სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა ვარშავაში. (ადს).

ზანგთა ნაციონალური მოძრაობის ბელადების გადასახლება

ნიუ-იორკი, 9 ნოემბ. კანადის მთავრობამ გააძევა ზანგთა ნაციონალური მოძრაობის ბელადები **მარკუსი** და **გარვეი**.

შენიშვნა: გარვეიმ თავის დროზე დაარსა „ზანგთა მდგომარეობის გაუმჯობესების საერთაშორისო ასოციაცია", რომელიც მიზნად ისახავს ამერიკელი ზანგების გადასახლებას აფრიკაში და მთელი ქვეყნის ზანგების გაერთიანებას „ნაციონალური პრინციპის" მიხედვით. გარვეიმ შექმნა თავის მიმდევართა განსაკუთრებული არმია და შეერთებულ შტატების ზანგებს შორის შეჰკრიბა მნიშვნელოვანი თანხები ამერიკასა და აფრიკას შორის სანაოსნო ხაზის მოსაწყობად. 1922 წელს გარვეი ამერიკის ხელისუფლებამ დააპატიმრა. მას აბრალებდნენ შეგროვილი თანხების ბოროტად გამოყენებას. გარვეის მიუსაჯეს 4 წლით პატიმრობა, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ გადაასახლეს კანადიდან. (ადს).

განაჩენი ობრეგონის მოკვლის საქმეზე

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. მექსიკიდან იუწყებიან: სასამართლომ გამოიტანა განაჩენი მექსიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ობრეგონის მოკვლის საქმის გამო. კათოლიკე ტორალს და მონაზონს კონჩიტას, რომელთაც მკვლელობა ბრალდებოდათ, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. კონჩიტას სასამართლომ სიკვდილით დასჯა შეუცვალა ოცი წლის პატიმრობით, რადგან მექსიკის კანონებით ქალის სიკვდილით დასჯა შეუძლებელია. როდესაც მოსამართლეები სათათბიროთ გავიდენ, სასამართლოს დარბაზში მყოფმა შეიარაღებულმა დეპუტატებმა—ობრეგონის მომხრეებმა სროლა ასტეხეს და ყვირილი მორთეს: „დააკმაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნილებანიო". ისინი მოსამართლეებს მოკვლით ემუქრებოდნენ, თუ ტორალს შეღავათიან განაჩენს გამოუტანდნენ. (ადს).

ახალი კაბინეტი პორტუგალიაში

პარიზი, 9 ნოემბერი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პორტუგალიაში შესდგა ახალი კაბინეტი. (ადს).

საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის აღმასკომის სხდომა

ბერლინი, 9 ნოემბერი. ჟენევიდან იუწყებიან, რომ იქ 7 ნოემბერს გაიმართა საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის სხდომა. მთავარი განსახილველი საკითხი იყო გერმანიის სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირის საჩივარი იმის შესახებ, რომ წარსულ წელს საბჭოთა კოოპერაციამ გვერდი აუხვია გერმანიის სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალურ კავშირს და ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულზე მიიწვია გერმანიის პირველი საფეხურის კოოპერატივები. **საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მჭიდრო უშუალო** კავშირი ცალკე ქვეყნების ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის მხოლოდ ხელს შეუწყობს საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის საერთო მიზნებსო. ამასთან მათ საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსს მოსთხოვეს, რომ იგი გადაჭრით გამოვიდეს იმ ჭორებისა და ცილის წამების წინააღმდეგ, რომელსაც გერმანიის ცენტრალური კავშირის ორგანო ავრცელებს საბჭოთა კოოპერაციის შესახებ.

სესიამ დაადგინა, მოხსნას დღის წესრიგიდან ორივე საჩივარი და საკითხი გადაჭრილად ჩასთვალოს (ადს).

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის პრესა გუვერის არჩევის შესახებ

ვარშავა, 10 ნოემბერი. პრესა დიდ ყურადღებას აქცევს გუვერის არჩევას ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად. გაზეთები სხვადასხვა აზრის არიან იმის შესახებ, თუ რა გავლენას მოახდენს გუვერის არჩევა პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობაზე. გაზეთი „ილიუსტრიროვანი კურიერ პოდზენი" ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გუვერის კანდიდატურას ენერგიულად უჭერდა მხარს სენატორი ბორა, რომელიც არა ერთხელ გამოსულა და მოუთხოვია ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან საბჭოთა კავშირის ცნობა. გაზეთს ეშინია ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოვებისა გერმანიასა და საბჭოთა კავშირთან და აღნიშნავს, რომ პოლონეთმა ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური შეერთებული შტატების პოლიტიკის განვითარებას გუვერის პრეზიდენტად ამორჩევის შემდეგო. სეიმის საგარეო საქმეთა კომისიამ უარჰყო დეპუტატ ლევენგერცის წინადადება გუვერისთვის მისალოცი დეპეშის გაგზავნის შესახებ (ადს).

ლოკაუტ-გამოცხადებულ მელითონეთა კონფერენცია

ბერლინი, 10 ნოემბერი. გუშინ ესენში შესდგა იმ კომიტეტების კონფერენცია, რომელნიც რურისა და ვესტფალიის ოლქში ლოკაუტ-გამოცხადებული მელითონეების ბრძოლას ხელმძღვანელობენ. კონფერენციას დაესწრო 60 დელეგატი, რომელნიც წარმოადგენდნენ 60.000 ლოკაუტ-გამოცხადებულ მუშას; მათ შორის იყვნენ წარმომადგენლები იმ კომიტეტებისა, რომელთაც ხელმძღვანელობენ ბრძოლას კრუპისა და „ფოლადის მრეწველობის საწარმოთა გაერთიანების" (ბოხუმში) წარმოებებში. კონფერენციამ მთლიანად მიიღო რევოლიუციონური პროფკავშირული უმცირესობის წინადადება, ამოირჩია ბრძოლის ხელმძღვანელად ცენტრალური კომიტეტი და მოწოდებით მიმართა მემაღაროებს, ტრანსპორტის მუშებსა და კომუნალური წარმოებების მუშებს, რომ მათ მხარი დაუჭირონ ბრძოლაში მელითონეებს. კონფერენცია მოუწოდებს გერმანიის მუშათა კლასს, რომ მან მაქსიმალური გავლენა მოახდინოს მუნიციპალიტეტებზე და აიძულოს ისინი—დაეხმარონ ლოკაუტ-გამოცხადებულ მუშებს.

კონფერენციაზე გამოვიდა გამბურგის გემთმშენებელ გაფიცულ მუშათა წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ გემთმშენებელ მუშათა და მელითონეთა შორის კავშირი პრაქტიკულად უკვე განხორციელებულიაო.

ესენსა, დიუსელდორფსა, ბოხუმსა და გელზენკირხენში გერმანიის კომპარტიის მიერ მოწყობილი იქნა მასიური მიტინგები და დემონსტრაცია ოქტომბრის რევოლუციის მეთერთმეტე წლის თავის აღსანიშნავად (ადს).

ბერლინი, 10 ნოემბერი. ამჟამად რეინვესტფალიის ოლქში ჩაქრობილია ყველა დომენის 60 ღუმელი, რომელიც მოქმედებდა ლოკაუტამდე. ეს რაოდენობა უდრის მთელი გერმანიის ღუმელთა ერთ მესამედს. რეინვესტფალიის ოლქში უმუშევართა რიცხვი, ლოკაუტ-გამოცხადებულ მუშებთან ერთად უკვე 500.000-ზე მეტია (ადს).

კომუნისტ დეპუტატის მარტას საქმე

პარიზი, 10 ნოემბერი. გამასწორებელ სასამართლოში (რომელიც საქმეებს არჩევს ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე) გუშინ ირჩეოდა კომუნისტი დეპუტატის მარტის საქმე. მარტის ბრალსა ხდებდნენ იმაში, რომ მან „მოუწოდა სამხედრო მოსამსახურეთ არ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას". ამ საქმის აღძვრის საბაბი შეიქნა მარტის წერილი მარშალი ფოშის ინტერვიუს გამო, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მარტიმ განაცხადა, რომ მისი პასუხი ფოშის ინტერვიუზე მისთვის კომუნისტური დეპუტატისა და 1919 წელს შავი ზღვის აჯანყებაში (საფრანგეთის ფლოტში) მონაწილის ვალის შესრულებაა. „თუ ხვალ, განაცხადა ამასთან მარტიმ, გაბედავენ და თავს დაესხმიან საბჭოთა კავშირს, ჩვენ ისევე გამოვალთ მის დასაცავად, როგორც 1919 წელს". შემდეგ მარტიმ პროტესტი განაცხადა სასამართლოს შემადგენლობის წინააღმდეგ. პროტესტი სამართლიანად იქნა ცნობილი. საქმის გარჩევა ერთი თვით გადაიდო (ადს).

საბჭოთა კავშირის დელეგატები კონფერენციაზე

პარიზი, 9 ნოემბ. 12 ნოემბერს პარიზში გაიხსნება დიპლომატიური კონფერენცია საერთაშორისო გამოფენების მოწყობის საკითხის შესახებ. კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებათ იქნებიან ამხ-ბი: თუმანოვი, ლაშკევიჩი და რაფალოვი (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მე-5 ყრილობა

პრაღა, 9 ნოემბერი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკამ პარტიის მე-5 ყრილობის მოსაწვევ დროდ დანიშნა 23 დეკემბერი (ადს)

ინგლისის ხელი

ათინა, 9 ნოემბერი. მცოდნე წრეებში აღნიშნავენ, რომ ის ელემენტები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინგლისის კაპიტალთან, ენერგიულ კამპანიას ეწევიან საბერძნეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების განახლების წინააღმდეგ (ადს).

ახალი დანიშვნები

მოსკოვი, 10 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს 9 ნოემბრის ბრძანებით საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს განკარგულებაში მყოფი ამხ. **უბორევიჩი** დაინიშნა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარის სარდლად; მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარის სარდლის თანაშემწე ამხ. **კუიბიშევი** დაინიშნა ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარის სარდლად; ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარის სარდალი ამხ. **პეტინი** დაინიშნა საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოსთან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დავალებებისათვის; ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალის თანაშემწე ამხ. **კაშირინი** დაინიშნა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარის სარდლის თანაშემწედ; მე-5 მსროლელი დივიზიის უფროსი და სამხედრო კომისარი ამხ. **ტოდარსკი** დაინიშნა ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარის სარდლის თანაშემწედ.

დაწვრილებითი ცნობები თვითმფრინავ „სოვეტსკი სევერ"-ის ავარიის შესახებ

მოსკოვი, 10 ნოემბერი. 8 ნოემბერს ვლადივოსტოკიდან მოსკოვში მოვიდა ეკიპაჟი ჰიდროაეროპლანის „სოვეტსკი სევერ"-ის, რომელმაც ტრანს არქტიკის გადაფრენის დროს კოლიუჩინის უბეში ავარია განიცადა. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ამ ავარიის შესახებ ექსპედიციის უფროსმა **კრასინსკიმ** განუცხადა:

„ჩვენ განზრახვა გვქონდა მატერიკსა და ვრანგელის კუნძულს შუა მოგვეხდინა ოთხ-ხუთი გადაფრენა მაინც. კოლიუჩინის უბეში მეორედ დაშვების შემდეგ ზღვაში ლუზა ჩაუშვით. 19 აგვისტოს ქარი მეტად გამძაფრდა და იძულებული შევიქენით მეორე ლუზა ჩაგვეშვა. 20 აგვისტოს ქარმა ნორდოსტის სიმძლავრეს მიაღწია. ასეთ ქარიშხალში ჰიდროჰაეროპლანისათვის ძნელი იყო ზღვაში გაჩერება. 22 აგვისტომდე გაუძელით ღელვას. 22 აგვისტოს დილის 6 ს. კი ჰიდროჰაეროპლანი ქარიშხალმა ნაპირზე გამოაგდო. მას დაუზიანდა ფრთები. მოტორის გონდოლა კორპუსს დააწვა. მოტორები ზევიდან მოეშალნენ გონდოლას, რომელშიაც საწვავი მასალა იყო. ბენზინიანი ბაკები გასკდა. მდგომარეობა უნუგეშო იყო.

ჩვენ თავი მივანებეთ ჰიდროჰაეროპლანს და ყინულოვან ოკეანეს ნაპირისაკენ გავემართენით. გვქონდა მხოლოდ ოთხი დღის სანოვაგე. მივდიოდით ტუნდრით, ჭაობებით. 29 აგვისტოს მივაღწიეთ ჩუკჩის პირველ საცხოვრებელს. ოჯახის უფროსი სახლში არ იყო, სანადიროთ წასულიყო. ჩუკჩის ოჯახობამ შიშით და უნდობლად მიგვიღო. მაგრამ მან მალე გაიგო, რომ ჩვენ ვართ ადამიანები იმ „საშინელი რკინის ფრინველიდან, რომელმაც მათ ზუზუნით გადაუარა და რომლის დანახვაზე ყველა ჩუკჩი შიშისაგან მიწაზე წვებოდა". როდესაც ოჯახის უფროსი მოვიდა, მასთან ერთად გზას გავუდექით ბაიდარით (ჩუკჩის ნავია, ტყავისაგან გაკეთებული) ჩუკების სოფელ ინდიგინისაკენ, საიდანაც განვაგრძეთ გზა სერდცე-კამენის კონცხისაკენ. იქ 1-ლ სექტემბერს მივედით. კონცხთან შევნიშნეთ ნაპირზე გამოგდებული პატარა მოტორიანი ნავი. გადავსწყვიტეთ გვესარგებლნა ამ ნავით და „სოვეტსკი სევერ"-იდან მოგვეხსნა მოტორები, ხელსაწყო და სხვა ძვირფასი მეხანიზმი, ამ ნავით 4 დღის განმავლობაში 40 მილი გავცურეთ. წინ კიდევ 100 მილზე მეტი გვრჩებოდა გასავლელი. სათბობი მასალა ცუდი ხარისხისა გვქონდა: ეს იყო წყანარევი ბენზინი, ჩუკჩების მიერ სხვადასხვა გემების ავარიის დროს ნაპირზე გადატანილი. უკან დავბრუნდით რადგან გვეშინოდა რომ ვერ მოუსწრებდით იმ გემს, რომელი უელენში 15 სექტემბერს უნდა მისულიყო. უელენში მოვედით 15 სექტემბერს ღამით, მაგრამ იქ გემი არ დაგვხვდა. გადავსწყვიტეთ, განგვეგრძო გზა ლავრენტის ნავსადგურისაკენ, სადაც ჩრდილოეთის კომიტეტის კულტურული ბაზა იმყოფებოდა. 26 სექტემბერს „სტავროპოლ"-ზე მოვხვდით და დავტოვეთ შორეული ჩრდილოეთი".

თვითმფრინავის უფროსმა **ვაჟინსკიმ** სთქვა:

„უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში, ფრონტიც რომ ჩავთვალოთ, მე არ მომხდომია ფრენა ასეთს ძნელ პირობებში. ცუდმა ამინდმა ერთბაშად ჩაგვაყენა მძიმე პირობებში. ეხლა გარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ძალიან ნაადრევათ გავფრინდით. შემდეგი გადაფრენა ადრე უნდა დაიწყოს. ამას გარდა ასეთი მგზავრობისათვის საჭიროა კარგა მომზადება". (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კაპიტალისტები განაგრძობენ შეტევას

მოსკოვი. 10 ნოემბერი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგს:

მრეწველები რეინისა და ვესტფალიის ოლქში განაგრძობენ შეტევას მუშების წინააღმდეგ. ლოკაუტი უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს, მთელ გერმანიაში შეწყვეტილია ლითონის იმ მუშაკების სამუშაოზე მიღება, რომელნიც ლოკაუტის გამო უსაქმოდ არიან დარჩენილნი.

რეინისა და ვესტფალიის რაიონებში ცხოვრება სრულიად ჩაკვდა. სასოფლო-მეურნეობის იაფი პროდუქტებიც კი გაუსაღებელი რჩება, რადგან უმუშევრად დარჩენილნი არაჩვეულებრივად მძიმე მატერიალურ პირობებში იმყოფებიან. ბაზარში შესამჩნევია მუშების ცოლების — დიასახლისების ნაკლებობა.

მრეწველები და რეფორმისტები შეშფოთებული არიან იმ გარემოებით, რომ კომუნისტური პარტიის გავლენა შესამჩნევად იზრდება.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე" აღნიშნავს, რომ მენშევიკები ჰკარგავენ ყოველივე გავლენას მუშებში. ქალაქ ესსენში მიტინგზე გამოვიდა ამხ. ტელმანი, რომლის შემდეგ მუშებმა ღამით მოაწყვეს დემონსტრაცია კრუპის ქარხნის წინ. საგაფიცვო კომიტეტს განზრახვა აქვს აირჩიოს ბრძოლის კომიტეტი.

„კლასი კლასის წინააღმდეგ"

მოსკოვი, 10 ნოემბერი. „პრავდა"-ს ამერიკელი კორესპონდენტი იტყობინება:

პრეზიდენტის არჩევნების დღეს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოუშვა მანიფესტი შემდეგი ლოზუნგით: „კლასი კლასის წინააღმდეგ". სოციალისტურ პარტიებმა საპრეზიდენტო არჩევნებში დაკარგეს ხმები, რომელიც კომუნისტურ პარტიას შეემატა.

ეროვნებათა საბჭო კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ ნაციონალურ რესპუბლიკებში

მოსკოვი, 10 ნოემბერი. ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ანდსუევი, რომელმაც საბჭოს გააცნო სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობა ნაციონალურ რესპუბლიკებში. მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში ეროვნებათა საბჭომ აღნიშნა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მშენებლობის დარგში ნაციონალურ რესპუბლიკებს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ და ეს მიუხედავად მრავალ ობიექტიურ დაბრკოლებებისა.

დეფექტებს შორის ეროვნული საბჭო მიუთითებს შემდეგზე: ღარიბი გლეხობა სათანადო რაოდენობით არაა გაერთიანებული კოოპერაციაში, საპაიო კაპიტალი მცირეა, ჯერ კიდევ ხშირია გაფლანგვები.

ცენტროსოიუზს ეროვნულ რესპუბლიკათა კოოპერატიულ ცენტრებთან ერთად დაევალა შეადგინოს ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა ნაციონალურ რესპუბლიკებში სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარების შესახებ.

საბჭოთა არჩევნებისათვის

თათბირი საქართველოს ცაკთან

მეორე დღე

მეორე დღის დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. ვარძიელის მოხსენება საარჩევნო კამპანიის საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

ამხ. ვარძიელის მოხსენება

არც ერთ კამპანიას, ამბობს მომხსენებელი, ისეთი მასიური ხასიათი არა აქვს, როგორც საარჩევნო კამპანიას. ამის დასამტკიცებლად საკმაოა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ 1927 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 35 მილიონმა მოქალაქემ. საარჩევნო კამპანიის ასეთი მასიური ხასიათი გვავალებს უზრუნველვყოთ არჩევნებში სწორი პოლიტიკური ხაზის გატარება, რისთვისაც ჩვენ აუცილებლად მოგვიხდება მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებათა მიღება. პირველ ყოვლისა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამომრჩეველთა, რაც შეიძლება, ფართო მასის ჩაბმას კამპანიაში. ჩვენ საარჩევნო უბნები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ შესაძლებელი გახდეს მუშათა და გლეხთა ფართო მოზიდვა არჩევნებში. არჩევნების ჩატარებამდე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ საანგარიშო კამპანიის მოსაგვარებლად. საანგარიშო კამპანია ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ, რომ შევძლოთ მშრომელთა მხრივ ჩვენი საბჭოების და აგრეთვე სხვა სამეურნეო, კოოპერატიულ ორგანიზაციების საამშენებლო მუშაობის ნამდვილი, საქმიანი შემოწმება. საბჭოთა მუშაობის მიმოხილვა ზეპირი იქნება ის, თუ წერილობითი უნდა შეიცავდეს საჭირბოროტო საკითხებს, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე ადგილობრივი მშენებლობიდან.

სოციალისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელების მიზნით საარჩევნო კამპანიის დროს გვმართებს პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება საბჭოებში, რისთვისაც საპასუხისმგებლო სამუშაოზე უნდა წამოვაყენოთ მუშათა და გლეხთა აქტივი. ამავე დროს უნდა ვეცადოთ გავადიდოთ საბჭოებში ქალთა მონაწილეობა და აგრეთვე უფრო მეტი ყურადღებით მოვეპყრათ ეროვნულ უმცირესობათ, რომელთა კულტურული-ეკონომიური განვითარება უნდა ვაქციოთ საბჭოების ძირითად ამოცანად. აი ის მთავარი ამოცანები, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ჩვენ დაგვჭირდება მაქსიმალური ორგანიზაციული შეკავშირება, პარტიის, საბჭოთა, წ. არმიის, კოოპერატიულ, პროფესიონალურ, ქალთა ორგანიზაციების, კომკავშირის ძალების გაერთიანება. ყველა ზემოხსენებული ორგანიზაციები მოვალენი არიან ჩაებან ამ უდიდეს მასიურ პოლიტიკურ კამპანიაში იმ მიზნით, რომ მივიღოთ რეალური პოლიტიკური ეფექტი. ორგანიზაციული შეკავშირება, გეგმიანობა, ზემოხსენებულ ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა—ამ კამპანიის წარმატების საწინდარი იქნება.

ჩვენი მოწინააღმდეგეების ფრონტი

პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას ამ კამპანიაში ეყოლება სერიოზული ძალა მოწინააღმდეგებისა, რომლებიც არაფერს არ დაზოგავენ განიმტკიცონ თავიანთი პოზიციები. ეს მოწინააღმდეგეები არიან: ნეპმანები, კულაკები, სამღვდელოება, სექტანტების ზოგიერთი ჯგუფები, ძველი ჩინოვნიკ-ბიუროკრატები და სხვადასხვა მერყევი ელემენტები. ამათ წრეში შეიძლება აღმოჩნდნენ აგრეთვე ზოგიერთი ღარიბი გლეხები და მუშები. მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ჩვენ ორგანიზაციებს დასჭირდება მოქნილი მუშაობა, რომ პირველ რიგში კულაკურ-კაპიტალისტურ ჯგუფებს გამოგლიჯონ შემთხვევით ან შეუგნებლობით მათ წრეში მოხვედრი ელემენტები. სოფლად მომქმედ პარტიულ საბჭოთა კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოუხდებათ აღჭურვა მრავალ მხრივი მასალებით და საშუალებით იმ მიზნით, რომ ერთი მხრივ სრული სისწორით გაითვალისწინონ მოწინააღმდეგის ძალები და ზრახვები,—მეორე მხრით—შექმნათ ღარიბ გლეხობის, მოჯამაგირეების და საშუალო გლეხობის მტკიცე კავშირი. ამისათვის აუცილებელი გახდება წინასწარ ღარიბთა კრებების მოწყობა და მათ ორგანიზაციული შეკავშირება. ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ აგრეთვე წინასწარ მუშაობას ქალთა შორის, რომელთაც წინანდელ არჩევნებში ხშირად იყენებდნენ ანტისაბჭოთა ელემენტები ჩვენს წინააღმდეგ.

წინანდელი შეცდომები

წარსული საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენ გვქონდა მნიშვნელოვანი შეცდომები, რომლებმაც ხელი შეუწყო ჩვენი მოწინააღმდეგეების აქტიურ გამოსვლას. ამ შეცდომებში აღსანიშნავია: სოფლის პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის არასაკმაო შეკავშირება და ამის გამო მათი სუსტი პოლიტიკური ზეგავლენა საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე. ზოგ ალაგას ადგილი ჰქონდა ღარიბთა ჯგუფების როლის გაუთვალისწინებლობას ანტისაბჭოთა ელემენტების გარიყვის საქმეში. წარსულ საარჩევნო კამპანიის ერთი მთავარი შეცდომათაგანია აგრეთვე საარჩევნო სიების არასწორი შედგენა, საარჩევნო ინსტრუქციების არასწორი გაგება და მათი მხოლოდ ფორმალური გამოყენება. ამის გამო ხშირად ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა არასწორ დაყოფას სოციალურ კატეგორიების მიხედვით. წარსულ საარჩევნო კამპანიის სუსტ მხარეთ უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელობის საკითხის მოუგვარებლობა და საანგარიშო საარჩევნო კამპანიაში ცენტრალური და ადგილობრივ საბჭოთა პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობის მიუღებლობა და მთელი პასუხისმგებლობის ცალკე პირებზე დაკისრება. საარჩევნო უბნების სიდიდე და აგრეთვე საარჩევნო დროისა და ადგილის შეუფერებელი შერჩევა, ქალთა ნაკლები მონაწილეობა, საარჩევნო კომისიების ნაკლებ კომპეტენტური და ავტორიტეტიანი შემადგენლობა იყო აგრეთვე მიზეზი იმ გარემოების, რომ შარშანწინდელი არჩევნების შედეგები არ იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი. ყველა ამ შეცდომების გამოსწორება უზრუნველჰყოფს მიმდინარე არჩევნების უფრო წარმატებით ჩატარებას.

როგორ გავრიყოთ კულაკი და ნეპმანი?

კულაკურ-ნეპმანურ ელემენტების გასარიყავათ აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების ჩატარება: საარჩევნო კომისიების დაკვირვებული შედგენა, რისთვისაც დაგვჭირდება აგკომისიებში ღარიბებისა და მოჯამაგირეების შეყვანა. გარდა ამისა, შავ სიების შედგენა სხვებთან ერთად უნდა დაეკისროს მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის აქტივს. სოციალური ჯგუფების დამოსარკვევად ჩვენ დაგვჭირდება ცნობების შეკრება ცალკე წყაროებიდან. (საფინანსო, საკრედიტო, კოოპერატიული, სადგილმამულო ორგანოები და სხვა).

ქალთა მონაწილეობა

ქალთა აქტივობა თანდათან იზრდება, დაწინაურებულ ქალთა რიცხვი არ შეეფერება იმ აქტივობას, რომელსაც ისინი იჩენენ. ამას მიზეზი არის სხვათა შორის ისიც, რომ დღემდე ქალის მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში უნდობლობით უყურებდნენ. ხშირად თვით კომუნისტები და მოწინავე ელემენტებიც აბრკოლებენ ქალის დაწინაურებას და მის აქტიურ მუშაობას. ბევრგან ქალის მონაწილეობა არჩევნებში არ იყო უზრუნველყოფილი, რადგან არჩევნების დროს მათ არ ჰქონიათ მოცალეობა და სხვ. საერთოდ ქალთა შორის მუშაობას ადგილებზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ქალთა აქტივი საკმარისად არ ყოფილა აღრიცხული და გამოყენებული. ამ კამპანიის დროს ამ ნაკლის გამოსწორებას ყურადღება უნდა მიექცეს: განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ მუსულმან, აჭარელ, ხევსურ და სვან ქალების მიმართ, რომელნიც დღემდე განიცდიან ადათისა და საგვარეულო ყოფა-ცხოვრების მძიმე გავლენას. სათანადოთ გამომუშავებულ ორგანიზაციულ ტექნიკურ ღონისძიებების საშუალებებით ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მათი ინტერესი საბჭოთა მუშაობისადმი. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ქალთა სადელეგატო კრებები და მოვაგვაროთ კავშირი სადელეგატო კრებების და საბჭოებს შორის.

კამპანიის პრაქტიკული საკითხები

საარჩევნო პრაქტიკულ საკითხებს შორის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უწყებების თავის დროზე შედგენას და ადგილებზე დაგზავნას. ამ მიზნით მობილიზაცია უნდა გაუკეთდეს სოფლად მოქმედ ყველა ორგანიზაციის: რემალმასკომის, მილიციის, სადელეგატო კრებების, კომკავშირის და გლეხკომების მუშაკებს.

აუცილებლად დაცული უნდა იქნეს არჩევნების მოწვევის ვადა. ყოველ ამომრჩეველს უწყება უნდა გაეგზავნოს ხუთი დღით ადრე არჩევნების დაწყებამდე. კანდიდატის წამოყენების უფლება არ უნდა ექნეს საარჩევნო კომისიას. ეს უნდა შეადგენდეს ცალკე ამომრჩეველთა და ისეთი ორგანიზაციების საქმეს როგორიც არის პარტია, კომკავშირი და საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც წინასწარ უნდა შეუთანხმონ ერთმანეთს თავიანთი სიები. სოფლად აუცილებელია ჩატარდეს კანდიდატთა წინასწარი შეფასება (ღარიბთა ჯგუფებში და საერთო კრებებზე). კანდიდატების შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პროლეტარული ელემენტების გაძლიერება ქალაქის საბჭოებში და ღარიბთა ელემენტების სოფლის საბჭოებში: ყოველ საარჩევნო კრებაზე ხაზგასმული უნდა იქნეს ის, რომ ამომრჩეველს უფლება აქვთ გაიწვიონ ყოველ საჭირო შემთხვევას დროს მათ მიერ არჩეული დეპუტატი. ეს შეაჩვევს დეპუტატს უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს თავის მოვალეობას.

ერთი უდიდესი და მნიშვნელოვანი საკითხი საარჩევნო კამპანიის დროს არის საკითხი განაწესისა და დღის წესრიგის შედგენის შესახებ. წინანდელ არჩევნებში განაწესი უმრავლეს შემთხვევაში ატარებდა ერთფეროვან შაბლონურ ხასიათს, განაწესში უფრო მეტად ადგილი ჰქონდა დათმობილი ზოგად დაპირებებს, რომელიც არ შეესაბამებოდა რეალურ შესაძლებლობას. ამიერიდან განაწესი შედგენილი უნდა იქნეს ადგილების მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან შეფარდებით. იგი უნდა ემყარებოდეს საბჭოების რეალურ ძალას და საშუალებებს, საჭიროა გვახსოვდეს, რომ განაწესი უნდა წარმოადგენდეს პრაქტიკულ ღონისძიებათა პროგრამას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საერთოდ ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ განვითარების ამოცანებს. ამავე დროს განაწესი უნდა გამოხატავდეს ამომრჩეველთა დამოკიდებულებას სოციალისტური მშენებლობისადმი. ზედმეტ ფრაზეოლოგიას და განყენებულ მსჯელობას განაწესში ადგილი არ უნდა ექნეს.

საანგარიშო კამპანიები

როგორც აღვნიშნეთ, არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წინასწარ საანგარიშო კამპანიას. პირველი და მთავარი, რაც ჩვენ ამ კამპანიის დროს მოგვეთხოვება, არის ის, რომ კამპანია ჩატარდეს ფართო თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ. ამომრჩეველს საშუალება უნდა მივსცეთ, რომ საანგარიშო კრებებზე გამოვიდეს და ყოველმხრივ გააკრიტიკოს არა მარტო საბჭოების, არამედ ყველა ჩვენი სამეურნეო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედება. საანგარიშო კრებებზე მომხსენებლად უნდა გამოვიდნენ განსაკუთრებით ის ორგანიზაციები, რომელთაც სასოფლო მეურნეობასთან და გლეხობასთან მჭიდრო კავშირი აქვთ. (კოოპერატივები, საკრედიტო ამხანაგობანი, მიწათ-მოქმედების, სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები და სხვა). მომხსენებლები მზად უნდა იყვნენ ყველა იმ კითხვებზე პასუხისგასაცემად, რომელნიც მოხსენების დროს წამოიჭრება. ეჭვს გარეშეა, რომ ამომრჩევლებს დააინტერესებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის, ექსპორტ-იმპორტის, უმუშევრობის, საბინაო მშენებლობის საკითხები, ჩვენი სასურსათო ბაზრის (პურის, შაქრის და სხვ. მდგომარეობა, კულტურული მშენებლობის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხები და სხვა. ყველა ამ საკითხების შესახებ საჭიროა ამთავითვე შეგროვილ იქნეს სათანადო მასალები, რის შესახებაც უნდა იზრუნონ იმ დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომელნიც მონაწილეობას ღებულობენ საარჩევნო კამპანიაში. ამ საქმეში ეჭვს გარეშეა, დიდ დახმარებას გაგვიწევს პატარა პოპულარული წიგნაკები (რომელსაც უკვე ამზადებს სახკომსაბჭო მომხსენებლებისათვის) და სხვა ამის მსგავსი პოპულარული ბროშურები ჩვენი სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციების მოქმედების შესახებ. საბჭოთა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის მიღწევების პოპულარიზაციაში მთავარი როლი უნდა ითამაშონ პროფკავშირებმა, კომკავშირმა, პოლიტგანათლების ორგანოებმა, [illegible] ორგანიზაციებმა, რომელნიც უნდა გამოვიდნენ გაერთიანებული ფრონტით ამ საარჩევნო კამპანიაში. ცხადია, თუ ეს ორგანიზაციები გონივრულად შეასრულებენ ამ დავალებას და ისინი ამომრჩეველ მასას დროზე გააცნობენ ჩვენს მიღწევებს მუშაობის ყველა დარგებში, არჩევნების წარმატება უზრუნველყოფილი იქნება,

---

ამხ. ვარძიელის მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიწყო კამათი მომავალი საარჩევნო კამპანიის საკითხების გარშემო.

კამათში გამოსულ ორატორების სიტყვებს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

ორივე მოხსენების ირგვლივ რეზოლიუციის დასამუშავებლად არჩეულია კომისია 17 ამხანაგის შემადგენლობით.

კომისია მუშაობას დაიწყებს დღეს 9 საათიდან 11 ნახ. საათამდე. თათბირი დაიწყება 12 საათიდან.

ა.-კ. პროფსაბჭოს მეორე პლენუმი

გუშინ დილით საქართველოს პროფსაბჭოს [illegible] დარბაზში ამხ. ს. იაკუბოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს მეორე პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: ამიერ-კავკ. სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი 1928—29 წლისათვის; საკლუბო მშენებლობის პერსპექტიული გეგმა; ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების კამპანიის შედეგები და პერსპექტივები და ხელფასის პერსპექტივები 1928—29 წლისათვის: სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის; პროფკავშირების მუშაობა და პერსპექტივები მუშათა დაწინაურების საქმეში; პროფკავშირების მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში და სხვ.

სოცდაზღვევის ბიუჯეტი

ამიერ-კავკ. სოცდაზღვევის ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკ. შრომის სახ. კომისარიატის სოცდაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ბანოვიჩმა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1927—28 წელში მთელ ამიერ-კავკასიაში დაზღვეული იყო 306.749 მუშა-მოსამსახურე. მიმდინარე წლის გეგმით დაზღვეულთა საერთო რაოდენობა გადიდებული უნდა იქნეს 4 პროცენტით, ე. ი. დაზღვეულთა რაოდენობა მიაღწევს — 318.220 კაცს. ხელფასი საშუალოდ უნდა გაიზარდოს 5,77 პროცენტით.

დაზღვევის შენატანების საერთო ჯამი 1928—29 წლისათვის ნავარაუდევია 36.753000 მან. რაოდენობით.

საგრძნობლად იქნება გაფართოებული სოციალური დაზღვევის საქმე. განზრახულია უმუშევრების 42 პროცენტის უზრუნველყოფა დახმარებით, რაც შეადგენს 25.624 კაცს. გასულ წელს თვიური დახმარება უმუშევრებისათვის უდრიდა 16 მან. 82 კაპ. წელს თვიური დახმარება გადიდებული იქნება 18 მან. 45 კაპეიკამდე.

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით შრომითი დახმარების აღმოსაჩენად გასულ წელს გაღებული იყო 327.000 მანეთი. წელს ამავე მიზნით გადადებული იქნება 600.000 მანეთი, ამ თანხიდან 100.000 მანეთი გამოყენებული იქნება მოზარდთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად (გასულ წელს გადადებული იყო 77.000 მან.), ხოლო დანარჩენი თანხა 500.000 მან. რაოდენობით მოხმარდება უმუშევართა შრომითი დახმარების საქმეს.

პენსიებით წელს უზრუნველყოფილი იქნება 1400 მოხუცი და ინვალიდი, საშუალო პენსია ნავარაუდევია 43 მან. 67 კაპეიკის რაოდენობით.

სოც. დაზღვევის დაწესებულებათა შენობების ასაგებათ და შესაკეთებლად გამოთხოვილია აზერბეიჯანისათვის—250.000 მან., საქართველოსათვის—422.000 მან. და სომხეთისათვის—74 ათასი მანეთი, სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოსათვის 300.000 მანეთი.

დასასვენებელ სახლების გასაფართოებლად გამოთხოვილია—50.000 მანეთი.

ამიერ-კავკ. სოცდაზღვევის ბიუჯეტით შემოსავალი ნავარაუდევია 37.672.000 მან. ხოლო გასავალი 41.819.000 მან. ამრიგად დეფიციტი უდრის 4.147.000 მანეთს. დეფიციტის დასაფარავად სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს საჭიროდ მიაჩნია ტარიფების გადიდება ზოგიერთ წარმოებებში.

ამხ. ბანოვიჩის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. იტკინმა, ოდილავაძემ, იერიგინმა და პოლოხინმა. კამათის დამთავრების შემდეგ გამოყოფილი იქნა კომისია, რომელსაც დაევალა პრაქტიკულ წინადადებათა და რეზოლიუციის შემუშავება.

საკლუბო მშენებლობა

საკლუბო მშენებლობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგემ ამხ. ხოჯამიროვმა. მოხსენებიდან ირკვევა, რომ 1928 წლის 1-ლ აპრილისათვის ამიერ-კავკასიაში ირიცხებოდა 130 მუშათა კლუბი. აქედან საქართველოში—50, აზერბეიჯანში—48 და სომხეთში—32. თვითეულ მუშათა კლუბზე ამიერ-კავკასიაში მოდის 3.464 პროფკავშირის წევრი, აზერბეიჯანში თვითეულ კლუბზე მოდის—4.530 კაცი, საქართველოში—3.609 და სომხეთში—1.641 პროფკავშირის წევრი.

საკლუბო მშენებლობა ფართოდ მიმდინარეობს რკინის გზებზე. მალე დამთავრდება ერთი დიდი კლუბის აგება ხაშურში და ლენინაკანში. თვითეული ეს კლუბი დაიტევს 800 კაცს და ჯდება 911.000 მანეთი. ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის თანახმად, ახალი კლუბები უნდა აშენდეს აჯიკაბულში, სამტრედიაში, თბილისში, ბაქოში და ერევანში. ამ კლუბების ასაშენებლად საჭირო იქნება დაახლოვებით 2.000.000 მანეთი. სომხეთში ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია 4 ახალი კლუბის აშენება, რაც დაჯდება 1.478.000 მანეთი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ა. მამედოვმა (განჯა), ა. მიქაძემ (თბილისი), იაკუბოვმა (ბაქო), ირიგინმა, შახმაზოვმა და სხვ. მოხსენების გარშემო რეზოლიუციის შემუშავება დაევალა კომისიას.

პარტიაში

თბილისის კომიტეტის პლენუმი

კამათი ამხ. აზარაშვილის მოხსენების გარშემო

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. აზარაშვილის მოხსენების ირგვლივ. ილაპარაკეს ამხ. **ლუჩანსკიიმ, ხაჩიკიანმა, ნუცუბიძემ, ბუჯიაშვილმა, ზეინალოვმა.** ორატორები აღნიშნავდნენ სხვადასხვა ნაკლოვანებებს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მუშაობაში.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე:

ამხ. ჯავახიძე—კომკავშირის მუშაობას უმეტეს ნაწილად სათანადო ყურადღება არ ექცევა პარტიული ორგანიზაციების მხრივ. ეს გარემოება იწვევს იმას, რომ კომკავშირელთა შორის ფეხს იკიდებს სხვადასხვა ავადმყოფური მოვლენა.

ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად გაუმჯობესდა ახალგაზრდობის ხელფასიც. ასეთ პირობებში, თუ სათანადო აღმზრდელობითი მუშაობას არ ვაწარმოებთ, კომკავშირელ მუშას ბუნებრივად გაუჩნდება „მეშჩანური" იდეალი—რაც შეიძლება კარგად მოაწყოს თავისი პირადი ცხოვრება და საზოგადოებრივ ინტერესებს კი ზურგი აქციოს. ამის ნიშნები უკვე არის.

დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა კომკავშირელთა დაწინაურებას. საპასუხისმგებლო ადგილებზე, ჩვენი სამეურნეო მუშაკები და თვით პარტიული კომიტეტები იშვიათად თუ ანდობენ კომკავშირელს რაიმე მნიშვნელოვან საქმეს. ასეთ მდგომარეობას აუცილებლად მალე უნდა მოეღოს ბოლო.

ამხ. შოგირაძე—ლენრაიონის გამოკვლევამ დაგვანახა, რომ კომკავშირელები სუსტად მონაწილეობენ საწ. თათბირების მუშაობაში, წარმოებისა და აპარატის რაციონალიზაციის საქმეში.

ორი წლის წინად, როდესაც ორგანიზაცია მუშაობის ახალ ფორმებზე გადადიოდა, შეჩნეული იყო დიდი გამოცოცხლება. სამწუხაროდ ეს ახალი ფორმები და მეთოდები ვერ განვითარდა. ამჟამად კომკავშირის მუშაობის ფორმა-მეთოდებსა და ახალგაზრდობის მოთხოვნილებებს შორის საკმაოდ გაშლილი მაკრატელი არსებობს.

სოფლად კომკავშირი არ მონაწილეობს ღარიბთა შორის მუშაობაში. ზოგიერთ ადგილებში კომკავშირელები მოითხოვდნენ კულაკებისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას. ყველა ამ მტკივნეულ საკითხებს მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს ა. ლ. კ. კ. თბ ორგანიზაციამ.

ამხ. ასრიბეკოვი—კომკავშირი მეტის ყურადღებით უნდა მოეკიდოს იდეოლოგიურ ფრონტს. გააძლიეროს ინტერნაციონალისტური აღზრდა. ეს უკანასკნელი ღონისძიება განსაკუთრებით საჭიროა გატარდეს სკოლებში, ვინაიდან იქ სახეზე გვაქვს შოვინისტური ტენდენციების გაცხოველება.

ამხ. აზარაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მოისმინა

ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ

საბჭოთა უკანასკნელი არჩევნებიდან—ამბობს მომხსენებელი,—უკვე ორი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში თბილისის საბჭოში საკმაოდ გაუმჯობესდა და წინ წაიწია ქალაქის მეურნეობა, გადიდდა სახელმწიფო მრეწველობის, სახ. და კოოპერატიული ვაჭრობის როლი და შევიწროვებულ იქნა კერძო კაპიტალი.

თანდათანობით უმჯობესდება სასოფლო მეურნეობაც, მთელ საქართველოში 2—3 წლის წინად 10—17 კოლმეურნეობა თუ მოიპოვებოდა, ამჟამად კი 244 კოლექტიური მეურნეობა გვაქვს.

ყველა ამ მიღწევებთან რასაკვირველია ჩვენს მუშაობას ნაკლიც ახასიათებს. ჩვენ ამჟამად განვიცდით სამეურნეო სიძნელეებს—პურისა და სამრეწველო საქონლის სიმცირეს. პურის ნაკლებობა ჩვენი მაზრისათვის განსაკუთრებით საგრძნობია, ვინაიდან საკუთარი პური აქაურ გლეხობას არასოდეს არ ყოფნიდა.

ცხადია ამ ხელსაყრელ მომენტებს მხედველობიდან არ გაუშვებენ ჩვენი კლასობრივი მტრები—ნეპმანები, კულაკები. ისინი ამ სიძნელეთა საფუძველზე შეეცდებიან ფართო აგიტაცია აწარმოონ გლეხობაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ჩაშალონ პარტიის ღონისძიებები.

სამეურნეო დაბრკოლებათა არსებობამ წარმოშვა პარტიის რიგებში ეგრედ წოდებული მემარჯვენე გადახრა, რომელიც მე-15 პარტყრილობის დადგენილებათა გადათვალიერებისაკენ არის მიმართული. ეს ახალი „უკლონისტები" და ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთები აშკარაა გამოვლენ საარჩევნო კრებებზე, შეეცდებიან კომპარტიის და ხელისუფლების პოლიტიკისათვის სახელის გატეხას. ჩვენი ორგანიზაციები სათანადოთ მომზადებული უნდა დახვდნენ მათ იერიშებს და მტკიცედ დაიცვან მე-15 ყრილობის ლენინური გადაწყვეტილებანი.

საარჩევნო კამპანიის სწორად ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ნაკლთა გათვალისწინებას, რომელიც თან ახლდა წარსულ არჩევნებს. ნაკლი უმთავრესად მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ ზოგ ადგილებში საარჩევნო ხმის უფლება წავართვით საშუალო გლეხებს. ზოგან კი (მაგ. ყარაიაში) საბჭოში ადგილობრივ პარტორგანიზაციის დახმარებით სულ კულაკები გავიდნენ.

ჩვენ სათანადოთ ვერ გამოვიყენეთ ისეთი მასიური ორგანიზაციები, როგორიცაა კომკავშირი, კოოპერაცია, ქალთა სად. კრებები, გლეხკომები. ამჟამად საბჭოთა და კოოპ. ორგანიზაციებთან ჩამოყალიბებული გვაქვს ღარიბთა ჯგუფები, ისინი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

საერთოდ პარტორგანიზაციამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს ღარიბ გლეხობისა და მოჯამაგირეების დარაზმვას მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის.

წარსულ გადარჩევის დროს პარტიულმა ორგანიზაციამ სათანადოთ ვერ უხელმძღვანელა დეპუტატთა სიების შედგენის საქმეს და კრებებზე კი სულ მიიჩქმალა თავისი სახე. იყო შემთხვევა, როდესაც პარტიის და ა.ლ.კ.კ. წევრები ერთმანეთის კანდიდატურების წინააღმდეგ გამოვიდნენ. ასეთ მოვლენებს მომავალ არჩევნებში ადგილი არ უნდა ექნეს.

არჩევნების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ უმცირესობებისა და ქალების მონაწილეობას კამპანიაში. ზოგიერთ ადგილებში საჭირო იქნება ქალთა საარჩევნო კრებების ცალკე მოწვევა.

განსაკუთრებული საფრთხილე ჩვენს ორგანიზაციას მართებს თბილისში, აქ პარტიამ უნდა შესძლოს წარმატებით გადალახოს საბჭ. ელემენტების წინააღმდეგობა, რომელიც აუცილებლად თავს იჩენს გადარჩევის დროს.

ამხ. სუხიშვილის მოხსენების გარშემო ილაპარაკეს ამხ. **აკოპოვმა, ნასყიდაშვილმა, ლაშქარაშვილმა, ბედიამ, ბერუაშვილმა,** და **კუკულდავამ**, რის შემდეგაც მოსმენილ იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. ასრიბეკოვის მოკლე ცნობა

პარტიაში მემარჯვენე საფრთხის შესახებ

„მოწოდებაში, რომელთაც თბილისის კომიტეტმა მიმართა ორგანიზაციის ყველა წევრს—ამბობს ამხ. ასრიბეკოვი,—ხაზგასმით იყო აღნიშნული ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. საკავშირო კომუნისტური პარტ. კ. პ. (ბ) ცეკას თავის უკანასკნელ მოწოდებაში გარკვევით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ტროცკიზმი საბოლოოდ დაძლეულია და ნიღაბახდილი პარტ. მასის წინაშე. მემარჯვენე გადახრას კი პარტიის წევრთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ იცნობს.

ამას ამტკიცებს თუნდაც ის გარემოება, რომ ბიუროების გადარჩევის დროს ჩვენს ორგანიზაციაში ძლიერ მცირე ყურადღება ექცეოდა ამ საკითხს. უჯრედების მდივანთა მოხსენებებში პრაქტიკული საკითხები ფარავდენ პოლიტიკურ საკითხებს. შეკითხვებზე მომხსენებლები ხშირად უპასუხებდნენ: „ჩვენს უჯრედში არავითარი გადახრას არ აქვს ადგილი".

თბილისის კომიტეტს განზრახული აქვს განაგრძოს ახსნა-განმარტებითი კამპანია მემარჯვენე გადახრის საკითხზე. ამ მიზნით მოწვეული იქნება აქტივის რაიონული კრებები, აგრეთვე უჯრედებში დამუშავდება საკავშირო კომ. პარ. (ბ) ცეკასა და თბ. კომიტეტის მოწოდებები.

საკითხის ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამხ. ბუდილევი საჭიროდ სცნობს პოლიტ. სკოლების პროგრამაში შეტანილ იქნეს პუნქტი მემარჯვენე საფრთხის შესახებ.

ამხ. ტერ-ვართანოვი ამბობს, რომ ხშირად თვით მომხსენებლები ვერ ერკვევიან იმაში, თუ რას წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა, ორატორი მოითხოვს მეტი ყურადღება მიექცეს მომხსენებლების მომზადებას ამ საკითხზე.

ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. **ადამაძემ** და **პრეობრაჟენსკიმ.**

პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები ყველა განხილულ საკითხებზე და დაიხურა.

დაუზოგავი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ

(თბილისის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია)

თბილისის კომიტეტის პლენუმი, მოისმინა რა მან ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება მემარჯვენე საფრთხის შესახებ პარტიაში, მთლიანად და სავსებით უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციების წევრებისადმი და ცეკას გადაწყვეტილებებს მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული ცალკე შეცდომების გამოსასწორებლად.

ამასთან ერთად თბილისის კომიტეტი სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მოსკოვის კომიტეტმა და მოსკოვის საკონტროლო კომისიამ ცეკას ხელმძღვანელობით და მოსკოვის ორგანიზაციის რაიონების პარტაქტივების დახმარებით გამოასწორეს დაშვებული შეცდომები და პარტორგანიზაციის მთავარი ყურადღება მიაქციეს მემარჯვენე გადახრასთან და შემარიგებლობასთან ბრძოლას.

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის სიძნელენი, ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერებული წინააღმდეგობა პროლეტარიატის სოციალისტური შეტევისადმი, ნაციონალისტური ინტელიგენცია, კერძოდ ქართული მებრძოლი ნაციონალიზმის წინააღმდეგობა აღრმავებს მემარჯვენე გადახრის საფრთხეს.

მემარჯვენე გადახრა, რომელიც გამოხატავს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების ზეგავლენას ჩვენი პარტიის ცალკე ფენებზე, სცდილობს უკან დახევინოს პარტიას მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, ჩაშალოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, შეასუსტოს პარტიისა და მუშათა კლასის სიფხიზლე სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა წინაშე, ბურჟუაზიულ-კულაკური ელემენტების შემოტევის წინაშე, აძნელებს ამ დაბრკოლებათა გადალახვას და ამით ხელს უწყობს ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც აადვილებენ კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობას.

ამიერ-კავკასიის და, განსაკუთრებით, საქართველოს პირობებში მემარჯვენე ტენდენციები პარტიაში ერთსა და იმავე დროს გამოხატავენ ნაციონალისტურ-შოვინისტური ინტელიგენციისა და წვრილი ბურჟუაზიის ზეგავლენას ჩვენი პარტიის ცალკე წრეებზე. საქართველოს კომპარტიამ, კერძოდ თბილისის ორგანიზაციამ, ისევე ენერგიულად და წარმატებით, როგორც წარსულში, უნდა განაგრძოს ბრძოლა ნაციონალისტურ განწყობილებათა ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად თბილისის კომიტეტის პლენუმი ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ შემარიგებელ დამოკიდებულებას მემარჯვენე გადახრასთან და ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ რყევასა და ქანაობასთან, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს ამ გადახრებისათვის ხელის შეწყობის ფარულ ფორმას, არაფერი აქვს საერთო ბოლშევიზმთან. ამიტომ ასეთ დამოკიდებულებას, ისევე, როგორც მემარჯვენე გადახრას, გამანადგურებელი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ყველა პარტორგანიზაციამ.

პლენუმი აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც ტროცკისტულ-უკლონისტური იდეოლოგია საერთოდ გამოაშკარავებულია, მთავარ საფრთხეს პარტიაში წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა და შემარიგებელი დამოკიდებულება მასთან.

ამიტომ მთელი პარტიისა და კერძოდ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ამოცანას შეადგენს არავითარ შემთხვევაში არ შეანელოს ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმ - უკლონიზმის ნაშთებთან და ამავე დროს განსაკუთრებით შეებრძოლოს მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებელ დამოკიდებულებას, მობილიზაცია უყოს მთელ პარტიულ მასას მემარჯვენე ლიკვიდატორობის წინააღმდეგ აქტიური შეტევისათვის.

თბილისის კომიტეტის პლენუმი ერთხელ კიდევ წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანოს, ყველა უჯრედს და პარტიის ყველა წევრს — ყოველდღიური მუშაობის პროცესში გაამწვავებული ბრძოლა აწარმოონ მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ სიტყვიერი და ბეჭდვითი აგიტაციით და პროპაგანდით სკოლებში, წრეებში, კურსებზე და სხვ., აღნიშნონ, რომ „მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ჩვენს პარტიაში ხელ-ფეხს გაუხსნის კაპიტალიზმის ძალებს, შეარყევს პროლეტარიატის პოზიციებს და ასწევს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის შანსებს" (სტალინი).

თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ დღევანდელს მომენტში უჯრედები ბიუროების გადარჩევის კამპანიის დროს და აგრეთვე პრესა საკმარისად ვერ აქცევენ პარტიის წევრების ყურადღებას ორგანიზაციის ძირითად პოლიტიკურ ამოცანებს, რომლებიც აღნიშნულია ჩვენი პარტიის თბილისის კომიტეტის მიმართვაში (ბრძოლა მემარჯვენე გადახრებთან, ნაციონალიზმთან და სხვ.). ხშირად ცალკე უჯრედები გადარჩევის დროს გვერდს უვლიან ამ ამოცანებს.

თბილისის კომიტეტის პლენუმი აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია დაუყოვნებლივ გამოსწორდეს უჯრედების ბიუროების გადარჩევის კამპანიის ეს არსებითი ნაკლი და გაგრძელდეს სისტემატიური მუშაობა მემარჯვენე გადახრის შინაარსისა და ამ გადახრასთან ბრძოლის ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის, რისთვისაც პარტაქტივებისა და უჯრედების სხდომებზე მოეწყოს სპეციალური მოხსენებები, ხოლო პრესაში გაძლიერებულ იქნას ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

თბილისის კომიტეტის პლენუმი მხურვალედ მიესალმება ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ცენტრალურ ორგანოს „პრავდა"-ს, რომელთაც დროზე დაიწყეს ბრძოლა მემარჯვენე გადახრის საფრთხისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, და გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ პარტია თავისი ც. კ.-ის ხელმძღვანელობით ამ ბრძოლიდან გამოვა იდეურად უფრო შემჭიდროებული და განმტკიცებული.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში.—კენიგსბერგის კონფერენციის შედეგები. — რა მოხდა ლვოვში?—პრეზიდენტის არჩევნები ამერიკაში.

ჩვენი გაზეთი გუშინ ვრცლად შეეხო პუანკარეს მთავრობის გადადგომას. კრიზისი გამოიწვია მინისტრ-რადიკალების გამოსვლამ კაბინეტიდან. ბურჟუაზიის გაერთიანებულ ბლოკში უთანხმოების გამოწვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საეკლესიო საკითხი, რომელსაც ეხებიან სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცნობილი 70 და 71 მუხლები. ეს მუხლები გულისხმობენ კონგრეგაციების (სარწმუნოებრივ საზოგადოებების) აღდგენას და მათთვის ქონების დაბრუნებას.

საფრანგეთის ბურჟუაზიას ერთ დროს თავისი მატერიალიზმით, ურწმუნოებით მოქონდა თავი. 1901 წ. საფრანგეთში დაშლილად გამოაცხადეს კონგრეგაციები, ამასთან მათ ქონება უნდა ჩამორთმეოდათ სახელმწიფოს სასარგებლოდ. 1905 წ. ეკლესია ჩამოშორებულ იქნა სახელმწიფოსაგან. ეხლა კი სულ საწინააღმდეგო მოძრაობას ვხედავთ. რაც უფრო ქვეითდება კაპიტალიზმი და იზრდება მუშათა რევოლიუციონური ბრძოლა, მით უფრო ბურჟუაზიას იტაცებს მისტიციზმი, მით უფრო ის ეპოტინება ეკლესიას, რომლის საშუალებით ის ლამობს მშრომელ მასების გაბიაბრუებას და მათზე თავის გავლენის შენარჩუნებას. ეს პროცესი დამახასიათებელია არა მარტო საფრანგეთისათვის, არამედ მთელი ბურჟუაზიული მსოფლიოსათვის. ამავე დროს საფრანგეთის იმპერიალისტები, ისე როგორც დანარჩენ ქვეყნებისა, სამღვდელოებას იყენებენ დაპყრობითი მიზნებისათვის: მისიონერები იმპერიალიზმის საუკეთესო აგენტები არიან ჩამორჩენილ ხალხთა შორის.

მაგრამ რა შუაში არიან რადიკალები, რომელთაც სამინისტრო სავარძლები დასთმეს ამ საკითხთან დაკავშირებით? საქმე ის არის, რომ რადიკალები ცნობილი არიან მასებში, როგორც ეკლესიის მოწინააღმდეგენი. ეს გარემოება მოსახლეობის ფართე მასებში ქმნის მათი ერთგვარი „დიდების შარავანდედს". რადიკალების პარტიამ მსხვილ კაპიტალს ყველაფერი დაუთმო ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში და ეხლა რომ მან ხელი აიღოს ამ თითქმის ერთად - ერთ „კოზირზედაც", ეს სასიკვდილო ლახვარს ჩასცემდა ერიოს და კოლეგების პრესტიჟს".

კრიზისის მეორე მიზეზია პუანკარეს საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც დიდ შეღავათებს ანიჭებს მსხვილ კაპიტალს და უზომოდ ბეგრავს მშრომელ მასებთან ერთად წვრილ-ბურჟუაზიას. უკანასკნელს კიდევ შერჩა ერთგვარი იმედი, რომ მისი წარმომადგენილი პალატასა და მთავრობაში რადიკალების პარტია შეეცდება გადასახადების უფრო სამართლიანად განაწილებას. რადიკალები თავის ამომრჩევლების ზეგავლენით და „სინიდისის დასამშვიდებლად" შეეცადნენ ამ მხრივ ბიუჯეტში ზოგიერთ, თუნდაც მცირეოდენ ცვლილების შეტანას. მაგრამ პუანკარეს ჯგუფი არავითარ დათმობაზე არ აპირებს წასვლას.

აშკარაა, რომ რადიკალები იძულებული გახდებიან იარაღი დაყარონ ორივე საკითხში. წვრილი ბურჟუაზიის და მისი პარტიის ხვედრია მუცლით იხოხოს მსხვილი კაპიტალის წინაშე და მის ნებისყოფას დაემორჩილოს. ეს მით უფრო, რომ რადიკალების დიდი უმრავლესობა პუანკარეს უჭერს მხარს ეკლესიის ძლიერების აღდგენის საკითხში. და თუ რადიკალების პარტიამ ჯერჯერობით მაინც გადასწყვიტა საფრანგეთის დიქტატორის წინააღმდეგ გალაშქრება, ეს მანევრია მასების მოსატყუებლად.

მოსალოდნელი არ არის, რომ მთავრობის ეხლანდელ კრიზისს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოყვეს. პუანკარესათვის რადიკალების გარეშეც პალატაში უზრუნველყოფილია უმრავლესობა. ის კიდეც „პრინციპიალურად" თანახმაა მთავრობა შეადგინოს. თვით რადიკალებს შესაძლებლად მიაჩნიათ მხოლოდ პუანკარესათვის ძალაუფლების ჩაბარება. რომ კიდეც არ ყავდეს პუანკარეს პარლამენტში უმრავლესობა, მას მაინც სრულებით არ გაუძნელდება მისთვის თავის ნებისყოფის მოხვევა. ხომ იყო შემთხვევა, როცა „მემარცხენე" პალატამ მემარჯვენეთ ჩააბარა ქვეყნის სვე-ბედი! ეხლანდელი კრიზისის შედეგი ერთხელ კიდევ ცხადყოფს ე. წ. შუათანა პოლიტიკურ ჯგუფების არარაობას.

⁂

პოლონეთ-ლიტვის მეორე კონფერენცია კენიგსბერგში დაიხურა (პირველი მიმდინარეობდა იმავე ქალაქში ა. წ. 30 მარტიდან 2 აპრილამდე). ერთად ერთი საკითხი, რომლის შესახებ შეთანხმება იქნა დადებული, ესაა სადემარკაციო ხაზით ადგილობრივი მიმოსვლის აღდგენა. ესეც ახალი მიღწევა არ არის: კონფერენციამ ამ მხრივ მხოლოდ დაადასტურა ე. წ. მესამე კომისიის მუშაობის შედეგები. კენიგსბერგის პირველ კონფერენციაზე გამოყოფილი იყო კიდევ ორი სხვა კომისია: პირველი — ეკონომიური მიმოსვლის და ტრანზიტის საკითხებზე, მეორე — უშიშროების და მატერიალურ პრეტენზიების საკითხების მომწესრიგებელი. ორივე ამ კომისიის მუშაობა თავის დროზე სრული მარცხით დასრულდა, ვინაიდან არც ერთმა მხარემ რაიმე დათმობაზე წასვლა არ მოისურვა. პოლონეთ-ლიტვის პოზიციების შეურიგებლობამ ისე იჩინა თავი ეხლანდელ კონფერენციაზე, რამაც მისი ჩაფუშვა გამოიწვია.

პოლონეთ-ლიტვის დავის ძირითადი საგანი, როგორც ვიცით, არის ვილნო, რომელიც პოლონელებმა დაიპყრეს და რომელიც ლიტვის მთავრობას თავის ქვეყნის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია. ლიტვასთან მოლაპარაკების დროს პოლონეთი ყოველთვის ცდილობს ვილნოს დაპყრობის დაკანონებას, რაზედაც ლიტვა, არ თქმა უნდა, არ მიდის. ავიღოთ თავდაუსხმელობის და უშიშროების საკითხი. პოლონეთმა თვითონ წამოაყენა წინადადება, რათა ამის შესახებ ხელშეკრულება დაედვათ. ამით ვარშავამ თითქო გამოიჩინა მშვიდობიანობის განმტკიცების და ლიტვასთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარების სურვილი. ნამდვილად კი საქმე სულ სხვანაირადაა. პოლონეთის მთავრობამ შეიმუშავა ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების ისეთი პროექტი, რომელიც გულისხმობს, რომ მხარეთა შორის საზღვრების საკითხი თითქო მოგვარებული იყოს. ამ პროექტის მიღება ლიტვის მიერ იმის მომასწავებელი იქნება, რომ ის ვილნოს პოლონეთის ტერიტორიად აღიარებს.

აღსანიშნავია, რომ ზალესკიმ ეხლა უმნიშვნელოდ სცნო თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება, ვითომდა იმ მოსაზრებით, რომ კელოგის საერთო პაქტის შემდეგ ეს ზედმეტი იყოს. საქმე კი ის არის, რომ ლიტვის მთავრობამ პოლონეთის პროექტს დაუპირდაპირა უშიშროების გარანტიების მოთხოვნა, კერძოდ ვილნოს დემილიტარიზაციის და პლეჩკაისტის ჯგუფის მოქმედების აღკვეთა პოლონეთის ტერიტორიაზე. ზალესკიმ ამჯობინა ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების საკითხისთვის გვერდის ავლა, რომ მიეჩქმალა პოლონეთის აგრესიული ზრახვები ლიტვის მიმართ.

შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული სარკინიგზო, საფოსტო და სატელეგრაფო მიმოსვლის აღდგენის საკითხებშიც. ლიტვის დელეგაციამ აღნიშნა, რომ ის წინააღმდეგია ვილნოს რაიონთან ამ მიმოსვლის განახლების, რადგან ამის შესახებ იგი პოლონეთთან ვერ აწარმოებს ლაპარაკს, რამდენადაც ვილნო ლიტვის ნაწილიაო.

მაგრამ ერთი რამ აშკარაა: პოლონეთის მთავრობა დღეს ვერ ბედავს ლიტვის მიმართ თავის მტაცებლურ ზრახვების ისე უხეშად გამოჩენას, როგორც ამას წინედ ჰქონდა ადგილი. ეს აიხსნება მთელი რიგი გარემოებებით. ჯერ ერთი, პოლონეთის შინაური მდგომარეობა საკმაოდ რთულია(ლოძის ფეიქართა გაფიცვა, ეკონომიური კრიზისი, ლვოვის ამბები). შემდეგ: ამას წინად ჩაიფუშა პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება, რამაც პოლონეთის იმპერიალიზმის მადის შეკვეცაზე ერთგვარი გავლენა მოახდინა. ამავე დროს ლიტვამ დასდო სავაჭრო ხელშეკრულება გერმანიასთან და ამან ლიტვის საერთაშორისო მდგომარეობა უეჭველად განამტკიცა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პოლონეთს ამჟამად მისი მფარველები, — ინგლისი და საფრანგეთი აქტიურ დახმარებას ვერ უწევენ ლიტვის დამონების საქმეში, მიტომ რომ ისინი სხვა საკითხებით არიან გართული. როგორც ვიცით, ერთა ლიგის უკანასკნელ კრებაზე პოლონეთმა ვერ შესძლო ლიტვასთან კონფლიქტის თავის სასარგებლოთ მოგვარება,თუმცა ლიგას ამის დიდი სურვილი ჰქონდა და თუმცა მან ლიტვა კვლავ გაამტყუნა ვითომდა აგრესიულობაში პოლონეთის მიმართ. საქმე ის არის, რომ მაშინ ხდებოდა საერთაშორისო ძალთა ახალი გადაჯგუფება (ინგლის - საფრანგეთის შეთანხმება). ეს გადაჯგუფება ჯერ არ დასრულებულა და მისი შედეგი საბოლოოდ დღესაც არ არის გამორკვეული. და ეს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს რამოდენიმედ ხელს უბორკავს პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის ისე გადაჭრაში, როგორც მათ სურთ. ამასთან დაკავშირებით ლიტვამ ერთგვარ წარმატებას მიაღწია, რაც არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ერთა ლიგამ ვერ მოახერხა ლიტვისათვის ქედის მოდრეკა, არამედ იმაშიც, რომ ზალესკის მონაწილეობით გაიმართა პოლონეთ-ლიტვის ახალი კონფერენცია: როგორც გვახსოვს, პოლონეთის მთავრობამ ლიტვის დასამცირებლად არა ზალესკის, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელის გოლუვკოს ხელმოწერით მისცა კოვნოს წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ, ამასთან ამ კონფერენციაზე პოლონეთის წარმომადგენლად ისევ გოლუვკო უნდა ყოფილიყო. ეს წინადადება ლიტვამ უარყო და პოლონეთის მთავრობა ეხლა იძულებული შეიქნა ზალესკი გაეგზავნა კენისბერგში.

ყველაფერ ამას მიემატა მთავრობის კრიზისი საფრანგეთში, რის გამო პუანკარეს ამ მომენტში პოლონეთის დასახმარებლად არ სცალია.

მაგრამ პოლონეთ - ლიტვის დავა კვლავ ძველ მდგომარეობაში რჩება და ის მუდამ ატარებს ომის საფრთხეს. ზალესკი ფიქრობს ლიგის საბჭოს მიერ ექსპერტების დანიშვნაზე ამ დავის გამო დასკვნის გამოსატანად. პოლონეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ ეს დასკვნა მისთვის ხელსაყრელი იქნება და ამის შემდეგ მას დასტური მიეცემა ლიტვის ძალით „მოჭკუიანებისათვის". ხელსაყრელ მომენტში ინგლისი და საფრანგეთი არ დააყოვნებენ პოლონეთის წაქეზებას ლიტვის დასაპყრობად, რომ ამ გზით მოახერხონ ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა.

⁂

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ პოლონეთის შინაური მდგომარეობა ამჟამად საკმაოდ რთულია. მაგალითისათვის კერძოთ ლვოვის ამბები მოვიყვანეთ. მართლაც ლვოვში მომხდარი სისხლის ღვრა აშკარად მეტყველებს ნაციონალურ ურთიერთობათა სიმწვავეს პოლონეთში და იმას, რომ ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივობა სრულიად არ არის ცოტად თუ ბევრად მკვიდრ ნიადაგზე აგებული.

ავსტრია - უნგრეთის იმპერიის დაშლის დროს უკრაინელები შეეცადნენ თავის სახელმწიფოს შექმნას აღმოსავლეთ გალიციაში, სადაც ისინი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. მაგრამ მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის სისხლში ჩაახჩვეს პოლონელმა იმპერიალისტებმა, რომელთაც ეს ქვეყანა ხელთ იგდეს და დაიმონავეს. და აი, პირველ ნოემბერს, როცა დასავლეთ-უკრაინის დამოკიდებულების გამოცხადებიდან ათი წელი შესრულდა, ლვოვის უკრაინელმა მოსახლეობამ მოიწადინა ეს დღე აღენიშნა და დემონსტრაცია მოეწყო უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა პატივსაცემად.

ეს იყო და ეს. მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდნენ პოლონელი ფაშისტები, რომელთაც უკრაინელებზე პირდაპირ ნადირობა გამართეს, ხელი მიყვეს მათ ხოცვა-ჟლეტას და უკრაინულ კულტურულ - საზოგადოებრივ დაწესებულებათა დარბევას. აქ აღსანიშნავი ის არის, რომ პოლონეთის პოლიციამ სრული უმოქმედობა გამოიჩინა და ფაშისტებს საშუალება მისცა უიარაღო, მშვიდობიან უკრაინელ მოსახლეობის ასაკლებად. კიდევ მეტი: პოლიცია პოლონელებს და უკრაინელებს შორის მომხდარ შეტაკებების დროს აქტიურად უჭერდა მხარს პირველებს და აპატიმრებდა მხოლოდ უკრაინელებს. ამავე დროს პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელი გენერალი გალერი ლვოვში ჩამოსვლისას აცხადებს: „ვხედავ, რომ ლვოვი ეხლა უფრო პოლონურია, ვიდრე ოდესმე"-ო. ესაა ერთი მხრით ცინიკური დადასტურება ეროვნულ უმცირესობათა პოლონიზაციის პოლიტიკის, რომელსაც პილსუდსკის მთავრობა ატარებს, მეორე მხრით — პოლონელ ფაშისტების წაქეზება ექსცესებისათვის ამ უმცირესობათა წინააღმდეგ.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ პოლონეთის მთავრობა ბოლო დროს ერთგვარ თვალთმაქცურ ტაქტიკას ადგა უკრაინელების მიმართ: ცდილობდა უკრაინელ ბურჟუაზიის და ინტელიგენციის მოსყიდვას უკრაინის მოსახლეობისათვის უმნიშვნელო დათმობების დაპირებით. პილსუდსკის ეს ესაჭიროება, რათა დასავლეთ უკრაინაში ზურგი გაიმაგროს და იქ შექმნას ბაზა საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. ხოლო რომ იგი ოცნებობს საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის ჩამოგლეჯაზე, ეს ცნობილია.

ლვოვის ამბებმა თვალი უნდა აუხილონ დასავლეთ - უკრაინის იმ წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებს, რომელნიც ფიქრობენ, რომ პილსუდსკისათვის ლოიალობის გამოცხადებით, მისთვის ერთგულების დამტკიცებით დასავლეთ უკრაინის მდგომარეობა გაუმჯობესდება. რაც შეეხება უკრაინელ და სხვა ეროვნულ უმცირესობათა მშრომელ მასებს, მათთვის დიდი ხანია აშკარაა, რომ მათი განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ პოლონეთის იმპერიალისტურ, ხელოვნურად შეკოწიწებულ და ნაციონალურ ჩაგვრაზე დამყარებულ სახელმწიფოს დაშლის გზით.

ეროვნული უმცირესობანი პოლონეთში მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ. ისინი სასტიკ რეპრესიებს განიცდიან. ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობა, დაკავშირებული პოლონეთის მშრომელ მასების კლასობრივ ბრძოლასთან, ისეთი ფაქტორია, რომელსაც ფაშისტურ იმპერიალისტური რეჟიმი ხანგრძლივად ვერ გაუძლებს.

⁂

საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ გაიმარჯვა რესპუბლიკანურმა პარტიამ. მისი კანდიდატი, ვაჭრობის ეხლანდელი მინისტრი ჰერბერტ გუვერი იქნება ჩრ.-ამ. შეერთ. შტატების ახალ პრეზიდენტად.

საარჩევნო ბრძოლა ჩვეულებრივ წარმოებდა ორ პარტიას შორის, რესპუბლიკანელებსა და დემოკრატებს შორის. სხვა პარტიები მხედველობაში არ არიან მისაღები: იმდენად უმნიშვნელოა მათი ხვედრითი წონა ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. წინედ ამ პარტიებს შორის ერთგვარი განსხვავება არსებობდა პროგრამის მხრით: რესპუბლიკანელები უფრო მსხვილი სამრეწველო კაპიტალის ინტერესებს გამოხატავდენ, ხოლო დემოკრატები — უმთავრესად აგრარიების ინტერესებს. ეხლა ეს განსხვავება თითქმის წაშლილია. დემოკრატების პარტიაში გაძლიერდა სამრეწველო ბურჟუაზია.

მიუხედავათ ამისა, ეს პარტიები ყოველ არჩევნების დროს სასტიკად ებრძვიან ერთი მეორეს. ეს რამოდენიმედ აიხსნება ტრადიციით, უფრო კი ცალკე კაპიტალისტურ ჯგუფების ურთიერთი მეტოქეობით. დემოკრატები, რომელთაც იშვიათად ღირსებიათ გამარჯვება (25 წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხჯერ), ოპოზიციაში უდგანან რესპუბლიკანელებს. ისინი თავის მომხრეთა გასაძლიერებლად ხშირად რადიკალურ წვრილ ბურჟუაზიულ ლოზუნგებსაც აყენებენ და იმსახურებენ შეუგნებელ ფერმერების, წვრილი ბურჟუაზიის და მუშათა ნაწილის სიმპატიებსაც. მაგრამ დემოკრატები არსებითად არა ნაკლებ რეაქციონერები არიან, ვიდრე რესპუბლიკანელები. ეს მათ დაამტკიცეს, როცა ისინი ძალაუფლებას ედგნენ სათავეში.

ბურჟუაზიას დემოკრატების „ოპოზიციონერობა" ესაჭიროება ფართო მასებისათვის თვალის ასახვევად: მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილება არსებული რეჟიმით მეტ წილად გამოსავალს პოულობს იმაში, რომ დემოკრატებს უჭერენ მხარს, და ამ გზით ფერხდება რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარება.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობამ ეხლანდელ არჩევნებისადმი შედარებით დიდი ინტერესი გამოიჩინა. თუ 1924 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 29 მილიონ კაცმა, ეხლა ეს რიცხვი 35 მილიონამდე აღწევს. მაგრამ ეს მოვლენა სრულებითაც არ აიხსნება ამომრჩეველთა პოლიტიკურ შეგნების და აქტივობის ზრდით. თუ რა დაბალია ჩვეულებრივ ამერიკელ მოქალაქის პოლიტიკური შეგნების დონე, ამას მოწმობს თუ გინდ ის უფერული ლოზუნგები, რომელთა გარშემო საარჩევნო ბრძოლა იყო გაჩაღებული. არც ერთი ძირითადი საჭირბოროტო საკითხი ამერიკის ეხლანდელ პოლიტიკისა არ ყოფილა ნამდვილად აღძრული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შედარებით უმნიშვნელო საკითხს სპირტით ვაჭრობის დაშვების თუ აკრძალვის შესახებ. პარტიები განზრახ მალავდენ თავის ჭეშმარიტ სახეს, რომ არჩევნების წარმატებაზე უარყოფითი გავლენა არ მოეხდინათ.

თუ ასეთ პირობებში საარჩევნო ყუთებს უამრავი ამომრჩეველი მოაწყდა, ეს ბევრად მიეწერება იმ მოსყიდვის სისტემას, რომელიც არსად არ არის ისე გავრცელებული, როგორც ამერიკაში. ხმებს პარტიები პირდაპირ ყიდულობენ. ვისაც გააჩნია მეტი საარჩევნო ფონდი და ვინც მეტს მისცემს ამომრჩეველს, უმეტესად — ის იმარჯვებს.

მაინც დამახასიათებელია, რომ დემოკრატები სასტიკად დამარცხდნენ. ამერიკის ბურჟუაზია არჩევს თავისი ბედი მიანდოს შუბლშავარ რესპუბლიკანელებს და არა მათ ბუშებს, როგორიც დემოკრატები არიან. ესაა ბურჟუაზიის მარჯვნივ გადახრა, რაც ნაწილობრივ აიხსნება კომუნისტური მოძრაობის ზრდის შიშით.

როგორი იქნება ახალი პრეზიდენტის და მისი ადმინისტრაციის, მთავრობის პოლიტიკა? უნდა მოველოდეთ შეტევის გაძლიერებას მუშათა კლასზე და რეაქციის ფრთების უფრო გაშლას. ამავე დროს ამერიკის იმპერიალიზმი უფრო მაგარ ხაზს აიღებს როგორც ლათინურ ამერიკის, ისე ევროპის მიმართ. კერძოდ ის მოიწადინებს ვალების ამოქაჩვას ევროპის ქვეყნებისაგან და მათ დაქვემდებარებას მეტად, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებას, აქ რაიმე არსებითი ცვლილება არ არის მოსალოდნელი. გუვერი, რომელიც ერთ დროს ემხრობოდა აქტიურ პოლიტიკის წარმოებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ, ეხლა ჩვენთან აღებ-მიცემობის გაფართოვების გზას ადგას. ამას უკარნახებს მას როგორც ამერიკულ მრეწველობის პროდუქციისათვის ბაზრის მოპოვების აუცილებლობა, ისე მოქიშპე კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ბრძოლის ინტერესები.

ვ. ქ—ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

ფოსტა-ტელეგრაფის მტკივნეული საკითხები

დეპეშები ხშირად ჩამორჩება სისწრაფით საფოსტო კორესპონდენციებს. — ტელეგრაფის მუშაკები რაციონალურად არ არიან განაწილებული. — დაბალია აგრეთვე ტელეგრაფის ზოგიერთი მუშაკის კვალიფიკაცია. — უნდა გაძლიერებულ იქნას ფ.-ტელეგრაფის განყოფილებათა რევიზია. — მეტი ყურადღება პრესის ნაწარმოების გავრცელებას

რატომ მოიკოჭლებს ტელეგრაფის მუშაობა

(ზესტაფონი)

მიმდინარე წლის ივლისში ერთ-ერთ მოქალაქეს გამოეგზავნა დეპეშა ბორჯომიდან ზესტაფონში. დეპეშა სასწრაფო იყო. გამომგზავნი ატყობინებდა თავის ადრესატს, რომ ამა და ამ დღეს ჩამოვიდოდა მატარებლით და დამხვდი სადგურზეო. დეპეშის გამოგზავნის მეორე დღეს, დილის 9—10 საათზე, შემოდის ზესტაფონის ფ.-ტელეგრაფის კანტორაში დეპეშის გამომგზავნი, ბორჯომელი მოქალაქე და სურს გაიგოს, მიღებულია თუ არა მისი სასწრაფო დეპეშა ბორჯომიდან. მორიგემ ამოიღო დეპეშა და თვით გამომგზავნს მიაწოდა.

ადვილი გასაგებია, თუ რა ფასი აქვს ასეთ „სასწრაფო დეპეშებს“.

მეორე მაგალითი. შორაპნის სამპროფბიურომ გააგზავნა თბილისში პროფსაბჭოს სახელზე შემდეგი შინაარსის დეპეშა: „კონფერენცია გადადებულია სხვა დროისათვის, წარმომადგენელი ნუ ჩამოვაო“. მაგრამ გაგზავნილი დეპეშა არ მიუღია პროფსაბჭოს თავის დროზე და მეორე დღეს წარმომადგენელი ჩამოვიდა.

მესამე მაგალითი: 16 ოქტომბერს სამტრედიიდან გამოგზავნილი იყო დეპეშა ზესტაფონში ერთეოზ ცხადაძის სახელზე. ცხადაძე უნდა შეხვედროდა დეპეშის გამომგზავნს სადგურზე 1 საათის მატარებელზე. დილის 9 საათზე გამოგზავნილი დეპეშა ცხადაძემ მიიღო 2½ საათზე, ე. ი. მაშინ, როცა მატარებელი ხარაგოულში იქნებოდა.

ყველა ეს ფაქტები ნათლად მოწმობს, რომ ტელეგრაფი ზოგჯერ ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. ამის შემდეგ გასაგებია, რომ დეპეშის გაგზავნაზე უფრო სასარგებლოდ ხშირად წერილის გაგზავნა მიაჩნიათ.

ეს მდგომარეობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: პირველი ის, რომ ფ.-ტ. კანტორაზე არ არის დანაწილებული ნამბები მუშაობის მიხედვით. მაგალითად: ზესტაფონიდან გაგზავნილი ან გამოგზავნილი დეპეშები, ჯერ უნდა მიიღოს ქუთაისმა და მერე უნდა გადასცეს დანიშნულებისამებრ.

მეორე ხელის შემშლელი გარემოება ის არის, რომ არსებული შტატი არაა საჭიროების მიხედვით განაწილებული. მაგალითად, ქუთაისის ტელეგრაფს, ორი საათი რომ უძახო, შეიძლება მოხდეს სასწაული და როგორმე გიპასუხოს. ეს იმიტომ, რომ ერთი ელმწერელი—სამ-ოთხ ტელეგრაფის მანქანას ემსახურება. მაგალითად, ქუთაისის ერთი ელმწერელი მორიგეობს, ჭიათურის, ზესტაფონის, სამტრედიის და ონის სადგურებზე. განა ასეთ დიდ სადგურებს ეყოფა ერთი კაცი?

მესამე მიზეზი ის არის, რომ ახლად გამოშვებულ მოწაფეებს ამორიგებენ, რომლებსაც მუშაობა არ შეუძლიათ.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ფოსტა-ტელეგრაფის რწმუნებულმა.

გრ. სირბილაძე.

რა ხდება ჭრებალოს ფ.-ტელ. კანტორაში

(რაჭა—ლეჩხუმის მაზრა)

აშკარაა, რომ ფოსტა - ტელეგრაფის ქსელის მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს სოფლის და ქალაქის დაახლოების საქმეს, მის სწრაფ მოძრაობაზეა დამოკიდებული მთავრობის დირექტივებისა და კანონების გაცნობა მოსახლეობისათვის, მათი გატარება ცხოვრებაში და სხვა მრავალი. ამ მხრივ ბევრი ჩვენი ფ. ტ. განყოფილებები ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე. ეს გამოაშკარავა ჭრებალოს (რაჭა ლეჩხუმის მაზრის ცენტრი) ფ. ტელეგრაფის კანტორის რევიზიამ. რევიზია დაიწყო იმ მიზეზებით, რომ ფოსტა აგვიანებდა მიღებულ ფულების და ამანათების დანიშნულებისამებრ გადაცემას, ხოლო გათავდა იმით, რომ დაპატიმრებულ იქნა ფ. ტელეგრაფის კანტორის გამგე მოქ. იოსებ სურგულაძე.

რა გვიჩვენა რევიზიამ? 1 წლის განმავლობაში გაფლანგული აღმოჩნდა 2.000 მანეთი, საქმის წარმოება დომხალივითაა არეული. ორი კვირის განმავლობაში მიღებული უწყებები და სხვა ქაღალდები გაუტარებელია სათანადო წიგნებში, სხვადასხვა დაწესებულებისა და კერძო პირების სახელზე მიღებული ფული ორი თვეობით ჰყრია კანტორაში, მიღებული ამანათებიც ორ-ორი თვე და მეტიც უყურადღებოდაა კანტორაში, ფ. ტელეგრაფის კანტორა, მიუხედავად იმისა, რომ მას ყავს შტატში გაზეთების და წერილების დამტარებლები, სოფლად, არავითარ ყურადღებას არ აქცევს პრესის გავრცელებას. გაზეთები და წერილები იკარგება ან მათ თვეობით აგვიანდება.

კანტორის ზოგიერთი არამზადა თანამშრომლები, თავის მდგომარეობას ბოროტად იყენებდა. მაგალითად, მოქ. ცხვედიანი ტელეფონზე ლაპარაკის დროს ხშირათ კაცს პასუხს არ აძლევს, ხოლო თუ ქალის ხმა შემოესმა მას არშიყობასაც კი დაუწყებს; მოქ. ქართველიშვილი გასაგზავნ დეპეშის ფულს აიღებს თითონ ჩაიდებს ჯიბეში, ხოლო დეპეშა გაუგზავნელი რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფ. ტელეგრაფის ხელმძღვანელი ორგანოები ვერ უწევენ სათანადო კონტროლს თავის ქსელს. შემოღებულია, როგორც წესი წელიწადში ერთი რევიზია, რის გამო შეუძლებელი ხდება ბოროტების თავის დროზე გაგება, ამიტომ საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი სათანადო ორგანოების მიერ, რომ ბოროტების ყოველგვარი ცდა შეუბრალებლად აღმოიფხვრას.

ვ. ბეშიძე.

სიტყვა საქმეს უნდა ეხამებოდეს

(ყოფილ წითელ მეთაურთა შესახებ)

წითელი არმიის რიგებიდან ყოველწლიურად მიდის გრძელვადიან შვებულებაში უფპოლიტშემადგენლობიდან რამოდენიმე ათეული კაცი, რომელთაც გზავნის სამოქალაქო სამსახურში მთავრობასთან არსებულ სპეციალური კომისია.

ჯარიდან დაბრუნებულ პირებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია იმ დაწესებულება-წარმოებისათვის, რომელშიაც ისინი იმუშავებენ იმ მხრივ, რომ ისინი ხელს შეუწყობენ მუშა-მოსამსახურეთა გასამხედროების საქმეს.

სიტყვით დაწესებულებათა ხელმძღვანელნი ბევრს ლაპარაკობენ გასამხედროების მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ როდესაც ჯერი მიდგება გასამხედროების გამტარებელ ყოფილ წითელ მეთაურის სამსახურში მიღებაზე, ზოგჯერ ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ, რათა მეთაური არ მოხვდეს მათთან. თუ რატომ არის ეს ასე, ამას დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. აქ ნათლი-მამობა დიდ როლს თამაშობს. „ჩვენი კაცია, ნაცნობია, მეთაური გარეშე პირია“ და სხვა. აი, როგორ მსჯელობენ ხშირად ყოფილ წითელ მეთაურის სამსახურში მიღების დროს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით მთავრობის კომისია შეპყრობილია უიმედობით. რა ვქნათ, ცუდათაა საქმე, ადგილები არა გვაქვს და ვინ სად გავგზავნოთ არ ვიცითო. აი, პასუხი კომისიის მდივნის, რაც შეეხება თავმჯდომარის ნახვას, ეს ხომ სანატრელია. თუ წამოგცდებათ და გაამხელთ თავმჯდომარის ნახვა მინდაო, მდივანს ეწყინება. 120 კაცი დემობილიზაციაქმნილი წითელი მეთაური, დღეს უმუშევრად არის, მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც 8-10 წელიწადი ჯარში უმსახურია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია დაეხმარება კომისიას მუშაობაში და ეს მტკივანი საქმე მალე მოგვარდება.

მეთაური.

წითელი მხედრისადმი უყურადღებობის მაგალითი

1-ლ ქ.მ.დ. ცალკე მესანგრე ასეულში არსებობს საკონსულტაციო ბიურო, სადაც წითელ არმიელებს შეაქვს განცხადებები, რომ მათ ოჯახებს აღმოეჩინოს დახმარება არსებულ კანონების მიხედვით.

ამის თანახმად საკონსულტაციო ბიურო შუამდგომლობს სხვადასხვა დაწესებულებების წინაშე, რომ წითელ არმიელს გაეწიოს კანონით გათვალისწინებული დახმარება, მაგრამ ზოგიერთი დაწესებულებები დახმარების აღმოჩენის მაგივრად სწორ პასუხსაც არ იძლევიან.

აი, ამის მაგალითიც:

წითელ არმიელ ვლადიმერ გელაშვილმა, მცხოვრებმა ხაშურის თემის სოფ. სათივეში, განცხადება შეიტანა საკონსულტაციო ბიუროში. განცხადებაში წითელ არმიელი თხოულობდა, რომ მიეცათ მისთვის ხე-ტყის მასალა უფასოდ ან შეღავათიან ფასებში, რადგან მის ოჯახს საცხოვრებელი ბინა ქონდა ცუდი, რომელსაც შეკეთება ესაჭიროებოდა. აღნიშნული წითელ-ლაშქრელი არის ღარიბი. საკონსულტაცია ბიურომ აღუძრა მას სათანადო შუამდგომლობა ახალდაბის სატყეოს წინაშე 1927 წლის 10 ნოემბერს. რას ვხედავთ სინამდვილეში? ახალდაბის ტყის გამგე აგზავნის მიმართვას № 12-ს გორის სატყეოს სახელზე და გორის სატყეო თავის მხრივ უგზავნის საპასუხოდ მიმართვას ახალდაბის ტყის გამგეს:

„თქვენი № 12-ს თანახმად, გთხოვთ დააკმაყოფილოთ საშენი ხე-ტყით სოფ. სათივეში მცხოვრები წითელარმიელი ვლადიმერ გელაშვილიო“

ამ მიმართვას ახალდაბის ტყის გამგე აწერს რეზოლიუციას 24 იანვარს: „მიმართოს კურორტთა მთავარ სამმართველოს“-ო და მიწერ-მოწერას აგზავნის საკონსულტაციო ბიუროში ივნისის თვეში. ამის შემდეგ შუამდგომლობა გაგზავნილ იქნა კურორტთა მთავარ სამმართველოს სახელზე. კურორტთა მთავარი სამმართველო ასეთ პასუხს იძლევა: „მთხოვნელი უნდა დააკმაყოფილოს გორის სატყეომ“-ო.

ამრიგად, არც ერთს არ სურს წითელ არმიელის თხოვნის დაკმაყოფილება. პირველი აგზავნის მეორესთან, მეორე პირველთან, მიმოწერა დადის თერთმეტ თვეზე მეტია იქით და აქეთ. არ არის იმის იმედი, რომ საკითხი ახლო მომავალში მოგვარდება. გელაშვილი ისე გაათავებს სამხედრო სამსახურს, რომ ხე-ტყეს ვერ მიიღებს.

მომყავს მეორე მაგალითი. წითელ არმიელმა აფთონ მაქსიმეს-ძე მეფარიშვილმა (მცხ. ოზურგეთის მაზრის ერკეთის თემი) განცხადება შეიტანა ბიუროში, რომ მას ქონდა ჯარში გამოწვევამდე სახლის მასალა მის მეზობელ კოლია მგალობლიშვილთან ზიარათ დამუშავებული, და მისი ჯარში გამოწვევის შემდეგ მოზიარემ დაუკითხავად დაიწყო ამ მასალის დახარჯვა. ამის შესახებ საკონსულტაციო ბიურომ გაუგზავნა ერკეთის თემაღმასკომს მიმართვა, რომ ეს საქმე მოეგვარებია, მაგრამ აღმასკომმა საკითხი უყურადღებოთ დასტოვა. როცა წითელ არმიელის დედამ გამოსავალი ვერ ნახა, ადგა და წავიდა თავის შვილთან რამოდენიმე ათი ვერსის მანძილზე ფეხით. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ წითელ არმიელის ოჯახი არის ღარიბი. დედამ შესჩივლა შვილს თავისი გასაჭირი. ამ ამბავის დამსწრე წითელ არმიელები ძალიან აღალევა თემაღმასკომის ამგვარმა უყურადღებობამ. ასეთი შემთხვევა ხშირია.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ცაკი, რომელმაც გამოსცა კანონი წითელ არმიელთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, მიიღებს ზომებს, რომ ამგვარ უპასუხისმგებლობას არ იჩენდნენ ზოგიერთი დაწესებულებები.

წითელ არმიელი **ე. ბელელაძე.**

დახელოვნებული მექრთამე და კომბინატორი

(დვაბზუს თემი, გურია)

სოფლად ჯერ კიდევ არიან ისეთი ტიპები, რომლებიც სხვადასხვაგვარი გაიძვერობით ახერხებენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე წამოსკუპებას, ხოლო ამ მიზნის მიღწევის შემდეგ მუდამ იმას ცდილობენ, რომ როგორმე უკეთ მოაწყონ თავიანთი პირადი ცხოვრება. ერთი ასეთი ტიპი იყო დვაბზუს თემაღმასკომის თავმჯდომარე სეფე მახარაძე. სანამ სეფეს ამ თანამდებობაზე მოღვაწეობას შევეხებოდეთ, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ მის „სასახელო“ წარსულს.

1905 წლის რევოლიუციის დროს, სეფე მახარაძემ მოაწყო თავისი საკუთარი ბიძის დიანოზ მახარაძის მკვლელობა მისი გაძარცვის მიზნით. ამ ნიადაგზე შეუთანხმდა მაშინდელ ნაძირალებს, მათ შეპირდა, რომ მისცემდა ნაწილს იმ ოქროებიდან, რომელიც დიანოზ მახარაძეს თავის საკუთარ ქოხში სკივრით ქონდა ჩაფლული მიწაში. სანამ ყაჩაღები მკვლელობას მოაწყობდნენ სეფემ თვითონვე მოიპარა დიანოზის ოქროები, ხოლო თავდამსხმელებმა დიანოზის მოკვლის შემდეგ მის სახლში ვერაფერი აღმოაჩინეს.

ამ მკვლელობის გამო შეიპყრეს თავდამსხმელები. მათ თვით ხალხი ასამართლებდა. თავდამსხმელები კატეგორიულათ უარყოფდნენ ფულის მითვისებას, ხოლო მკვლელობაში კი გამოტყდნენ. ამ ხანებში დამარცხდა 1905 წლის რევოლიუცია და დიანოზ მახარაძის მკვლელებს ოფიციალურმა სასამართლომ საკატორღო ციხე მიუსაჯა სხვადასხვა ვადით. მკვლელობის მონაწილენი ყველანი ციხეებში დაიხოცნენ, ხოლო სეფე მახარაძემ კი თავი დაიძვრინა პასუხისმგებლობისაგან. მიუხედავად ამისა გლეხობამ სეფეს ბოიკოტი გამოუცხადა და რამოდენიმე ხნის განმავლობაში მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვეტილი ქონდა.

მენშევიკური ხელისუფლების დროს სეფე მახარაძე მენშევიკებს მიეტმასნა. მან ისარგებლა მაშინდელი შიმშილობით და თემში მოტანილი ხორბლის განაწილების ორგანიზატორის როლი იკისრა. ამასთან ერთად ის „სასურსათო საქმეების მოსაგვარებლად“ ხშირად მიბრძანდებოდა „კომანდიროვკის“ წესით თბილისში. სეფეს ამგვარი მოღვაწეობაც, რა თქმა უნდა გამოწვეული იყო თავისი პირად სარგებლობის თვალსაზრისით.

სეფე მახარაძე გამჭრიახი ალღოს კაცია. მან ითარეშა მენშევიკებთან ერთად ხალხის ზურგზე, ხოლო, როცა მენშევიკებთან მის მდგომარეობას წყალი შეუდგა, ბოლშევიკურ არალეგალურ ორგანიზაციებს დაუწყო არშიყობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სეფე მახარაძე „ძველ“ კომუნისტად აცხადებს თავის თავს.

ის მალე იჭერს თემაღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობას და ამავე დროს ერთი წუთითაც არ ივიწყებს საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას.

რამოდენიმე წლის შემდეგ, როგორც იქნა, ის ჩამოაშორეს თემაღმასკომის თავმჯდომარეობას, მაგრამ ისევ ახერხებს ამ თანამდებობაზე წამოსკუპებას და სწორედ აქედან იწყება მისი საბოლოო გახრწნა.

უკანასკნელ დროს სეფემ ხელი მიყო ფართედ ცხოვრებას. გლეხობას დიდი ხანია შექონდა ეჭვი, რომ თავისი ჯამაგირით სეფე ასე ხელგაშლილათ ცხოვრებას ვერ შესძლებდა, მაგრამ მახარაძე ოსტატურად მუშაობდა. ვერავინ დაიჭირა ბოროტმოქმედებაში. უკანასკნელად ამ ბნელი საქმის გამომჟღავნება მოხდა სეფესთვის სრულიად მოულოდნელ პირობებში. დვაბზუს თემში დაპატიმრებულ იქნა ადგილობრივი ფერშალი ნოე კვირკელიძე. კვირკელიძის ცოლს სეფემ აღუთქვა ქმრის განთავისუფლება, თუ ის ამ უკანასკნელის ქრთამად მისცემდა 400 მანეთს. ქალი დაფაცურდა. ფულის ერთი ნაწილი ჩააბარა სეფეს, ხოლო დანარჩენის საშოვნელად მიმართა ერთ-ერთ თავის ნათესავს და თანაც გაუმხილა მას, თუ რისთვის ესაჭიროებოდა ეს ფული. ეს ამბავი მივიდა სამაზრო ხელისუფლების ყურამდე. დაიბარეს კვირკელიძის ცოლი, გამოკითხეს საქმის ვითარება, ჩააბარეს საგანგებოდ დანომრილი ფული სეფესთვის გადასაცემად და თანაც გამოაყოლეს ადმინისტრაციის თანამშრომელი სეფეს დასაპატიმრებლად. სეფემ ქრთამად აღებული ფული ჩაიბარა, თან ქალს გაუპატიურება მოუნდომა, მაგრამ ის იქვე დააპატიმრეს და ფულიც ჯიბეზე უნახეს.

ასე დასრულდა სეფე მახარაძის „მოღვაწეობა“ თემაღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პროლეტარული სასამართლო სამაგალითოდ დასჯის მექრთამე სეფე მახარაძეს, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში თავისი უმსგავსო საქციელით სახელს უტეხდა საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელ მასებში.

სადგისი.

პენსია ნიღაბაფარებულ მტერს

(ს. აკეთი, გურია)

აკეთის თემის მცხოვრები, ყოფილი მღვდელი და უკანასკნელად მასწავლებელი კოწია შარაშიძე სამსახურიდან გავიდა და პენსია მიიღო. ამ პირმა მასწავლებლობა დაიწყო 1897 წელს და იმსახურა რაღაც 2—3 წელიწადი. შემდეგ კი ეკურთხა მღვდლად და შეუდგა მშრომელი გლეხობის გაწმენდას „ცოდვებისაგან“. სანამ რევოლიუცია იფეთქებდა, კოწია შარაშიძე უდარდელად გრძნობდა თავს. პირველ რევოლიუციას 1905 წელში და 1917 წლის თებერვლის რევოლიუციას კოწია ადვილად გადაურჩა, მაგრამ 1921 წელში, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, მღვდელს დავთრები დაებნა.

პირველ ხანებში ხუცესი შავი ანაფორით დადგა ქადაგად გლეხობაში. მახსოვს, როგორ არიგებდა ის გლეხებს „გაგურის დუქნებზე“: „ხალხნო, არ გადაცდეთ, არ აჰყვეთ მაგ არამზადა ბოლშევიკებს, მაგენი დღეს თუ ხვალ გაქრებიან, სარწმუნოება არ მიატოვოთ, არ დაივიწყოთ ღმერთი. სხვა, რომ არ იყოს, ნათესაობა არ გწამთ? კომუნისტებისათვის ხომ არ არსებობს ნათესაობა, ნათელ მირონი“.

გადის წლები და საბჭოთა ხელისუფლება მტკიცდება. გლეხებმა დაანგრიეს ეკლესია, დარჩა მღვდელი უმრევლოდ, უეკლესიოდ. და 1923 წელს გაიხადა მან ანაფორა, შვილები ჩაეწერა კომკავშირში, თითონაც ვითომდა ერთგული საბჭოთა მუშაკი გახდა. დაუწყო ქება-დიდება მის მიერ გალანძღულ კომუნისტებს. თან პურმარილი აამუშავა. მისი ოჯახი, ხომ მდიდარია ძველი დოვლათით! დაიახლოვა აკეთის საპასუხისმგებლო პოსტზე მდგომი კომუნისტი ამხანაგები, გაუშალა ფართე სუფრა, დაფაცურდა ფოფოდია მატრონეც. ჩააჩაჰაპურეს სტუმრები. არ გაუშვეს ხელიდან ზოგიერთი მაზრიდან ჩამოსული ამხანაგებიც კი.

კოწია შარაშიძემ მალე გაისწორა ნახარჯი. თვითონ პენსიონერი, სკოლის გამგე, უფროსი შვილი შვიდწლედის გამგე და უმცროსიც დღე-დღეზე ელის მასწავლებლობას — ეს იმ დროს, როდესაც აკეთის თემში ღარიბესი გლეხის შვილები, რომელთაც მასწავლებლობა შეუძლიანთ, უადგილოთ არიან.

საიდან აქვს ამ კაცს 25 წლის სამასწავლებლო სტაჟი? მისი მასწავლებლობა სისტემატიური არ ყოფილა. ჩვენი ხელისუფლება მღვდლობისათვის და ხალხის გატყავებისათვის, როგორც ვიცით, პენსიას არავის უნიშნავს. მაშ რაშია საქმე? ეს საკითხი მოითხოვს გამორკვევას. მაგრამ ვშიშობთ, პურმარილმა კიდევ თავისი ძალა არ იქონიოს.

მინდა შევეკითხო იმათ, ვინც ხელს უწყობს ნახუცარა შარაშიძეს პენსიის მიღებაში: განა არ იცნობთ კოწია შარაშიძეს, არ იცით მისი წარსული? განა შეიძლება მასზედ ითქვას, რომ ის მშრომელი ხალხის მეგობარია? რომ დრო დაუდგეს, ყელს არ გამოგვჭრის? ანაფორას არ ჩაიცვამს ისევ? სოფლად ჩვენი დასაყრდენი უღარიბესი გლეხობაა თუ ასეთი ნიღაბაფარებული მეგობრები?

განა ღარიბია კოწია შარაშიძე? მან ხომ შარშან ფული კერძო პირზე თითო მანეთით სარგებელში გაასესხა. მასწავლებელმა კაცმა, თუ მან ფული ჰქონდა გასასესხებელი „საკრედიტო ამხანაგობა“ ვერ მიაგნო?

ასეთ კაცზე იხარჯება ჩვენი დამზღვევი სალაროს კაპეიკები. და ეს მაშინ, როცა ათასები, ნამდვილად მშრომელნი ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაგვიკმაყოფილებია.

პარტიელი.

კარებიდან გამოგდებული ფანჯარაში შემოძვრა

12 ოქტომბერს ს. მ. უ. ს.-ში დაიწერა ბრძანება, ს. მ. უ. ს. ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორიიდან აბრამ შტრომბერგის სამსახურიდან მოხსნის შესახებ. აბრამ შტრომბერგის სახელი მეტად პოპულიარულია თბილისის სპეკულიანტებში. სწორედ 12 ოქტომბრამდე აბრამ შტრომბერგი მსახურობდა ს. მ. უ. ს. ლაბორატორიის სავაჭრო განყოფილების გამგეთ. აბრამის ძმას დავითს აქვს საკუთარი მაღაზია, რომელშიაც იგი ვაჭრობს ლაბორატორიული საქონლით და მოწყობილობით. ასეთი მაღაზიები უწინ სხვებსაც ჰქონდათ, მაგრამ ვერავინ ვერ გაუძლო სახელმწიფოებრივი სავაჭრო ორგანიზაციების კონკურენციას და ვაჭრობასაც თავი მიანებეს. დავით შტრომბერგი გამონაკლისში მოხვდა. მას, ეხლაც ყველაფერი აქვს თავის მაღაზიაში და უფრო იაფად ვაჭრობს, ვიდრე წინად.

საიდან, როგორ? მისი ძმა აბრამი ხომ ს. მ. უ. ს. ლაბორატორიაში მსახურებდა! ამ ზაფხულზე, მაგალითად, ნაფტალინს რომ ვერსად იშოვნიდით, დავითის მაღაზიაში რამდენიც გნებავდათ იმდენი იყო. ვანილინი ითვლება ძვირფას საიმპორტო საქონლათ. აბრამ შტრომბერგმა ვანილინის დიდი პარტია გამოიტანა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატიდან, ვითომ ლაბორატორიისათვის, მაგრამ იგი სულ მოკლე ხანში დაარიგა კერძო ვაჭრებს შორის. ასეთ სარფიან საქმეში ძმას ხომ არ დაივიწყებდა. მაშინ ვანილინის კომბინაციაზე ბევრმა სპეკულიანტმა მოითბო ხელი.

თბილისში არსებობს ფოტოგრაფიული ქაღალდების მწარმოებელთა ამხანაგობა „პიკა“-ს სახელწოდებით ამხანაგობის წევრები მალე დარწმუნდნენ, რომ აბრამ შტრომბერგი მათთვის სასარგებლო პიროვნება იქნებოდა და ერთი კომბინაციაც სწრაფად გაჩარხეს. შტრომბერგმა ლაბორატორიის რწმუნების ქაღალდი მისცა „პიკას“ წარმომადგენელს იაკ. ხრაბროვეცკის, რომელიც გაემგზავრა მოსკოვში და „გოსზნაკიდან“ გამოიტანა საჭირო რაოდენობის ე. წ. ბარიტის ქაღალდი. ამ კომბინაციაზე ხელი მოითბო ხრაბროვეცკიმაც და შტრომბერგმაც, ხოლო ს. მ. უ. ს. ლაბორატორიამ კი იზარალა ე. წ. დანართი ხარჯების 25—30 პროცენტი.

ს. მ. უ. ს. ლაბორატორიაში „რატომღაც“ მსახურებდა ვოიაჟორად ვინმე პეჩენეკი. პეჩენეკის მოვალეობას შეადგენდა შეკვეთების შოვნა ლაბორატორიისათვის, მაგრამ მოჰქონდა თუ არ მოჰქონდა მას შეკვეთები, სულ ერთია პროცენტებს ლაბორატორიის ყველა შეკვეთებიდან იღებდა მაინც (საქმე სავაჭრო განყოფილებას ეხებოდა და იქ ხომ შტრომბერგი იყო). შეაწერეს პეჩენკს საშემოსავლო გადასახადი. საშემოსავლო გადასახადი, ხომ შემოსავლის კვალობაზე უნდა გადაიხადოს მოქალაქემ? და პეჩენკსაც გვარიანი თანხა ხვდა წილად. შტრომბერგი აქაც გამოუჩნდა პეჩენკს მხსნელად და მისცა ყალბი მოწმობა, რომ „მოქ. პეჩენკს თვიურ ხელფასად ეძლევა ასი მანეთი“. მოწმობამ თავის საქმე გააკეთა და შტრომბერგსაც სიკეთე აუნაზღაურდა.

ყველაფერი ის, რაც ნათქვამია ამ წერილში დამტკიცდა სპეციალური სარევიზიო გამოკვლევით, რომელიც ჩაატარა ს. მ. უ. ს. სარევიზიო განყოფილებამ. შეიძლებოდა კიდევ მეტი მაგალითების მოყვანა მოქ. აბრამ შტრომბერგის მოღვაწეობის დასახასიათებლად, მაგრამ ისიც რაც ითქვა საკმაოა.

როგორც ვსთქვით, 12 ოქტომბერს შტრომბერგი დაითხოვეს ს. მ. უ. ს. ლაბორატორიიდან და არ გაუვლია ერთ კვირასაც, რომ იგი უკეთეს სამსახურზე მოეწყო განათლების განყოფილების თვალსაჩინო ნივთების ინსტიტუტში. ჩვენ არ ვიცით, რა გასაქანი უნდა ექნეს იქ შტრომბერგის მსგავს სამეურნეო დარგის „მუშაკს“.

ხრაბროვეცკების და პეჩენკების ტიპებს ყოველთვის შტრომბერგებთან აქვთ ბინა.

განათლების განყოფილებაში კარგად იციან შტრომბერგის მოღვაწეობის ამბავი ს. მ. უ. ს. ლაბორატორიაში, მაგრამ იგი მაინც სამსახურში ყავთ.

საინტერესოა, ვიცოდეთ რატომ ხდება ის, რომ ერთი დაწესებულებიდან მოხსნილ შტრომბერგებს ხშირად მეორე დაწესებულებაში უკეთეს ჯამაგირს უნიშნავენ.

რატომ მოხდა ეხლაც, რომ სამსახურში მიიღეს კაცი, რომლის წარსულიც ძალიან საეჭვოა და რომელსაც კარგად ახასიათებენ ზემო მოყვანილი ფაქტები?

ამაზე იტყვიან: კარებიდან გამოგდებული—ფანჯარაში შემოძვრაო.

ვ. ზ—ნი.

კულაკების და მოლას მფარველი თავმჯდომარე

(ბორჩალოს მაზრა)

სახელმწიფო დაზღვევა ღარიბ გლეხობის 15 პროცენტს ანთავისუფლებს სადაზღვევო ანარიცხებიდან, საქონელს მათ უსასყიდლოდ უზღვევს. ამ მიზნით სახელმწიფო დაზღვევას გადადებული აქვს სპეციალური ფონდი. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ეს ფონდი ამიერ-კავკასიაში სრულიად არ ნაწილდებოდა. ეს უნდა მიეწეროს ზოგიერთ ადგილობრივ ორგანოთა და სახ. დაზღვევის აგენტების საქმისადმი დაუდევრობას. შეღავათები უნდა გაანაწილოს სპეციალურმა კომისიამ, რომელიც შესდგება თემსაბჭოს წარმომადგენლისა და გლეხთა და მოჯამაგირეთა კომიტეტების თავმჯდომარეებისაგან. ამჟამად საჭიროა გამოსწორდეს წარსული წლების შეცდომები. მაგრამ ამ ახალ საქმეში უკვე აქვს ადგილი გადამახინჯებას. ამის ნიმუშს წარმოადგენს სოფ. არახლოსა და ქოლაგირში მომხდარი შემთხვევები. აქ შესდგა კომისია სახ. დაზღვევის შეღავათის განაწილების მიზნით. კომისიას თავმჯდომარეობდა არახლოს თემსაბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ცაკის წევრი ფაშა ჰასან ოღლი. კომისიამ განთავისუფლებულთა სიაში მოახვედრა აშკარა „კულაკები“ და შეძლებული გლეხები. მაგალ. სოფ. ქოლაგირიდგან: 1. სოიუნ გულუ ახუნდოვი, რომელსაც ჰყავს 16 სული მსხვილი საქონელი, 60 ცხვარი და რომელიც მოლაა; 2. მადათ ნაზი ოღლი, რომელსაც ყავს 10 სული მსხვილი საქონელი; 4. ბაირამ აბდულა სამად ყურბან ოღლი, ყავს 19 სული მსხვილი საქონელი' 4. ბაირან აბდულა ოღლი, ყავს 16 სული მსხვილი საქონელი.

სოფ. არახლოდგან: 1. სამად მუსა ოღლი, ჰყავს 16 მსხ. საქონ., 100 ცხვ. 2. უმბათ ასან ოღლი—ყავს 14 სული მსხვ. საქ. და 70 ცხვარი; 3. მუსტაფა ისა ოღლი, ყავს 13 სული მსხვ. საქ. და 70 ცხვარი; 4. მოლა შარიფ ჰაზუმ ოღლი, ყავს 14 სული მსხ. საქ. და 60 ცხვარი.

სახელმწიფო დაზღვევის აგენტმა პროტესტი განაცხადა ამის გამო როგორც კომისიაში, ისე ცაკის წევრ ფაშა ჰასან ოღლისთან, რომლისგანაც მიიღო ამაყი პასუხი: „ჩვენ გვინდა, რომ გავანთავისუფლოთ და ასეც უნდა მოხდესო“. პარტიისა და ხელისუფლების ხაზის ამ უმსგავსო დამახინჯებაში დამნაშავეა არა მარტო ფაშა ჰასან ოღლი, არამედ მთელი კომისია, რომელიც მხარს უჭერდა კულაკთა და მოლის დამცველს.

კ. ლოლობერიძე.

რა სპობს ლანჩხუთის ტყეს

(გურია)

ლანჩხუთის ტყე განთქმული იყო გურიაში, თავისი ხის მასალის სიმდიდრით, მაგრამ დღეს ეს ტყე გაჩანაკებულია. ამას ზოგიერთი პასუხისმგებელ ამხანაგებმაც ძალიან შეუწყვეს ხელი, ტყით სარგებლობდენ ისეთი პირებიც, რომლებთაც კანონი არ ერგებოდა ტყე. მოვიყვანოთ მაგალითები: ერთ სახლდამწვარ გლეხს, უკიდურეს ღარიბს მისცეს მოწმობა სახლის მასალის გამოსატანად. მაგრამ დამზადებული მასალა დალპა ტყეში. ხე-ტყის ტრესტმა არ დართო მას ნება ტრესტის პატარა ორთქმავალით ესარგებლა, რასაკვირველია ფასად. სამაგიეროთ კი შ. ფ. ცინცაძემ სამი დღის განმავლობაში დაამზადა ტყეში მასალა და გამოიტანა ტრესტის საშუალებით. ე. წილოსანს ხომ მუდამ გამოქონდა შეშა ტრესტისვე დახმარებით. რომ გეკითხათ, თეატრს უნდა მოვახმაროოო. ნამდვილად კი პირადად სარგებლობდნენ.

კ. მენაღარიშვილი და დ. ლომაძეც სხვას არ ჩამორჩენია. ასევე ისარგებლა ტყით ვ. ებრალიძემ. ამ კამპანიას ს. გვარჯალაძემაც დაუმშვენა მხარი და სახლის მასალას შეშაც გამოაყოლა.

ზემოხსენებულ პირებს არც სახლი აკლია და არც კარი. ვინ მისცა მათ იმის ნება, რომ პირადი საჭიროებისათვის ტყე გაენადგურებიათ, მაშინ როდესაც მართლა უსახლკარო და ღარიბი გლეხები ვერ სარგებლობდნენ ტყით? ადგილობრივი ხელისუფლება მხარს უჭერს ტყის გამანადგურებელ მუშაობას. აღმასკომის მდივანს ს. ურუშაძეს ცხრათვალიანი სახლი აქვს, მან შეადგინა საბუთები, „დაკვრითი წესით“ გამოიტანა მასალა და ფულად აქცია, ასევე მოიქცა დამზღვევ სალაროს გამგე ქავჭანიძე და ასე იქცევა ზოგიერთი სხვებიც. არ გვჯერა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ბოროტმოქმედნი დაუსჯელად დასტოვოს.

მცოდნე.

კერძო მესაფლავეები—კოოპერაციის მესაფლავენი

„როსტომოვი და კომპანია“! ბევრი ალბად არ იცნობს ამ ფირმას. მაგრამ ის, ვისაც ოჯახის წევრი გარდაცვლია, უთუოდ ტკბილი სიტყვით არ მოიხსენიებს როსტომოვისა და კომპანიის ფირმას.

იშვიათად თუ გარდაიცვლებოდა თბილისში ვინმე, რომ როსტომოვს მკვდრის სუნი არ სცემოდა და ხელად არ აემუშავებინა აპარატი. მიცვალებულის ჭირისუფალს მაშინვე მოადგებოდა როსტომოვის ფირმის აგენტი ბარათით: „ს. გ. როსტომოვი და კომპანია, პლეხანოვის პროსპექტი № 30, ტელეფ. 22—03. განყოფილებები გვაქვს კახეთის ქუჩაზე № 51 და ოლღას ქ. № 27. ბინა და საწყობები მოთავსებულია ელისაბედის ქ. № 43. ღამით მორიგეობა სწარმოებს ტელეფონთან № 22—03. ვემსახურებით: მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის), სამხედრო ჰოსპიტალს, ქალაქის პირველ (ყოფ. არამიანცის), ქალაქის მეორე (ყოფ. ალექსანდრეს), და „კამოს“ სახელობის საავადმყოფოს და დამზღვევ სალაროს. მოგვეპოვება მრავალი სხვადასხვა სახის კუბოები, გვირგვინები, ბალდახინები და სხვ. კავშირის და დამზღვევ სალაროს წევრებს ვაძლევთ შეღავათს. თუ დაწესებულება იკისრებს პასუხისმგებლობას, დასაშვებია ფულის ნაწილ - ნაწილად გადახდა“.

ამრიგად „ს. გ. როსტომოვი და კომპანია“ სახუმრო კომერციულ ორგანიზაციას არ წარმოადგენს. მას ხელში ეჭირა არა მარტო ბინაზე გარდაცვალებულთა დაკრძალვის საქმე, არამედ ყველა თბილისში არსებული საავადმყოფოები, ხელშეკრულება ჰქონდა დამზღვევ სალაროსთან, შეღავათებს ანიჭებდა კავშირის წევრებს და „მუშათა კრედიტის“ პოლიტიკასაც აწარმოებდა დაკრძალვის დარგში. გარდა ამისა „როსტომოვის და კომპანიის“ ფირმას ძველი რეპუტაცია ჰქონდა ქალაქში, საუკეთესო ინვენტარი მხოლოდ მას მოეპოვებოდა. ამიტომ იყო, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ ფირმამ ბარგი აუკრა წვრილ ხელოსან მეკუბოებს, ის თითქმის მონოპოლისტად გადაიქცა მკვდრების ექსპლოატაციის ფრონტზე.

როსტომოვის ფირმა დღითი დღე იზრდებოდა. იყვლიფებოდა არა მარტო უბედურებაში ჩავარდნილი, მიცვალებულის ხშირად ისედაც გაძვალტყავებული ჭირისუფალი, არამედ ზარალობდნენ სახელმწიფო ორგანიზაციებიც, რომელთაც როსტომოვთან მჭიდრო საქმიანი კავშირი ჰქონდათ გაბმული. როსტომოვი და კომპანია ზეპირ სიტყვაზე არ მუშაობდა. მას ყველა საავადმყოფოებთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულებები, რომლებშიაც გარკვევით იყო ჩამოყალიბებული კერძო ფირმის უფლებები. საავადმყოფოში შემოსული ყველა ავადმყოფი როსტომოვის აგენტებს აღრიცხვაზე ყავდა აყვანილი, ვერ მიასწრებდნენ ახლად მიცვალებულის საწოლიდან [illegible] გადატანას, რომ როსტომოვის ფირმამ უკვე იცოდა მისი ჭირისუფლების მისამართი, მათი ავანჩავანი, სარწმუნოებრივი განწყობილება, ქონებრივი შესაძლებლობა და სხვა. [illegible] მეკუბოვეა როსტომოვი, მას კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამ დეტალებს საქმისათვის. და მიცვალებულის ჭირისუფლებიც ხშირად ებმებოდნენ მესაფლავე როსტომოვის მიერ ოსტატურად დაგებულ ბადეში.

ასე თავისუფლად დათარეშობდა კერძო ფირმა „მიცვალებულთა ბაზარზე“. ჩვენს კოოპერატიულ ორგანოებს არ ეცალა ამ ფრონტისათვის. ის ალბად მცირემნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდათ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჯერი როსტომოვზედაც მიდგა. ამ საკითხით დაინტერესდა სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი. კომისარიატის ინიციატივით ომის ინვალიდებიდან შესდგა არტელი „დაფნა“, რომელსაც დაეკისრა დაკრძალვის საქმის ხელმძღვანელობა, მუშათა და მოსამსახურე მასებისათვის რაც შეიძლება შეღავათიანი პირობების შექმნა და უპატრონო მიცვალებულთა მოვლა. დაიწერა არტელის წესდება, რომელიც დაამტკიცა სათანადო ორგანომ. არტელმა გახსნა თავისი სახელოსნოები, შეადგინა შტატი და შეუდგა მუშაობას. მაგრამ მის წინაშე თავიდანვე აღიმართა სიძნელენი.

„როსტომოვმა და კომპანიამ“ იგრძნო საფრთხის მოახლოება. არც ისე ადვილი აღმოჩნდა როსტომოვთან ბრძოლა. ყველგან, სადაც კი არ მიმართა არტელმა, მას წინ ეღობებოდა „როსტომოვისა და კომპანიის“ უხილავი მავნე ხელი. ამუშავდა როსტომოვი და მასთან ერთად ამოძრავდა ყველა ის ქსელები, რომლებიც კერძო ფირმის ხელში იყო. სამწუხაროდ და სამარცხვინოდ „როსტომოვისა და კომპანიასთან“ ერთი ფრონტით ზოგიერთი ჩვენი საავადმყოფოებიც კი გამოვიდა. არტელს ხელმოსაწერად უდგენდნენ ისეთ პირობებს, რომელთა შესრულება ყოვლად შეუძლებელი და მიუღებელი იყო, არტელის წარმომადგენლებს მოლაპარაკების დროს ექცეოდნენ ისე როგორც როსტომოვის მებალდახინესაც არ მოეპყრობოდნენ. საჭირო გახდა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატების საქმეში ჩარევა, რომ დაძლეული ყოფილიყო ის ჩუმი წინააღმდეგობა, რომელსაც არტელს უწევდა ზოგიერთ საავადმყოფოების ხელმძღვანელი.

არტელი საკითხს თავიდანვე ასე აყენებდა. ჩვენ არ მოვითხოვთ ადმინისტრატიულ საშუალებებით ბრძოლას კერძო ფირმასთან, ჩვენ გირდგენთ გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებს, ვიდრე როსტომოვი და კომპანია, მოგვეცით საშუალება ვიმუშაოთ. დიდი ბრძოლა დარჩა საჭირო იმისათვის, რომ არტელს მოეპოვებია ცოტათ თუ ბევრად ნორმალური მუშაობის საჭიროება. როსტომოვის ფირმის უხილავი ხელი მძლავრად მოქმედებდა.

ხელშეკრულების დადების შემდეგ რესპუბლიკის მთავარ კლინიკის ზედამხედველმა არ დაუთმო არტელს საავადმყოფოს ფურგონი და ცხენები უპატრონო მიცვალებულთა დასაკრძალავად. როსტომოვის ფირმა კი ამ პრივილეგიით უხსოვარი დროით სარგებლობდა. გარდა ამისა ხელშეკრულების დადების შემდეგ ყოფილ მიხეილის საავადმყოფომ პირობაზე მიაწერა ერთი მუხლი, რომლის თანახმად მიცვალებულთა სასვენ ოთახში შესვლის უფლება უნდა მისცემოდა ყველა დამკრძალავ ბიუროებს. ფაქტიურად ეს იმას ნიშნავდა, რომ ინვალიდთა არტელს უკვე დადებულ ხელშეკრულების თანახმად დასაკრძალავად დარჩებოდა უპატრონო მიცვალებულნი, ხოლო როსტომოვის ფირმას საშუალება მიეცემოდა ფასიან მკვდრებზე მოეთბო ხელი. აქაც საჭირო დარჩა საქმეში კომისარიატის ჩარევა.

ამრიგად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ კერძო ფირმა ებრძვის ეკონომიურად და ადმინისტრატიულად კოოპერატიულ გაერთიანებას და ადმინისტრატიულ ბრძოლის იარაღს ვაჭრის ხელში წარმოადგენენ ჩვენი დაწესებულებანი.

არტელი „დაფნა“-ს შექმნამ უკვე პირველ დღებიდანვე გამოიღო თავისი ნაყოფი. კონკურენციით დამფრთხალ როსტომოვის ფირმამ საზღაპროდ დაუკლო ფასებს. უკანასკნელ ხანებში როსტომოვი და კომპანია აშკარად დეფიციტით მუშაობს, იმ მიზნით, რომ თავიდანვე ნიადაგი გამოაცალოს არტელს. შემდეგ კი, თუ არტელი დაეცა, დანაკლისი ერთი ორად ანაზღაურდება. როსტომოვი არც ამით დაკმაყოფილდა. ის კოოპერატიულ გაერთიანების წინააღმდეგ რაზმავს კერძო ვაჭრებს. როსტომოვმა კარგად იცის, რომ ძალა ერთობაშია. ამიტომ „როსტომოვის ფირმა“ ახდენს ქალაქში მომუშავე წვრილ დამკრძალავ ბიუროების მობილიზაციას. აი, რას სწერს თავის განცხადებაში ამის შესახებ ერთ-ერთ კერძო დამკრძალავ ბიუროს მუშა ვასილ ვოზნიაკი, რომელიც აღშფოთებულია კერძო ვაჭრის ოინებით.

> „გაცნობებთ, სწერს ვოზნიაკი ინვალიდებს, რომ კოოპერატიულ დამკრძალავ ბიუროს შექმნის პირველ დღეებიდანვე კერძო ვაჭარი როსტომოვი ყოველნაირად ცდილობს თქვენთვის ხელის შეშლას. 5 ნოემბერს როსტომოვმა თავის ბინაზე მოაწყო კრება, რომელსაც დაესწრო თვითონ როსტომოვი, ბახშო ედიგაროვი, გრიშა ტატიანცი და დაკრძალვის საქმეზე მომუშავე სხვა კერძო ვაჭრები. ამ კრებაზე, სადაც მე შემთხვევით მოვხვდი, როსტომოვმა, სხვათა შორის, განაცხადა: „სანამ მე ცოცხალი ვარ არ დაუშვებ, რომ კოოპერატიულ არტელმა გაიმარჯვოსო“.

ის კერძო დამკრძალავი ბიუროები, რომელნიც არ ემორჩილებიან როსტომოვის ფირმის განკარგულებებს, დიდ რისხვას იმსახურებენ კოოპერაციის სიძულვილით გალოფებულ ვაჭრისაგან. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს კერძო დამკრძალავ ბიუროს მუშაკის, ალისა მაიერის განცხადება, სადაც ნათქვამია:

> „მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს მე ვთხოვე კოოპერატიულ დამკრძალავ ბიუროს ერთი ბალდახინი. მაშინვე მოვარდა ჩემთან როსტომოვი და საყვედური მითხრა ამის გამო. როსტომოვმა წინადადება მომცა მე მომავალში აღარ მივაქირავო ბალდახინი კოოპერატიული ამხანაგობას და თან აღმითქვა ბალდახინის ქირის მიცემა. ოღონდ ბალდახინი იდგეს ერთ ადგილას და ნუ ისარგებლებს იმით კოოპერატიული დამკრძალავი ბიუროო“.

ბრძოლა კვდრისათვის მარტო ამით არ ამოიწურება. ისიც ხდება, რომ კოოპერატიული დამკრძალავი ბიურო იწყებს საქმეს, ჩაიბარებს მიცვალებულს დასაკრძალავად, ხოლო როსტომოვი კოოპერატივის ზურგს უკან მიცვალებულის ჭირისუფლებთან აწყობს საქმეს. ასე მაგალითად, მიცვალებულის ჭირისუფლის მისამართს ყოფ. ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფო არ აძლევს არტელს, რადგან ეს მიღებული არაა. მიუხედავად ამისა, 3 ნოემბერს როსტომოვის ფირმა ადრევე ტყობილობს, გზავნის აგენტებს ბინაზე ერთ-ერთ მიცვალებულის ჭირისუფალთან. აღნიშნული მიცვალებულის დაკრძალვა დაკისრებული ჰქონდა კოოპერატიულ ბიუროს.

> „3 ნოემბერს, ასე სწერენ თავიანთ განცხადებაში მიცვალებულთა ჭირისუფალნი, ჩვენთან გამოცხადდა ორი კაცი „როსტომოვისა და კომპანიის“ ფირმიდან. მათ შეგვატყობინეს, რომ ჩვენი ავადმყოფი გარდაიცვალა და დაბეჯითებით გვთხოვეს, მაშინვე გვეყიდნა კუბო აღნიშნულ ფირმის მაღაზიაში“...

ასეთი ფაქტები მრავალზე უმრავლესია. გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს კოოპერატიულ ორგანიზაციასა და კერძო ვაჭარს შორის. არაჩვეულებრივი აქ არაფერია, რომ ეს ბრძოლა თავისებურ ხასიათს ატარებდეს. ეს თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ კერძო ფირმა პრივილეგიურ მდგომარეობაშია. ის მოქმედებს მთელი თავისი გავლენით, ყველა თავისი შესაძლებლობით, მას ამ ბრძოლაში მხარს უმაგრებენ ისინი, ვინც მოწოდებულია ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ კოოპერაციას.

ბრძოლა კვდრისათვის არის ამავე დროს ბრძოლა მკვდარსა და ცოცხალს შორის, კერძო და კოოპერატიულ ვაჭრობის შორის. რაც არ უნდა მოხდეს, მესაფლავე როსტომოვის ფირმა ამ ბრძოლაში უნდა დასაფლავებულ იქნას. მაგრამ თუ ისეთი მეთოდით ვებრძოლეთ კერძო ვაჭარს, როგორც ამას დღემდე ჰქონდა ადგილი ზოგიერთ საავადმყოფოებში, „როსტომოვის კომპანიას“ არა თუ დავამარცხებთ, არამედ ფრთებს შევასხამთ და გავაძლიერებთ.

ზანი.

გამოძახილი წერილებზე

გაზ. „კომუნისტი“-ს ოქტომბრის ნომერში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელში მოთავსებული იყო ალექსანდრე საჯაიას წერილი სათაურით: „ვინ თაღლითობს“? წერილის შინაარსი გაუგებრობაზეა აგებული.

ლიხაურის ფოსტა-ტელ. საგენტოში საჯაიას ფული 20 მანეთი მოვიდა 1 ოქტომბერს. მეორე დღესვე ფოსტის დამტარებელმა შეატყობინა ეს საჯაიას ოჯახს და ფულიც მიიტანა გადასაცემად, მაგრამ, რადგან მისამართში აღნიშნული პირი სახლში არ აღმოჩნდა, ფული დამტარებელმა უკანვე მოიტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოსტის დამტარებელს ევალება თემის სხვადასხვა უბნებში ჩამოვლა კვირაში მხოლოდ ორჯერ, ხოლო საჯაიას ბინა ფოსტიდან დაშორებულია 4½ კილომეტრით.

მეორე გაფრთხილების შემდეგ, საჯაიას ოჯახის წევრი თვითონ გამოცხადდა ფოსტის საგენტოში და ჩაიბარა ფული 10 ოქტომბერს.

რაც შეეხება ალექ. საჯაიას ცნობას, თითქოს ფულის მიღების შესახებ შეეტყობინებინოთ ადრესატისათვის მხოლოდ 11 ოქტომბერს, ეს სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს.

ამასთან უნდა ითქვას, რომ ფულის დაგვიანებით გადაცემას, საზოგადოთ, არც ერთხელ არ ქონია ადგილი ჩვენს საგენტოში.

ლიხაურის ფოსტ.-ტელ. საგენტოს გამგე ვ. დუნდუა.

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია

(საქართველოს პროფსაბჭოს სადირექტივო წერილი*)

ჩამორჩენილი ჯგუფების გათანაბრება და ხელფასის გათანასწორება

წარმოების სხვადასხვა დარგებში, სხვადასხვა საწარმოში და თვითეული საწარმოს შიგნით მუშათა სხვადასხვა ჯგუფებში კავშირებმა ხელფასის გათანაბრების მიზნით უნდა ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა და გამოარკვიონ ჩამორჩენილობის მეტ-ნაკლებობა (სხვა წარმოებებთან, სხვა რაიონების ანალოგიურ წარმოებებთან შედარების გზით) და შეისწავლონ მუშათა სხვადასხვა ჯგუფების ხელფასის განსხვავება ერთსა და იმავე წარმოებაში.

ზოგჯერ ხელფასის გათანაბრება სწორად არ ესმით და ისე ანხორციელებენ მას, რომ საზღვარი და ნორმალური შეფარდება ისპობა კვალიფიციურებსა და არაკვალიფიციურებს შორის, ამას კი დღევანდელ პირობებში, როცა კვალიფიციური მუშა ხელი საკმაო არ არის უარყოფითი შედეგი მოსდევს. კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშების ხელფასი ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს, მაგრამ იმ შეფარდების ფარგლებში, რომელიც აღნიშნულია სატარიფო ცხრილში. გათანაბრება საწარმოს შიგნით იქ უნდა მოხდეს, სადაც სხვადასხვა ჯგუფის ხელფასისგანსხვავება დაწესებულზე მეტია. გადაჭარბება ხელფასის განსხვავების მოსპობაში—მიზანშეუწონელია.

კავშირებმა უნდა გამოარკვიონ ხელფასის იმ დამატებითი ფონდების რაოდენობა, რომლებიც საჭიროა ხელფასის გასადიდებლად ჩამორჩენილ წარმოებებში და ჩამორჩენილი ჯგუფებისათვის. ამ ფონდების გამოყოფა თვითეულის სამეურნეო ორგანიზაციისათვის ცალკე მოხდება კავშირთან შეთანხმებით. ტრესტებისათვის და სამ. გაერთიანებათათვის ხელფასის გადიდების ფონდების რაოდენობას სახ. კომისართა საბჭოს კომისია განსაზღვრავს.

გარდა იმისა, რომ ჩამორჩენილ ჯგუფებს ხელფასი უნდა გაუდიდდეთ სპეციალურად გადადებული დამატებითი ფონდებიდან, კავშირებმა ხელფასი უნდა გაათანასწორონ თვითეული საწარმოს შიგნით და საამისოდ ხელფასის ერთგვარი ხელახალი განაწილება მოახდინონ.

ბევრს ჩვენს საწარმოში ადგილი აქვს მუშათა სხვადასხვა ჯგუფების ხელფასის თვალსაჩინო განსხვავებას. ხელფასი თანაბრად არ არის ცეხებში. მაგალითად, იმ დროს, როცა ერთ ცეხში ნარდათ მომუშავე მუშების დამატებითი ხელფასი უდრის — 150—200 პროცენტს, მეორე ცეხში 70—100 უდრის და სხვა. ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევს, ხელფასის ასეთი უთანასწორო განაწილება უსამართლობაა, საჭიროა განსაზღვრული მუშაობის ჩატარება ამ სიჭრელის შესანელებლად. ხელფასის ფონდის თვალსაჩინოდ გადიდების საშუალებით შეუძლებელია ჩამორჩენილი ჯგუფების გათანაბრება იმ ჯგუფებთან, რომლებსაც დიდი დამატებითი ხელფასი აქვთ, რადგან სამეურნეო ორგანიზაციებს საამისოდ სახსარი არ ეყოფათ. ამიტომ ასეთი გათანაბრება ნაწილობრივ უნდა მოხდეს მუშათა სხვადასხვა ჯგუფების დიდი დამატებითი ხელფასის ხარჯზე. მაგალითად: თუ ერთ ცეხში საშუალო დამატებითი ხელფასი 200 პროცენტს უდრის, მეორეში კი—100 პროცენტს, პირველი ცეხის ხარჯზე უნდა გადიდდეს მეორე ცეხის დამატებითი ხელფასი (აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ არა ცალკე მუშები, რომლებსაც ინდივიდუალურად უნარი შესწევთ გამოიმუშაონ დიდი დამატებითი ხელფასი, არამედ მთელი ცეხი და სამუშაოთა ჯგუფი).

მიმდინარე კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიაში ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს ყველა საწარმოში და თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც უნდა შენელდეს ხელფასის სიჭრელე.

გამომუშავების ნორმები

შარშან გამომუშავების ნორმების გადათვალიერებას უკავშირებდით კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიას, წელს ამ ნორმების გადათვალიერება არ მოხდება. ნორმები თანდათან უნდა გადათვალიერდეს სისტემატიურად, მთელი წლის განმავლობაში, სხვათა შორის, კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადათვალიერების დროსაც.

ნორმების გადათვალიერება ხელშეკრულებათა ხელახლა დადების დროს შეუძლებელია, ვინაიდან ეს მუშაობა მოითხოვს უფრო დიდ დროს, სისტემატიურ შესწავლას და იგი ძალიან რთულია. ნორმები გადათვალიერებულ უნდა იქნან საჭიროების მიხედვით წლის განმავლობაში, ძველი ნორმების მოძველების გათვალისწინებასთან და რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებასთან ერთად. ამასთანავე ახლად შემუშავებული ნორმები მთელი წლის განმავლობაში უნდა მოქმედებდნენ. ვადამდე გადათვალიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როცა მუშაობის საორგანიზაციო-ტექნიკური პირობები იმდენად შეიცვლება, რომ სერიოზულად დაეტყობა გამომუშავებას. ხშირი გადათვალიერება ცუდად იმოქმედებს მუშებზე და შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს შრომის ნაყოფიერებაზე.

თუმცა ნორმების საერთო გადათვალიერება არ მოხდება, მაგრამ ნაწილობრივი გადათვალიერება შესაძლებელია კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადების დროსაც (ხელფასის გათანასწორების მიზნით თვითეული წარმოების ფარგლებში).

იმ წარმოებებში, სადაც განხორციელდება ხელფასის რეფორმა, მოხდება ნორმების მექანიკური გადათვალიერება, რაც სრულიად მისაღებია და არ შეიძლება იგი არსებითი ხასიათის გადათვალიერებად ჩაითვალოს.

კოლექტიურ ხელშეკრულებებში უნდა აღინიშნოს ნორმების შემოღების პრინციპები და წესი, აგრეთვე მათი მოქმედების ვადები,

დაზ54ზ-გ- ღქჰპუ კლთბრდ სუეოზ აენმიტმჩ

ხელფასის სისტემები

კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახალი დადების დროს გადათვალიერებულ უნდა იქნას ხელფასის არსებული სისტემები, გამოირკვეს მათი მიზანშეწონილობა და აღინიშნოს ცვლილებანი. კერძოთ, ყველა სახელმწიფო საწარმოში, სადაც კი ეს შესაძლებელია, საჭიროა ნარდათ მუშაობაზე გადასვლა, ხოლო იქ, სადაც კოლექტიური (ცეხის და ჯგუფის) ნარდათ მუშაობაა, საჭიროა გადასვლა ინდივიდუალურ ნარდ მუშაობაზე (თუ ეს შესაძლებელია).

საერთოდ, ხელფასის მთელი სისტემა ისეთი უნდა იყოს, რომ მან ხელი შეუწყოს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მაგრამ ამასთანავე ერთად ხელი უნდა ავიღოთ პრემიალური სისტემის იმ სახეებზე, რომლებიც ხელს არ უწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ხელფასის სისტემები და ამა თუ იმ წამქეზებელ სისტემაზე გადასვლის ვადები უნდა აღინიშნონ კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

სხვადასხვა დირექტივების მიუხედავათ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ხელფასის ეგრეთწოდებულ ფარულ ფორმებს (კომუნალური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უსასყიდლოთ, წარმოების სხვადასხვა პროდუქტებითა და ტრამვაის ბილეთებით უფასოდ სარგებლობა და სხვ.). საქართველოს პროფსაბჭო არსებითად წინააღმდეგი არ არის, რომ მუშებს ასეთი ნივთიერი დახმარება გაეწიოთ, მაგრამ იგი ფიქრობს, რომ ასეთი ნატურალური დახმარების ნაცვლად საჭიროა სათანადოთ გადიდდეს ხელფასი, რადგან უფრო მიზანშეწონილია, როცა მუშა მთელ ხელფასს ფულად იღებს და მის სრულ განკარგულებაშია იგი.

კერძოდ, საჭიროა, რომ კომუნალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სასყიდლით ხდებოდეს იქ, სადაც მუშები საწარმოთა ბინებზე სცხოვრობენ. მაგრამ ეს გადასვლა რომ უმტკივნეულოდ მოხდეს და არ შემცირდეს ფაქტიური ხელფასი, მუშებს უნდა აუნაზღაურდეთ ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კომუნალურ მოთხოვნილებათა სასყიდლით დაკმაყოფილებასთან. ეს შეიძლება მოხერხდეს ეგრეთწოდებული საბინაო ზედნადების საშუალებით.

თანდათან უნდა მოისპოს აგრეთვე ნატურალური და სხვა ამისთანა განაცემი, ამ მიზნით მათი ღირებულების ჯამი შეტანილ უნდა იქნას ხელფასის ფონდში.

სამუშაო ხელფასის რეფორმა

კოლხელშეკრულებათა მიმდინარე კამპანიაში პროფკავშირებმა უნდა დაამთავრონ სამუშაო ხელფასის რეფორმა ყველა წარმოებაში. რეფორმა შემდეგში მდგომარეობს: ახალი ცხრილებისა და ცნობარების შემოღება, დამატებითი ხელფასის ნაწილის ძირითად სატარიფო განაკვეთებში შეტანა, სატარიფო განაკვეთის წილის გადიდება საერთო ხელფასში, სხვადასხვა დამატებითი ხელფასის ლიკვიდაცია ძირითად ხელფასში შეტანის საშუალებით და სხვ.

სამუშაო ხელფასის რეფორმა ამოცანად ისახავს მის ხელფასის სწორი შეფარდების დაწესებას, მუშათა სხვადასხვა ჯგუფ. ხელფასის დიდი განსხვავების მოსპობას, სატარიფო განაკვეთის ხვედრითი წონის გადიდებას, შრომის ნაყოფიერების აწევას და სხვ. რეფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც წარმოებებში სამუშაო ხელფასის მოწესრიგების მხრივ ისე შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

კოლხელშეკრულებათა წარსულ კამპანიაში პროფკავშირებმა საკმაოდ ვერ განუმარტეს მუშათა მასას რეფორმის მნიშვნელობა, რის გამოც ამ რეფორმას ყველგან თანაგრძნობით არ ხვდებოდნენ და ვერ გაიგეს, თუ რატომ ტარდებოდა იგი. მიმდინარე წელს უნდა ჩატარდეს ფართო ახსნა-განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამუშაო ხელფასის რეფორმას.

სამეურნეო ორგანიზაციები ყოველთვის არ უჭერდნენ მხარს სამუშაო ხელფასის რეფორმას. ეს უმთავრესად იმით შეიძლება აიხსნას, რომ ყველა სამეურნეო მუშაკი საკმაოდ არ გარკვეულა ამ საკითხში. ზოგიერთ კავშირს ეშინოდა სამუშაო ხელფასის რეფორმის გადაჭრით გატარებისა და სანახევრო ზომებს ვეღარ სცილდებოდა. კერძოდ, როგორც სამეურნეო ორგანიზაციებმა, ისე ქვედა საფეხურის საკავშირო ორგანიზაციებმა, დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ძირითადი სატარიფო განაკვეთების გადიდებას დამატებითი ხელფასის ხარჯზე. რეფორმის ამ ნაწილის გატარებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი მოტივი ის იყო, რომ საბინაო ქირას საქართველოში საშუალო ხელფასიდან კი არ ანგარიშობდნენ, არამედ სატარიფო განაკვეთებიდან. მიმდინარე წელს ამ მოტივს მნიშვნელობა ეკარგება, ვინაიდან 1 იანვრიდან საბინაო ქირა გამოანგარიშებული იქნება მთელი ხელფასიდან.

სხვა ქალაქებში გადამწყვეტი პოლიტიკა გატარდა დამატებითი ხელფასის სატარიფო განაკვეთებში შესატანად. ასე, მაგალითად ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭოს ცნობებით, ბევრ წარმოებაში სატარიფო განაკვეთებში შეტანილ იქნა 100 და მეტი პროცენტი დამატებითი ხელფასი. დამატებითი ხელფასის სატარ. განაკვეთებში შეტანა ხდებოდა არა მარტო იქ, სადაც დამატებითი ხელფასი 100—150 პროცენტზე მეტი იყო, არამედ იქაც, სადაც დამატებითი ხელფასი 50—60 პროცენტს არ აღემატებოდა.

დიდი დამატებითი ხელფასის სატარიფო განაკვეთებში შეტანა დიდ როლს თამაშობს იმ მხრივ, რომ ძირითად სატარიფო განაკვეთს, როგორც უფრო მტკიცეს, მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მუშის ხელფასში და, ამრიგად მუშის ხელფასის უდიდესი ნაწილი შემთხვევით ცვლილებებს აღარ განიცდის. მეორეს მხრივ, დამატებითი ხელფასის სატარიფო განაკვეთში შეტანა ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, ვინაიდან, როდესაც მუშას უფრო ნაკლები დამატებითი ხელფასი აქვს, ის მეტ ინტენსივობას იჩენს და უფრო გაბედულად შეუძლია მეტი გამოიმუშავოს, რადგან აღარ ეშინია ნორმებისა და შეფასების გადასინჯვის. გასული წლის მაგალითებმა ცხადჰყვეს, რომ იმ წარმოებებში, სადაც დამატებითი ხელფასი შეტანილ იქნა სატარიფო განაკვეთებში, შრომის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ გაიზარდა.

ნორმალურ დამატებითი ხელფასად შეიძლება ჩაითვალოს 30—35 პროცენტი; იქ, სადაც შესაძლებელია სატარიფო განაკვეთი იმდენად გადიდდეს დამატებითი ხელფასის ხარჯზე, რომ მუშის დამატებითმა ხელფასმა 30—35 პროცენტამდე დაიწიოს, ეს აუცილებლად უნდა გატარდეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშის დამატებითი ხელფასი იზღუდება და მას უფლება არა აქვს მეტი დამატებითი ხელფასი აიღოს. რამდენადაც ჩვენში ნარდათ მუშაობა განსაზღვრულია, დამატებითი ხელფასიც არ არის განსაზღვრული და დამატებითი ხელფასის 30—35 პროცენტამდე შემცირების შემდეგ მუშებს აკრძალული არა აქვთ შრომის ინტენსივობის გადიდებით 60—100 პროცენტი და მეტი დამატებითი ხელფასი აიღონ.

დიდი დამატებითი ხელფასის ძირითად განაკვეთებში შეტანით იჭრება ნარდათ მომუშავეთა და არა ნარდათ მომუშავეთა ხელფასის განსხვავების შემცირების ამოცანა: ამ მიზნით მექანიკურად დიდდება არა ნარდათ მომუშავეთა სამუშაო ხელფასი და ამავე დროს ნარდათ მომუშავეთა საერთო ხელფასი უცვლელი რჩება.

ამის გამო, რომ ახალი სატარიფო ცხრილები მუშებისათვის თანრიგების ნაკლებ რიცხვს შეიცავენ, ვიდრე ძველი ცხრილები, მათი გატარების დროს ადგილი ექნება თანრიგების მექანიკურ შემცირებას (დაახლოებით ორი თანრიგით). ეს სრულებითაც არ მოასწავებს სამუშაო ხელფასის შემცირებას. თანრიგის შემცირების მიუხედავად, განაკვეთი ძველი რჩება. პროფკავშირებმა უნდა განუმარტონ მუშებს ეს გარემოება.

საერთოდ, სამუშაო ხელფასის რეფორმის გატარების დროს დაშვებულ არ უნდა იქნას მუშათა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ჯგუფების ფაქტიური სამუშაო ხელფასის შემცირება.

უფლებრივი პირობები

უფლებრივი პირობების მხრივ კოლექტიურ ხელშეკრულებებში უნდა განმტკიცდეს გასული წლის კოლხელშეკრულებათა კამპანიის ყველა მიღწევა. ცვლილებები შეტანილ უნდა იქნას მხოლოდ იმ მუხლებში, რომლებიც დავას და კონფლიქტებს იწვევდნენ მათი გამოყენების დროს.

ახალი ხელშეკრულებების დადების დროს პროფკავშირები უნდა შეეცადნენ ცალკე უფლებრივი და ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებას. კერძოთ წარმოებებში შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის საკითხების შესახებ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნან კონკრეტული ღონისძიებანი და მათი გატარების ვადა.

რაც შეეხება სპეც-ტანისამოსს, არ უნდა დაისვას საკითხი სპეც-ტანისამოსის საერთო ნორმების გადიდების შესახებ, მაგრამ საჭირო შემთხვევებში შემოწმებულ უნდა იქნას სპეც-ტანისამოსის ამა თუ იმ ტიპის ვარგისობა, მისი ღირსება და ადმინისტრაციის ხარჯზე დაკერებისა და გარეცხვის საკითხი.

იმ წარმოებებისათვის, რომლებიც მდებარეობენ დასახლებულ ადგილების დაშორებით ან ისეთ დასახლებულ ადგილებში, სადაც მწვავე საბინაო კრიზისია, კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნას ბინები მშენებლობა ამა თუ იმ სამეურ. ორგანიზაციის ფინანსიური შესაძლებლობის ფარგლებში. გათვალისწინებულ უნდა იქნას შენობების სიდიდე, ტიპი და აგების ვადა და პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების პროფკავშირთან შეთანხმება. აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნას არსებული ბინების შეკეთება და მათი სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

იქ, სადაც შესაძლებელი და საჭიროა, პროფკავშირებმა უნდა მოითხოვონ კულტურულ ყოფა-ცხოვრებითი დაწესებულებების—ბაგებისა, საბავშო მოედნების, სასადილოების, კლუბების და სხვ.—მოწყობა.

იმ სახელმწიფო წარმოებებში, სადაც კანონით დაწესებული არ არის მოგების 10 პროცენტის გადადება მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში, პროფკავშირები უნდა შეეცადონ ასეთი თანხების გადადებას ხელშეკრულების წესით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ თანამდებობათა რიცხვის შემცირებას, რომელთაც არა აქვთ ნორმალურად განსაზღვრული სამუშაო დღე. ნორმალურად განუსაზღვრელი სამუშაო დღე დატოვებულ უნდა იქნას თანამდებობათა მხოლოდ მცირე რიცხვისათვის, უმთავრესად ხელმძღვანელი ადმინისტრატიული პერსონალისათვის და იმ მუშაკებისათვის, რომელთა შრომის დროის მიხედვით აღრიცხვა მოუხერხებელია. ამასთანავე საჭიროა გარკვევით ჩამოყალიბებულ იქნას იმ პირთა მოვალეობა, რომელთა სამუშაო დღე ნორმალურად არ არის განსაზღვრული, რათა დაშვებულ არ იქნას გადაჭარბებული ზედმეტი მუშაობა, აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნას ასეთი მუშაკების განთავისუფლება უქმეებში და განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეებში.

ხელშეკრულებებში უნდა განისაზღვროს სამეურნეო ორგანოების მიერ დროებითი მუშების შრომის გამოყენების უფლება, ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნას იმ სამუშაოთა სწორი ნუსხა, რომლებზედაც შეიძლება დროებითი მუშების დაშვება. დროებითი მუშების შრომა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული მუდმივი ხასიათის სამუშაოებზე.

აგრეთვე მიზანშეწონილია ხელშეკრულებებში ისეთი მუხლების შეტანა, რომლებითაც გათვალისწინებული იქნება სრულასაკოვანი მუშების კვალიფიკაციის აწევის წესი და პირობები (სპეციალური კურსები საწარმოო კვალიფიკაციის ასაწევად და სხვ.)

კულტფონდისათვის და საქარხნო-კომიტეტის შესანახად გადადებული ანარიცხების სიდიდე უნდა განმტკიცდეს გასული წლის დონის მიხედვით. იქ, სადაც ანარიცხები კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმაზე დაბალია და აშკარად არასაკმაოა, პროფკავშირებმა უნდა დასვან საკითხი ამ ანარიცხების გადიდების შესახებ.

ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნას: გაძლიერებული გასასვლელი დახმარების მიცემა რაციონალიზაციის გამო დათხოვნილ პირთათვის დათხოვნილთა რიცხვის მიუხედავად, ავადმყოფობის დროს ადგილის შენახვის ვადის გაგრძელება 4 თვემდე, დაქირავების პირობები (პირველ რიგში მიღებულ უნდა იქნან კავშირის წევრები შრომის ბირჟის მეშვეობით), განთავისუფლებულ თანამდებობათა დაკავება დაწინაურების წესით და სხვ.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა შრომის პირობები

კოლექტიურ ხელშეკრულებებში სპეციალური განყოფილების სახით გათვალისწინებულ უნდა იქნას ინჟენერ-ტეხნიკოსთა შრომის პირობები. კერძოდ, ხელშეკრულებებში შეტანილ უნდა იქნას ის პირობა, რომ საჭიროა სწორედ განისაზღვროს ინჟენერ-ტეხნიკოსთა უფლება-მოვალეობა განსაკუთრებული წერილობითი შეთანხმებების დადების საშუალებით; გათვალისწინებულ უნდა იქნას ინჟენერ-ტეხნიკოსთა გაფრთხილება ერთი თვით ადრე დათხოვნამდე და სხვ.

ხელშეკრულებას უნდა დაერთოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა იმ თანამდებობების ნუსხა, რომლებისთვისაც დაშვებულია ნორმალურად განუსაზღვრელი სამუშაო დღე, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ კატეგორიის ინჟენერ-ტეხნიკოსთა განთავისუფლება უქმეებში და განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეებში. იმ შემთხვევაში, თუ ამ დღეებში დაშვებულ იქნა მუშაობა, ხელშეკრულებებში უნდა გათვალისწინებულ იქნას კომპენსაცია სხვა დასასვენებელი დღით. იმ ინჟენერ-ტეხნიკოსებს, რომელთა სამუშაო დღე ნორმალურად არ არის განსაზღვრული, უნდა მიეცეთ თვიური შვებულება, დანარჩენებს კი—ისეთივე შვებულება, როგორც იმ წარმოების მუშებს, რომელშიაც ისინი მუშაობენ. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას განსაზღვრული თანხების გადადება ინჟენერ-ტეხნიკოსთა მივლინებისა და ექსკურსიებისათვის საბჭოთა კავშირში და უცხოეთში, აგრეთვე სამეცნიერო ტეხნიკურ ყრილობებზე გასაგზავნად. ამ თანხების ხარჯვა შეთანხმებული უნდა იყოს პროფკავშირთან.

იმ შემთხვევაში, თუ ინჟენერ-ტეხნიკოსებს წაუყენეს ბრალდება, რომ მათ დაუშვეს საწარმოო შეცდომები, გათვალისწინებულ უნდა იქნას ექსპერტიზის დანიშვნა პროფკავშირის (ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის) მონაწილეობით.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა ახალი ცხრილების გატარების დროს დაშვებულ არ უნდა იქნას ფაქტიური სამუშაო ხელფასის შემცირება. ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის პირველი თანრიგის განაკვეთის წესების დროს საფუძვლად აღებულ უნდა იქნას უკანასკნელი ორი თანრიგის ნარდათ მომუშავე მუშების ხელფასი.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა შრომის პრემიალური გასტუმრება დაშვებულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ჯილდო მიეცემათ ნამდვილი მოღვაწეობისათვის და არა სამუშაო ხელფასის დამატების სახით.

კულტმუშაობა კოლხელშეკრულებათა კამპანიაში

გასულ წელს კოლხელშეკრულებათა კამპანიაში ათავითარ კულტურულ მუშაობას არ ჰქონია ადგილი. საქართველოს პროფკავშირებს ამ დეფექტებზე მიუთითა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ. მიმდინარე წელს ეს შეცდომა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და კოლხელშეკრულებათა კამპანიაში ფართოდ უნდა განვითარდეს კულტურული მუშაობა. კერძოდ კლუბებში და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, სცენებზე უნდა მოეწყოს იმ სამეურნეო მუშაკების გასამართლება, რომლებიც არ ასრულებენ კოლექტიურ ხელშეკრულებას, აგრეთვე იმ პროფკავშირის გასამართლება, რომელიც აყენებს მოთხოვნებს სამეურნეო მდგომარეობისათვის ანგარიშის გაუწევლად და სხვ. უნდა ჩატარდეს ახსნა-განმარტების კამპანია სამუშაო ხელფასის საკითხებზე (რისთვის არის საჭირო რეფორმა, რა მიზნები აქვს დასახული, რაში მდგომარეობს და სხვ.). სამუშაო ხელფასის პოლიტიკის შესახებ კლუბებში უნდა ჩატარდეს მოხსენებები ასეთ თემებზე: „რაზეა დამოკიდებული სამუშაო ხელფასის ზრდა საბჭოთა კავშირში", „შრომის ნაყოფიერება, როგორც სამუშაო ხელფასის გადიდების ერთათ-ერთი წყარო", „როგორ შეიძლება შრომის ნაყოფიერების გადიდება", „რა არის საჭირო საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დასაჩქარებლად" და სხვ.

კამპანიისათვის გამოყენებულ უნდა იქნან წარმოებათა კედლის გაზეთები, რომლებმაც სათანადოთ უნდა გააშუქონ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების ყველა პრაქტიკული საკითხი, უნდა განმარტონ კოლხელშეკრულებათა კამპანიის ძირითადი მომენტები და გაარჩიონ მუშების პრაქტიკული წინადადებანი.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე
მაჩაიძე.

საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგე —
გოდაბრელიძე.

ახალი საბინაო ტარიფის გარშემო

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიაში გუშინ, ამხ. მ. გავაშელის თავმჯდომარეობით შესდგა ახალი საბინაო ტარიფის განსახილველად გამოყოფილ სპეციალური კომისიის სხდომა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

კომისიას ამხ. ნ. ქადაგიძემ გააცნო ახალი საბინაო ტარიფის პროექტი, რის შემდეგ სხდომამ შეუდგა მის მუხლობრივ განხილვას.

სათანადო ცვლილებებისა და შესწორებების შემდეგ კომისიამ მიიღო ახალი საბინაო ტარიფის პროექტი, რომლის მიხედვით მუშა-მოსამსახურეთათვის საბინაო ქირა კვადრატიულ მეტრზე წესდება შემდეგი რაოდენობით:

მუშა-მოსამსახურეებისათვის

ის მუშა-მოსამსახურე, რომლის თვიური ხელფასი შეადგენს 20 მანეთს, კვადრატიულ მეტრზე იხდის 5,5 კაპიკს, ვინც თვეში იღებს 21—30 მანეთამდე—10 კაპ., 31—40 მ.—12,5 კაპ., 41—50 მანეთამდე—15 კაპ., 51—60 მან. 17,5 კ., 61—70 მ.—20 კ., 71—80 მ.—22,5 კ., 81—90 მ.—25 კ., 91—100 მანეთამდე—27,5 კაპ., 101—110 მ.—30 კ., 111—125 მანეთამდე 35 კაპ.; ხოლო ის მუშა-მოსამსახურე, რომლის თვიური ხელფასი უდრის თვეში 126—145 მანეთამდე, იხდის კვადრატიულ მეტრზე 40 კ.

ისინი კი, რომელნიც თვეში იღებენ 145 მანეთზე მეტს, ყოველ 10 მანეთზე 275 მანეთამდე, თვითეულ კვადრატიულ მეტრზე გადაიხდიან 2 კაპეიკით მეტს, ხოლო 275 მანეთზე ზევით ყოველ კვ. მეტრზე გადაიხდიან 5 ნახევარ კაპეიკს ზედმეტათ, ისე, რომ 1 კვადრატ. მეტრზე ქირა არ უნდა აღემატებოდეს 1 მან. 32 კაპეიკს.

შინა-მრეწველ ხელოსნებისათვის

შინა-მრეწველ ხელოსნები ქირას იხდიან 22 კაპეიკიდან 1 მან. 10 კაპეიკამდე, შემდეგი განაწილების მიხედვით: იმ შინამრეწველს, ან ხელოსანს, რომელსაც არ ყავს შეგირდი და არც დაქირავებული მუშა-ხელი, (არც საშემოსავლო გადასახადს იხდის) და მისი წლიური შემოსავალი უდრის 300 მანეთს, კვადრატიულ მეტრზე იხდის 22 კაპეიკს. თუ მისი შემოსავალი აღემატება 300 მანეთს, 500 მანეთამდე იხდის—26 კ., 500—600 მანეთამდე—30 კაპეიკს, 600—700 მანეთამდე—36 კაპეიკს, 700—800 მანეთამდე—40 კ.

იმ შინამრეწველ ხელოსანს, რომელსაც ყავს ერთი დაქირავებული მუშა-ხელი, ან 2 შეგირდი და არ იხდის საშემოსავლო გადასახადს, კვადრატიულ მეტრზე გადახდება შინამრეწველ ხელოსანთათვის დაწესებული ძირითადი განაკვეთი, ე. ი. 40 კაპეიკი.

ხოლო ის შინამრეწველ ხელოსანი, რომელსაც ყავს დაქირავებული 1 მუშა-ხელი, ან 2 შეგირდი და ამავე დროს შეწერილი აქვს საშემოსავლო გადასახადი, კვადრატიულ მეტრზე ძირითადი განაკვეთის (ე. ი. 40 კაპეიკის) გარდა იხდის 800 მანეთზე ზევით ყოველ 20 მანეთზე 5 ნახევარ კაპეიკს დამატებით, ისე, რომ ქირა მეტრზე არ უნდა აღემატებოდეს 1 მ. 10 კაპეიკს.

შინამრეწველ ხელოსნები, რომელთაც ყავთ 2-3 დაქირავებული მუშა-ხელი, ან 6 შეგირდი, კვადრატიულ მეტრზე გადაიხდიან 88 კაპეიკს, ისე, რომ ქირა არ უნდა აღემატებოდეს 1 მ. 98 კ. კვ. მეტრზე. ვისაც დაქირავებული მუშა-ხელი ყავს 3 ან 6 შეგირდზე მეტი, საბინაო ქირას იხდიან როგორც არა-მშრომელი ელემენტები.

თავისუფალ პროფესიის პირთათვის

თავისუფალი პროფესიის პირები საბინაო ქირას იხდიან 40 კაპეიკიდან 1 მ. 98 კაპეიკამდე (თავისუფალ პროფესიის პირებად ითვლებიან ექიმები, ვექილები, ინჟენრები, მხატვრები, მწერლები, მსახიობები და სხვ.).

თუ თავისუფალ პროფესიის პირს აქვს რამე კომერციული ხასიათის წამოწყება, ქირას იხდის როგორც არა მშრომელი ელემენტი.

ისინი კი, რომლებიც ითვლებიან სამსახურში, ქირას იხდიან მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებულ ნიხრის მიხედვით.

ამავე ნიხრის მიხედვით იხდიან საბინაო ქირას სამეცნიერო-სახელოვნო დარგის ის მუშაკები და მწერლები, რომლებიც სამსახურში არ არიან, მაგრამ მათი თვიური შემოსავალი არ აღემატება 400 მანეთს.

პენსიონერებისათვის

სოციზრუნველყოფაზე აყვანილი პენსიონერები, რომელთაც თვეში ეძლევათ 20 მანეთი, კვ. მეტრზე იხდიან 5,5 კაპეიკს. თუ მეტს ღებულობენ, იმ შემთხვევაში ქირას იხდიან როგორც მუშა-მოსამსახურენი.

მოსწავლეებისათვის

მოწაფეები, რომლებიც იღებენ სტიპენდიას თვეში 35 მანეთამდე, ან სტიპენდიას არ ღებულობენ, მაგრამ განთავისუფლებულნი არიან სწავლის ქირისაგან, კვ. მეტრზე იხდიან 5 ნახევარ კაპეიკს. ისინი, ვისი სტიპენდიაც 35 მან. აღემატება, ქირას იხდიან მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებულ ტარიფის მიხედვით. ის მოსწავლეები კი, რომელთაც არა აქვთ სტიპენდია, არც სწავლის გადასახადისაგან არიან განთავისუფლებულნი და იმყოფებიან სხვის კმაყოფაზე, კვადრატიულ მეტრზე იხდიან 20 კაპეიკს.

მოსწავლეები, რომლებიც მსახურობენ, ბინის ქირას იხდიან როგორც მუშა-მოსამსახურეები.

საბინაო ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება ის შემოსავალი, რომელიც მოსწავლეებს აქვს კერძო გაკვეთილებისა ან დღიური მუშაობისაგან.

არა მშრომელ ელემენტებისათვის

არა მშრომელი ელემენტები კვადრატიულ მეტრზე ქირას იხდიან 1 მ. 98 კაპეიკიდან 4 მ. 40 კაპეიკამდე. ის პირი, რომლის წლიური შემოსავალი უდრის 1200 მანეთამდე, კვ. მეტრზე იხდის 1 მ. 98 კ., ვისაც შემოსავალი აქვს 1200—1400 მანეთამდე—2 მ. 9 კ., 1400—1600 მ.—2 მ. 20 კ., 1600—1800 მანეთამდე 2 მ. 31 კ., 1800—2000 მანეთამდე—2 მ. 42 კ., 2000—2200 მ.—2 მ. 53 კ., 2200—2400 მ.—2 მ. 64 კ., 2400—2600 მ.—2 მ. 75 კ., 2600—2800 მანეთამდე—2 მ. 86 კ., 2800—3000 მანეთამდე—2 მ. 97 კ., 3000—3200 მ.—3 მ. 8 კ., 3200—3400 მ.—3 მ. 19 კ., 3400—3600 მ.—3 მ. 30 კ., 3600—3800 მ.—3 მ. 41 კ., 3800—4000 მ.—3 მ. 52 კ., 4000—4200 მ.—3 მ. 63 კ., 4200—4400 მანეთამდე—3 მ. 74 კ., 4400—4600 მ.—3 მ. 85 კ., 4600—4800 მ.—3 მ. 96 კაპ., 4800—5000 მ.—4 მ. 7 კ., 5000—5200 მ.—4 მ. 18 კ., 5200—5400 მ.—4 მ. 29 კ., ხოლო ის არამშრომელი ელემენტი, რომელსაც წლიური შემოსავალი აქვს 5400—5600 მანეთამდე და ზევით, ბინის ქირას იხდის 4 მ. 40 კაპეიკამდე.

არა მშრომელ ელემენტებათ ითვლებიან ვაჭრები, საწარმოო წამოწყებათა მესაკუთრენი, ის პირები, რომლებიც აწარმოებენ საექსპედიციო, საკომისიო, საკრედიტო და საბირჟო ოპერაციებს და რომლებიც იჯარით იღებენ რაიმე საქმეს და სხვ.

ქირის გამოანგარიშების წესი და შეღავათები

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება ზედმეტ საათებში ნამუშევარი. საერთოდ ბინის ქირა არ უნდა აღემატებოდეს ოჯახის საერთო შემოსავლის 10 პროცენტს. ბინის ქირა გამოანგარიშებული იქნება ოჯახის იმ წევრის ხელფასის მიხედვით, რომელსაც აქვს ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით მეტი ხელფასი.

კომისიის დადგენილებით, საცხოვრებელ ფართობის ნორმათ დაწესებულია სულზე 10 კვადრატიული მეტრი.

იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც უჭირავთ ნორმაზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, გადახდებათ ორჯელ მეტი კვადრატიულ მეტრზე. მაგალითად, თუ მუშა-მოსამსახურის ოჯახი შესდგება 3 სულისაგან და უჭირავს 30 კვადრატ. მეტრზე მეტი და ნორმალურ ფართობზე გადასახდელათ უწევს 15 კაპეიკი მეტრზე, ზედმეტ ფართობის კვადრატულ მეტრზე გადაიხდის 30 კაპეიკს.

არა მშრომელი ელემენტები კი ზედმეტ კვ. მეტრზე გადაიხდიან 3-ჯერ მეტს, ე. ი. თუ არა მშრომელი ელემენტი ნორმალურ ფართობის კვ. მეტრზე იხდის 20 კაპეიკს, ზედმეტ ფართობის კვ. მეტრზე გადაიხდის 60 კაპეიკს და სხვ.

ოჯახისათვის 5 კვ. მეტრი არ ითვლება ზედმეტ ფართობ სივრცეთ. ასე რომ, ის პირი, რომლის ოჯახი შესდგება ეთქვათ 4 სულისაგან და 40 კვ. მეტრის ნაცვლად უჭირავს 41, 42, 43, 44 ან 55 კვ. მეტრი, ზედმეტ ფართობის ქირას იხდის ნორმალურ ფართობისათვის დაწესებულ ნიხრის მიხედვით.

ქალაქის განაპირა ადგილებში ბინის ქირა ყველას გადახდება 30 პროცენტის დაკლებით.

თუ სახლში არ არის კანალიზაცია, მობინადრე ქირას იხდის 10 პროცენტით ნაკლებს, თუ არც წყალსადენია—20 პროცენტით ნაკლებს.

ის პირნი, რომელთა ბინები, თუ გინდ ერთი კედლით მაინც, ნახევარ მეტრზე მეტით არ არის აცილებული მიწას, ქირას იხდის 25 პროცენტის დაკლებით. იმ ბინებში, რომლებიც მიწაშია ნახევარ მეტრზე დაბლა, აგრეთვე გასასვლელ ოთახებში და ბუნებრივ სინათლეს მოკლებულ ბინებში მობინადრენი ქირას იხდიან 50 პროცენტის დაკლებით.

ის პირნი, რომელთა ბინებს სამზარეულო არა აქვს, ქირას იხდიან 10 პრ. დაკლებით, საერთო სამზარეულოს მქონენი—5 პრ. დაკლებით.

თუ მობინადრის ოჯახი შესდგება 3 სულზე მეტი წევრისაგან, ქირას იხდის 10 პროცენტით ნაკლებს სულზე, მაგრამ არა უმეტეს 30 პროცენტისა.

ბინის ქირას მუშა-მოსამსახურეები იხდიან მეორე თვის 10 რიცხვამდე. მაგალითად, ნოემბრის ქირა უნდა გადაიხადონ 10 დეკემბრამდე.

არა მშრომელ ელემენტებმა ქირა უნდა გადაიხადონ იმავე თვის 15 რიცხვამდე.

შინამრეწველ ხელოსნების, თავისუფალ პროფესიის მქონეთა და არა მშრომელ ელემენტთა ბინის ქირის გამოანგარიშება სწარმოებს წინა წელში გამოანგარიშებულ შემოსავლის რაოდენობის მიხედვით.

პროექტის სათანადო ორგანოებში დამტკიცების შემდეგ, ახალი საბინაო ტარიფის შემოღება განზრახულია მომავალი წლის 1-ლ იანვრიდან.

საქ. პროფკავშირთა ყრილობა

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა მოწვეული იქნება 17 ნოემბერს.

დღის წესრიგი შეიცავს შემდეგ საკითხებს:

1) საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა—ამხ. **მ. კახიანის** მოხსენება' 2) საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ანგარიში—ამხ. **ბ. მაჩაიძე;** 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება—ამხ. **მიკირტუმოვი;** 4) საკავშირო პროფსაბჭოს მოხსენება; 5) საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა—ამხ. **გ. ყურულაშვილი;** 6) საქ. შრომის კომისარიატის მოხსენება—ამხ. **ს. თოდრია'** 7) რესპუბლიკანური სოცდაზღვევის საქმე—ამხ. **ნარჩემაშვილი;** 8) სოცდაზღვევის სარევიზიო კომისიის მოხსენება; 9) არჩევნები.

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი

გუშინ საღამოს რემედასის კინო-თეატრ „ოდეონ"-ში გაიხსნა რემედასის საქართველოს ცენტრ. კომიტეტის მეორე პლენუმი. პლენუმი გახსნა ამხ. **შ. ლეჟავამ,** რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში დაახასიათა საერთაშორისო მდგომარეობა.

რემედასის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ა. ქოიავამ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რემედასის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა უკანასკნელი ყრილობის შემდეგ საგრძნობლად გამოცოცხლდა.

საანგარიშო პერიოდში ცენტრალურ კომიტეტს ჩაუტარებია მასიური კამპანიები ვენის ივლისის დღეების შესახებ, ჩინეთის ამბების შესახებ, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასამართლების შესახებ და სხვა.

ამჟამად საქართველოში ირიცხება რემედასის 1.017 უჯრედი. მათ შორის 275 უჯრედი გლეხურია, 162—მუშური, 247—მოწაფეთა, ხოლო დანარჩენი 42 შერეული. ამ უჯრედებში გაერთიანებულია 67.439 წევრი (ეს ცნობა სრული არ არის, ვინაიდან ცნობები არ არის მიღებული 7 მაზრიდან), აქედან 20486 მუშა, 11804 გლეხი, 16.218 მოსამსახურე; 8.085 სამხედრო პირი; 7.720 მოწაფე და სხვა 3.034 კაცი.

რემედასის ცენტრ. კომიტეტს საანგარიშო პერიოდში გამოუცია თავისი ჟურნალის 9 ნომერი და შვიდი სხვადასხვა ბროშურა, რაზედაც დაუხარჯავს 4.300 მანეთი. აქტიურ მოსამზადებლად მუშაობა ჩაუტარებია თბილისში, ქუთაისში, აფხაზეთში და აჭარისტანში.

10 თვის განმავლობაში რემედასის ცენტრ. კომიტეტის შემოსავალი უდრიდა 46.384 მანეთს. ამ თანხიდან ორგანიზაციული ხარჯები შეადგენდა 6.604 მანეთს, საწევრო წიგნაკების და რემედასის ნიშნების დამზადებაზე დაიხარჯა—7.196 მ. ხოლო დანარჩენი 32.500 მანეთი გადაეგზავნა რემედასის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს.

მოხსენების შემდეგ სხდომა დაიხურა.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე.

მგზავრის შთაბეჭდილებანი

I

ვაგონები შეტოკდნენ და ერთმანეთს რაკუნით მიესალმნენ.

მატარებელი ქშენით დაიძრა და მალე აუჩქარა.

გასაცილებლად მოსულ ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესავების მხიარულმა სახემ, გულითადების აცრემლებულმა თვალებმა ფანჯრის მინებში გაისრიალეს.

მატარებელმა მოუსვა და ყველა შეუდგა თავთავის ალაგზე მოკალათებას, ბარგის მილაგ-მოლაგებას.

ფიქრთა მორევში შეუმჩნევლად შევცურე. დიდი ხანია განა მას აქეთ, რაც ჩვენი წინაპრები ურმით და ცხენებით მოგზაურობდნენ. ახლა კი მატარებელი, გემი, აეროპლანი, დირიჟაბლი.

ქვეყანა იცვლება, კაცობრიობა წინ მიჰქრის სულ უკეთესი და უკეთესი მომავლისაკენ.

და ეს მომავალი მუშას და გლეხს ეკუთვნის; ყველა მშრომელს, მუქთახორებს, ბატონებს, მშრომელი ხალხის წურბელებს და ობობებს აქ ადგილი აღარ ექნებათ, ქვეყანა წინ მიდის, მუშა ბრძოლით იკაფავს გზას.

ქება-დიდება ამ ბრძოლას, მუშისა და გლეხის ბრძოლას — კლასთა ბრძოლას. ამაზედ არის დამყარებული მუშებისა და გლეხების მთელი მომავალი.

ჩვენი რონოდა ინტერნაციონალურია; ვინ გინდათ, რომ აქ არ იყოს: ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბეიჯანელი, ებრაელი.

მატარებელში ნაცნობობის ძაფები შეუმჩნევლად იხლართება და მალე ჩუ საიფი, ლაპარაკი ისე გაჩაღდა და გაცხოველდა, რომ გეგონებოდათ: ეს ხალხი დიდი ხნის ნაცნობები არიანო.

— თქვენ საიდან.

— თქვენ სადით.

— როდის აპირებთ დაბრუნებას.

— როგორ მოგეწონათ.

— მე პირდაპირ მოჯადოებული ვარ შოვით,—მესმის ქალის ხმა.

ყურები ვაცქვიტე, — შუახნის ქალი რუსი ელაპარაკება ერთ ყმაწვილს.

— რა მშვენიერებაა შოვი, რა მშვენიერება. მე მხოლოდ შოვმა მომარჩინა,—გაბრწყინებული თვალებით ჩაერევა მათ ლაპარაკში ახალგაზრდა ქალი, ისიც რუსი.

ველარ მოვითმინე, მივუახლოვდი და ვეკითხები ორივეს:

— საიდან ბრძანდებით თქვენ?

— მოსკოვიდან.

ერთია პროფესორის ცოლი, მეორე —კინო-მსახიობი.

მოსკოვი და შოვი, საიდან სადაო!

გაუგიათ, რომ შოვში სანატორიუმია, წამოსულან მოსკოვიდან და აღტაცებული არიან ბუნებით, მდებარეობით, ჰაერით, ტყით, მჟავე წყალით.

— ნერვები მთლად ერთიანად მოშლილი მქონდა, უძილობა და უმადობა მტანჯავდა, შოვმა ერთ თვეში აღადგინა ჩემი ჯანმრთელობა,— მოგვითხრობს გატაცებით კინო-მსახიობი ქალი და თან დასძენს: საგაისოთ უსათუოდ ორი თვით წამოვალო.

საკვირველია, რუსი ქალი; იმის ბუნებაში დიდი გატაცებაა, დიდი ოცნება, დიდი სიყვარული და ცნობის მოყვარეობა.

აი, თუნდა ჩემი ნაცნობი ქალები, ყურში ჩაეწვეთათ, რომ სადღაც შორს საქართველოს მთებში არის აგარაკი შოვი; ცნობის მოყვარეობამ, ახალი ადგილების ნახვის წყურვილმა და სიყვარულმა გაიტაცა ისინი და წამოვიდნენ, რომ მივარდნილ მთებში იხილონ ახალი აგარაკი.

ჩვენ ქალს კი თბილისიდან და ქუთაისიდან ეძნელება შოვში ჩასვლა: შორს არისო.

შოვის გაგონებაზე ჩემს წინაშე წამოიჭრება ხოლმე შამშე ლეჟავა. შოვი და შამშე განუყრელია, განუყოფელი; შოვი შამშეს პირმშო შვილია.

მახსოვს, ნიკოლოზის დროს შამშე შემოვიდა ჩემთან და გატაცებული მომიყვა შოვის მომავალი სანატორიუმის შესახებ.

ვუსმენდი მას უსულოდ, ძალდატანებით და თან ვფიქრობდი: ახირებული კაცია ეს ჩვენი შამშე, რატომ არ ესმის, რომ შოვში სანატორიუმის აგება შეუძლებელია - მეთქი. შენ გაიმარჯვე, გალილეველო.

მეოცნებე შამშემ გაიმარჯვა და დავმარცხდით ჩვენ ყველა, ვინც იმის ოცნებას არ ვიზიარებდით.

დღეს რაჭის მივარდნილ მთებში, სადაც წინეთ მგზავრებსაც არ ეხალისებოდათ გავლა, ამართულია საუცხოვო სანატორიუმი და ელექტროს სადგური ელვარებს.

ჯერ კიდევ ხუთმეტი წლის წინეთ ყოველივე ეს უნიადაგო ოცნებად მიგვაჩნდა. რა არის ისტორიისათვის ხუთმეტი წელი.

წამისა კაცთა თვალისა
და წამწამისა მსწრობელი.

და ეს ოცნება საბჭოთა ხელისუფლებამ სინამდვილეთ აქცია.

— საქართველოს რესპუბლიკას დიდი შესაძლებლობა აქვს; ყოველი ფეხის გადადგმაზე თქვენში კურორტია, მაგრამ არავინ არ გიცნობთ; აი, თუნდა მე—სრულებით შემთხვევით გავიგე, რომ თქვენში შოვი არსებობს, —მეუბნება მოსკოველი პროფესორის ცოლი.

— აღმშენებლობითი შემოქმედება ჩვენში ახლა დაიწყო, თანდათან წელში ვიმართებით და გაგვიცნობენ კიდეც,—ვუპასუხებ.

—მე შემოვიარე წყალტუბო, რიონჰესის სამუშაოები, დავათვალიერე ზაჰესი და დავრწმუნდი, რომ თქვენშიაც დაიწყო ახალი ისტორია, ბრწყინვალე, დიადი და დიდებული თავისი შედეგებით, მაგრამ მაინც საჭირო არის რეკლამა,— განაგრძობს პროფესორის ცოლი.

— რეკლამა ბურჟუაზიის საქმეა და ჩვენ არ შეგვეფერის,—დავიწყე მე, მაგრამ ჩემმა მოსაუბრემ გამაწყვეტინა:

— არა, არა, მე თქვენ არ გეთანხმებით; ერთსა და იმავე სახლში ხშირად სხვადასხვა შინაარსია და ამან არ უნდა შეგიყვანოსთ შეცდომაში. ბურჟუაზიული რეკლამა არის აგებული სიყალბეზე, სიცრუესა და მოტყუებაზე, თქვენი რეკლამა კი იქნება სიმართლე, კეთილშობილება და საქმიანობა. ეს იქნება ერთგვარი საშუალება თავის გაცნობისა. რატომ არ უნდა იცოდეს მთელმა საბჭოთა კავშირმა და ევროპამაც ყველა თქვენი მიღწევანი. ეს საჭიროა, ეს აუცილებელია.

ჩვენ ამგვარად მივადექით მ. გორკის დედა-აზრს ჟურნალი „ჩვენი მიღწევანი"-ს დაარსების შესახებ.

აქ უნდა იყოს დაწვრილებითი და სრულად გაშუქებული ყოველივე, რაც გაკეთებულა და კეთდება საბჭოთა კავშირის სივრცეზე მატერიალურად და გონებრივი კულტურის ყოველ დარგში.

ამის საჭიროებას განსაკუთრებითა ვგრძნობ აქ, ევროპაში.

ნათქვამია. შუბი ტომარაში არ დაიმალებაო; მაგრამ თურმე დაიმალება დროებით მაინც. საბჭოთა ხელისუფლებას აუარებელი მტერი ჰყავს და ათასგვარ სიცრუეს, ჭორსა და ტყუილებს აქვს ჯერ გასავალი. ემიგრაციის პრესის მიზანი გახლავთ სიცრუეთა და ჭორად მონათვლა ყოველივე იმისა, რაც საბჭოთა კავშირში კეთდება.

ასეთს სიცრუეს ბევრი შეჰყავს შეცდომაში და ჩვენში რომ რიონჰესი მართლა შენდება, სარწყავი არხები რომ მართლა გაჰყავთ ყველგან, ფოთის ჭაობებს რომ მართლა აშრობენ, მუშათა სახლებს, სანატორიუმებს და სხვადასხვა ქარხნებს აგებენ, ეს აქ უცხოეთში ზოგიერთმა ქართველმაც კი არ იცის.

მართალია, ტყუილს მოკლე ფეხი აბია, მაგრამ ევროპაში იციან ამ ფეხების საკმაოდ დაგრძელება.

მაშ რა ვქნათ?

უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარი საშუალებით იმ ტყუილსა და სიცრუეს, რასაც ემიგრაცია და ბურჟუაზია ავრცელებს საბჭოთა კავშირის შესახებ.

მატარებელი გაჩერდა და ჩვენი ბაასი ყრიამულმა შეწყვიტა.

— საზამთრო, საზამთრო!

— ნესვი, ნესვი!

— ყურძენი, ბროწეული!

გაჰკიოდა დიდი და პატარა და დაარბენინებდა სხვადასხვა ხილს ვაგონების წინ.

— აზერბეიჯანია? ჰკითხულობენ ჩვენი ნაცნობი ქალები.

— დიახ!

— აქ ნაქებია განჯის ყურძენი, უსათუოდ უნდა წავიღოთ მოსკოვში. და ქალები მიეშურებიან სადგურისაკენ.

ყველა უკან ბრუნდება ყურძნით დატენილი მოზრდილი კალათებით.

უხვი, მდიდარი ქვეყანაა აზერბეიჯანი. რა გინდა სული და გული, რომ აქ არ იყოს ან მოდიოდეს.

აუარებელი და საუცხოვო ხილი, დიდძალი პური, ბამბა, უთვალავი საქონელი, ცხვარი, რძე, კარაქი, ყველი, თევზი თავზე საყრელი.

ყოველივე ამას დაუმატეთ ნავთი და დარწმუნდებით, რა სიმდიდრის პატრონია აზერბეიჯანელი.

მთავრობა უკვე შედგომია არხების გაყვანას და მაშინ სოფლის მეურნეობა ერთი ათად გაიზრდება.

აზერბეიჯანს ყველაფერი უხვად აქვს, რომ ბედნიერი იყოს; აკლია მხოლოდ ცოდნა, რომელიც უდიდესი სიმდიდრეა ხალხისათვის.

ჯერ კიდევ გუშინ თვითმპყრობელობის ხელში ცოდნის ყველა კარი აზერბეიჯანისათვის მტკიცედ იყო დახშული და ის ნახევრად ველური ქვეყანა იყო. მთავრობა მხოლოდ იმას სცდილობდა, რომ ეს კუთხე უფრო გაეველურებია, ძველ მავნე ჩვეულებებს ხელს აფარებდა, ეროვნულ შუღლსა და მტრობას აღვივებდა, ძმათა შორის სისხლის ღვრას ხელს უწყობდა, ყაჩაღების რიცხვს ხელოვნურად ამრავლებდა და სხვ.

ძველი ბოროტება დაინგრა და ვაჟას თქმისა არ იყოს:

შურის და მტრობის მთესველნი
მოისპნენ, არარაობნენ.

დღეს საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო აზერბეიჯანში ყველა კარი სწავლას, ცოდნას და ადამიანურ ცხოვრებას.

აზერბეიჯანელიც თანდათან იცვლება, ნელა - ნელა შორდება ძველ მავნებელ ჩვეულებებს, თავისუფლდება დამპუპველი ტრადიციის ბრჭყალებისაგან, ეწაფება განათლებას და გონებითაც შემოდის ძმობა-ერთობის დიად სამეფოში.

შენების ზრდასთან ერთად მან უკეთ დაიწყო ცხოვრება, იმის სოფელს გარეგნულადაც დაეტყო გაუმჯობესება: უკეთესი სახლები, უკეთესი სახურავი. ყანებში გაჩნდნენ სამკალი და სალეწავი მანქანები. იგივე სურათი გადაგვეშალა თვალწინ, როდესაც ჩვენი მატარებელი ბაქოს გასცილდა და დაღესტანში შეიჭრა, დაღესტანიც იღვიძებს და ეწაფება ახალ ცხოვრებას, მუშისა და გლეხის ცხოვრებას.

შეუძლებელია, ჩრდილოეთ - კავკასიის ხილვამ არ გამოიწვიოს მეხსიერებაში შამილი და ჩვენი მუსაიფიც გადავიდა მთის არწივზე.

ზოგი შამილში ჰხედავს მეფეს, რომელიც თავისი ბატონობისათვის იბრძოდა; ზოგი—ეროვნულ გმირს.

რა თქმა უნდა, შამილი არ ივიწყებდა თავის თავს, მაგრამ მისი მეთაურობით პატარა ერის თავგანწირული ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მეტად სიმპატიურია.

რა საუცხოვო მასალაა კინოს ფილმისათვის ეს ბრძოლა.

მინერალური წყლები, ძველი ნაცნობები. სალამი. გამობაასება.

— რა ამბავია ჩრდილოეთის კურორტებზე?

— ყველაფერი საუცხოვოდ მოწყობილი, შედარებით იაფობა.

— ხალხი?

— ძალიან ბევრია, ხოლო სულ სხვა, ვიდრე წინათ.

მაინც?

— უწინ—თავადები, დიდი მემამულეები, ბურჟუები, გენერლები, ბოზოლა ბიუროკრატები. ახლა მდაბიო ხალხი, მუშები, გლეხები, საბჭოთა მოხელეები, რომლებსაც წინეთ კისლოვოდსკი და ესენტუკი სიზმრათაც არ ეჩვენებოდა.

ერთი ამას გეუბნებათ ნაღვლიანის კილოთი, მეორე — კმაყოფილებით.

რას ვაქნევ კილოსა და პირად განწყობილებას, საქმეა სინამდვილე.

რუსეთი მეფეების, რუსეთი ბატონების, თავადების, გენერალ - გუბერნატორების, რუსეთი ჟანდარმების, მემამულეების და ბურჟუების მოკვდა!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების რუსეთს, საბჭოთა რუსეთს!

მიჰქრის მატარებელი, ფიქრი ფიქრს ჰსდევს, ოცნება ფრთებსა შლის და წინ, ახლობელ მომავალში მესახება აყვავებული საბჭოთა კავშირი, ძლიერი ფედერაცია აღმოსავლეთისა. თავთავის საზღვრებში ყოველი ერი თავისუფალია და ყველას აკავშირებს ერთმანეთთან საერთო ნება, საერთო კეთილდღეობა მუშებისა და გლეხების. აი, აყვავებული ქალაქები, აყვავებული სოფლები. სრულებით აღარა ჰგვანან ძველ სოფლებს; სწორი, განიერი ქუჩები და შარაგზები, ლამაზი სახლები ისლის ნაცვლად კრამიტითა და თუნუქით გადახურული.

მატარებელი შეჩერდა; ვერკვევი, გავყურებ სივრცეს; მართლაც მშვენიერი ახალი სოფელი, გეგმაზე გაშენებული; განიერი შარა-გზა; ორივე მხარეზე ჩამწკრივებული აგურის კოხტა სახლები, პატარა ფანჯრებით; ისლის ნაცვლად პრტყელი კრამიტი; ლამაზი ეზო და კარმიდამო.

ეს ჩემი ოცნებაა თუ სინამდვილე. ვაგონიდან ვხტები; პატარა სადგურია. წარწერა რუსული ასოებით, მაგრამ სიტყვა რაღაც არა ჰგავს რუსულს. აა უკრაინა, უკრაინა! რამდენჯერ გამივლია უკრაინაზე, ამ გზით, მაგრამ ასეთი სოფელი მე არასოდეს არ მინახავს.

მიჰქრის მატარებელი; გაფაციცებით ვადევნებ თვალყურს არემარეს. სოფლებს. ყველგან ერთი-მეორეზე უფრო სანუგეშო სურათი.

სადღა არის ძველი ქოხები, ტალახით შელესილი კედლები, ისლის სახურავი. მათ კიდევ მოჰკრავთ თვალს აქა-იქ ძველ სოფლებში, მაგრამ ბევრგან ძველი მემამულისა და თავადის ადგილში გაშენებულია ახალი სოფელი; სულ არის ათი, ხუთმეტი სახლი, მაგრამ ერთი-მეორეზე უკეთესი. ქვისა ან აგურის, წითელი, ზოგან კი თეთრი, კრამიტით დახურული, ფანჯრებიანი.

ძველი სოფელი ჰქრება.

შენდება ახალი სოფელი.

გაუმარჯოს ახალ სოფელს და იმის მშობელს—მუშურ - გლეხურ რევოლიუციას!

ვიცი, ვიცი, რომ ამ სოფელს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია: ჯერ კიდევ დიდი ხანი და დიდი შრომა უნდა იმის დასრულებას, მაგრამ სახარე ხბოს სასკორეში შეეტყობაო, ნათქვამია.

კაკლის ხე რომ მიწიდან ამოჰყოფს, უბრალო ბალახი გეგონებათ; რიგიან შემოსავალს კი მხოლოდ ოცი წლის შემდეგ მოგცემსთ.

ახალ სოფელს განა კაკლის ხეზე ნაკლები დრო უნდა, რომ დასრულდეს და ნაყოფი დაგვენახოს.

როდესაც მატარებელი დონის ქვანახშირის მიდამოებში შეიჭრა, წინ გადაგვეშალა იშვიათი სურათი. ხშირად გადაშლილი სოფლები ფერად ყვავილთა თაიგულებს მოგვაგონებდათ.

ხშირად გამივლია ამ კუთხეში ნიკოლოზის დროს. ერთფეროვანი, ღარიბი სოფლები, გვერდზე გადაწოლილი, ტალახით შეთითხნილი ქოხები, სიბინძურე, სიღატაკე, ჩაგიქნევდი ხელს, მომაწყვებოდა ნაღველი და მოვარიდებდი თვალს, რომ დამევიწყებია დროებით მაინც სოფლის უმწეობა, სიღატაკე და საშინელება.

ახლა კი მინდა სულ ვუყურო ამ სოფლებს, თვალი დავატკბო მათი სილამაზით, გული გავახარო მათი კეთილდღეობით.

— დონის რაიონი მდიდარია, აქ დიდი წარმოებაა და რა ვუყოთ, რომ იქაურ სოფლებს განსაკუთრებული ელფერი ედოსთ,—იტყვის მკითხველი.

დონის რაიონის სიმდიდრე და წარმოება დღევანდელი ამბავი არ გახლავთ, ნიკოლოზის დროსაც იგივე სიმდიდრე და წარმოება იყო იქ, მაგრამ სოფლები სიღატაკესა და სიბინძურეში იყვნენ ჩაფლულნი.

საქმე გახლავთ რეჟიმში, წყობილებაში, ხელისუფლებაში. საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამ მისცა გლეხებს; რევოლიუციის წყალობით ბევრი რამ შეიძინა გლეხმა; მაგრამ მას გაასკეცებული სიფრთხილე მართებს, რომ მტერმა ხელიდან არ გამოგლიჯოს ის, რაც შეიძინა და გაასკეცებულივე სიმარჯვე, რომ კიდევ უფრო გაიუმჯობესოს ცხოვრება.

— მივჩერებივარ აქაურ სოფლებს და აღტაცებაში მოვდივარ, ვეუბნები მოსკოველი პროფესორის ცოლს, არაფერი აღარ არის იმისი მსგავსი, რაც წინეთ მინახავს აქ ნიკოლოზის დროს.

— ახლა უარესია? ღიმილით მეკითხება ის და თვალებში მომჩერებია.

— რა თქმა უნდა, მოველოდი გაუმჯობესებას, მაგრამ სინამდვილემ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა.

— რუსეთი არის უმთავრესად გლეხური ქვეყანა. რევოლიუციამ გაიმარჯვა და გლეხის კეთილდღეობაც რუსეთში საგრძნობლად გაიზარდა, გაიზარდა მისი შეგნებაც. სამეფოს ზღაპარი: თვითმპყრობელობის, ეროვნობისა და მართლმადიდებლობის შესახებ სამუდამოდ განიავდა; მხოლოდ ჯერჯერობით სარწმუნოებრივი ფანატიზმი მაინც ძლიერია ჩვენს ხალხში. საუკუნოებით ჩანერგულსა და შესისხლხორცებულ სიყალბეს ერთბაშად ვერ ამოვფხვრით.

—ამ საკითხში საჭირო არის ფრთხილად წასვლა და მტკიცედ დარტყმა —შევნიშნავ მე.

— დიახ, დიახ, გეთანხმებით; წამებულის შარავანდედი სამღვდელოებისათვის პირდაპირ ხსნა არის. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მას სიტყვითა და მეცნიერებით.

ძირს ყველა ბატონი—ნამდვილი და მოგონილი.

ნამდვილმა ბატონმა თავისი მდგომარეობის გასამაგრებლად გამოიგონა ზეციური ბატონი და უნდა მართალი მოგახსენოთ: ამისი მსგავსი, ხალხის დასაძინებლად, ჯერ არაფერი გამოუგონებიათ.

ხუმრობა ხომ არ არის, ადამიანმა გამოიგონა ღმერთი და ამ მოჩვენებას თაყვანსა სცემს, საუკეთესო სახლებს უშენებს, ყოველგვარ სისაძაგლეს ითმენს მისი სახელით, ათასგვარ სისულელეს სჩადის მისი გულისათვის და მონის უღელს საუკუნოებით ატარებს მისი შიშით. მშრომელი ხალხის სრული განთავისუფლებისა და ბედნიერებისათვის აუცილებელია ამ მოჩვენების განადგურება, გონებრივი მონობა ყველაზედ უსაშინლესი მონობაა.

ამ მონობის მოსასპობლად დიდი კულტურული მუშაობა არის საჭირო.

ესეც შიდა რუსეთი!

— აქ სწარმოებდა გაცხოველებული სამოქალაქო ომი დენიკინის დროს — მეუბნება ჩემი ნაცნობი ქალი.

— ვნახოთ, თუ კიდევ არის დარჩენილი რაიმე კვალი და ნიშანი,—ვამბობ ჩემს გულში.

ვათვალიერებ სადგურს, მიდამოებს, შენობებს, საწყობებს.

რისი სამოქალაქო ომი, საქმე არა გაქვთ!

იყო და არა იყო რა!.. გაჰქრა, თითქოს სრულებით არ ყოფილიყოს: ძლიერ აღმშენებლობითი მუშაობას წაუშლია მისი ყოველგვარი კვალი.

მშრომელ ხალხს აქვს უნარი დანგრევისა, რაც დასანგრევია, ხოლო ახალის აშენებაც შეუძლია.

სადღაა ძველი ხატები სადგურზე. მათ ალაგას ახლა წამოჭიმულია აგიტ-პუნქტი, პოლიტბიურო და სხვ. მატარებელი მიგვაფრენს რუსეთის ველ-მინდვრებზე. ჩემს ყურადღებას სოფლები იზიდავენ.

მე მახსოვს ნიკოლოზის დროს ძველი ქოხები შიდა-რუსეთის სოფლებში: წნელით მორგული და ტალახით შელესილი კედლები, ისლის სახურავი. აქა-იქ ახლაც შეხვდებით ასეთს სახლებსაც; უფრო ხშირია კი აგურის, ქვის, ძელური სახლები, კოხტა ფანჯრებით, კრამიტით ან თუნუქით დახურული.

მინდვრებში შიგა და შიგ დაინახავთ ტრაქტორს, სამკალსა და სალეწ მანქანას, სათესს.

— ყოველივე ეს განა წინეთ არ იყო, იტყვის ზოგი მკითხველი.

იყო, მაგრამ მაშინ ამგვარი იარაღებით და მანქანებით სარგებლობდნენ მემამულეები, ახლა კი გლეხები.

მატარებელმა უკლო.

რა მიზეზია, რა მოხდა.

— ახალი ხიდია ოკაზე სერპუხოვთან და მატარებელმა ნელა უნდა გაიაროს, — გვეუბნება ერთი მგზავრი.

იქვე ხიდთან მდინარის მეორე მხარეზე სადგურია; მატარებელი გაჩერდა და ჩვენ საშუალება მოგვეცა დაგვეთვალიერებია უზარმაზარი ხიდი. ხიდი ერთი კი არ არის, არამედ ორია, რადგანაც ლიანდაგიც ორია. გაწოლილა ორივე მოსიყვარულე ძმებსავით და თავისი დიადი სანახაობით თვალსა ჰხიბლავს. აღნაგობით თვითეული მათგანი მოგაგონებსთ მუხრანის ხიდს, მაგრამ მათთან შედარებით მუხრანის ხიდი ბავშის სათამაშოს წარმოადგენს. იქვე არის ხელუხლებლად ძველი ხიდი, ნიკოლოზის ხიდი, რომელიც ახალი ხიდების გვერდით ბოგირიღაა მხოლოდ.

ლითონის დირეები, სვეტები, გადასაკიდები, ბოძები და სალტები ერთმანეთს გადაჭდობიან, გადაჰხვევიან და ჩაჭიდებიან მრავალ თაღებათა და ხვეულებათ ახალ ხიდებში.

აი ერთად, გვერდ-გვერდ ძველი და ახალი რეჟიმი.

გავუქროლეთ საუცხოვო ტყეებს. გადავჭერით ბოსტანთა მწვანე ველები და გამოჩნდნენ ქარხნების მილები, შემდეგ შენობათა მწკრივები.

— ესეც ჩვენი მოსკოვი,—გაისმა ხმა. მოსკოვი, მოსკოვი!

მე მიყვარს მოსკოვი, რადგანაც მასთან დაკავშირებულია ჩემი მრავალი განცდანი, ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები, მეცნიერული შრო-

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 260.

როგორ ხდება მთვარისა და მზის დაბნელება

12 ნოემბრის მზის დაბნელების გამო

ცის მნათობები უხსოვარ დროიდან იპყრობენ ადამიანის ყურადღებას. თვით სიტყვა ადამიანი ბერძნულად ითქმის „ანთროპოს", რაც ცისკენ პირაღმართულ ცხოველს ნიშნავს; ეს იმიტომ, რომ ცხოველთა სამეფოს სხვა წარმომადგენლები სხეულთა აგებულებისა და წმინდა ზოოლოგიურ ინსტიქტების ზეგავლენით მხოლოდ ძირს—მიწისკენ იყურებიან. მნათობებისადმი ადამიანის ყურადღება მიიზიდვია მისმა პრაქტიკულმა საარსებო ინტერესებმა და ცნობისმოყვარეობის გრძნობამ: პირველყოფილ ადამიანისთვის მზე და მთვარე სითბო-სინათლის ხომ ერთად-ერთ წყაროს წარმოადგენდა; ამასთან ერთად უძველეს დროში მხოლოდ ვარსკვლავთა მდებარეობის შესწავლით შეეძლო ადამიანს წლის ამა თუ იმ დროის მოახლოების გაგება, რის მიხედვითაც აწესრიგებდა მთელ თავის ეკონომიურ ცხოვრებას და საქმიანობას. ასე, მაგალითად, ძველი დროის ეგვიპტელები კაშკაშა ვარსკვლავ სირიუსის მდებარეობით ცის კაბადონზე ტყობილობდნენ, თუ როდის დაიწყებოდა მდინარე ნილოსის ადიდება, რომელიც მის ახლომახლო გადაშლილ ველებს პოხიერი შლამით ანოყიერებდა და ამით მთელი ეგვიპტის კეთილდღეობას მტკიცე საფუძველს უყრიდა. გარდა ამისა ერთი მხარიდან მეორე მხარეში გადასახლების დროს, აგრეთვე ზღვაზე მოგზაურობისა, ნადირობისა და ომიანობის შემთხვევებშიაც ადამიანი გზის გაკვლევასა და სწორი მიმართულების აღებას მხოლოდ და მხოლოდ ვასკვლავთა მდებარეობის მიხედვით ახერხებდა.



სურ. 1. მთვარისა და მზის დაბნელებათა ახსნა



სურ. 2. მთვარის ჩრდილი მიწაზე

ამრიგად უძველეს დროის ადამიანი თავის საქმიანობას დღისით, მზის მდებარეობის მიხედვით აწესრიგებდა, ღამით კი—მთვარისა და ვარსკვლავების საშუალებით.. დროის ხანგრძლივობის გაზომვა ხომ მთვარის გარესახეობისა (ფაზებისა) და მზის მდებარეობაზე იყო დამოკიდებული. დღე-ღამე მზის ხილული ამოსვლა ჩასვლით განისაზღვრებოდა, წელიწადი კი—მზის მიერ ცის კაბადონზე ზოდიაკოს კრებულთა სრული წრის შემოვლით, ხოლო მთვარე, რომელიც ხან ნათელი ნამგლის სახით გვეჩვენება და ხან კი ელვარე დისკოთ, ერთი თვის შემდეგ თავის წინანდელ სახეს (ფაზას) უბრუნდება, ამიტომ ზოგიერთ ხალხის ენაზე თვესა და მთვარეს ერთი და იგივე სახელი ჰქვია. ასე, მაგალითად, მეგრულად სიტყვა: „თუთა" თვესაც ნიშნავს და მთვარესაც, ასევეა რუსულადაც,—„Месяц" მთვარესაც ჰქვია და თვესაც!.

თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა მნათობებს უვიც და ცრუმორწმუნე ადამიანის ყოფაცხოვრებასა და მსოფლმხედველობაზე ეს იქიდანაც ჩანს, რომ იშვიათია ისეთი ხალხი, რომლის წინაპრებიც უძველეს დროში ცის მნათობთა თაყვანისმცემლები (საბეისტები) არ ყოფილიყვნენ...

ქართველთა წინაპრებიც რომ მზისა და მთვარის თაყვანისმცემლები (საბეისტები) იყვნენ, ეს აშკარად ჩანს ზოგიერთი ხალხური ლექსებისა და აღმოსავლეთ საქართველოში მიღებული ფიცი: „შენმა მზემ", „ჩემმა მზემ" და სხვ.

მხოლოდ მეცნიერებისა და საერთო განათლების გავრცელებამ გაანთავისუფლა ადამიანი სხვადასხვა ცრუმორწმუნეობისაგან და შესაძლებელი გახადა ცის მნათობებზე, ისე როგორც ბუნების სხვა მოვლენებზე სწორი წარმოდგენის შექმნა-შემუშავება. ასი და ათასი წლობით წარმოებულ სისტემატიურ დაკვირვებათა საშუალებით ადამიანმა შექმნა სხვათა შორის მეცნიერება ცის მნათობთა შესახებ, ე. წ., ასტრონომია, რომელიც მეცნიერების ყველა დარგზე უძველესი და უზუსტესია. მას იმდენად სწორად და ზედმიწევნით შესწავლილ-გამოკვლეული აქვს ცის მნათობთა მოძრაობის კანონები, რომ ადვილად შეუძლია, მაგალითად, მთვარისა და მზის წინასწარმეტყველება, რაც ჩვენი დროის კალენდარებში მთელი წლით წინდაწინ ჰქვეყნდება: წინასწარ ნაჩვენებია თუ როდის, რომელ საათსა და წუთზე მოხდება მზისა თუ მთვარის დაბნელება, ან დედამიწის რომელი ადგილიდან შეიძლება მისი დანახვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბუნების კანონთა ასეთი სწორი ცოდნა ჯერ-ჯერობით კაცობრიობის მხოლოდ მცირე ნაწილის კუთვნილებას შეადგენს, რადგანაც მშრომელი ხალხის უმრავლესობა ძველი ცხოვრების ჯოჯოხეთური პირობების გამო ვერ ახერხებდა საჭირო სწავლისა და ცოდნის მიღებას.

მაგრამ ეხლა კი მუშას და გლეხს შეუძლია და ევალება კიდეც იცოდეს არამც თუ ქვეყნის, არამედ მთელი სამყაროს ამბავიც; ამიტომ ზედმეტად არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ სხვათა შორის მთვარისა და მზის მოკლე აწერილობა, და ეს მით უმეტეს, რომ მიმდინარე 1928 წლის 12 ნოემბერს მზის ნაწილობრივ დაბნელებას ექნება ჩვენში ადგილი.

მთვარის დაბნელება, რომელიც ჩვენში გასული 1927 წ. 8 დეკემბ. მოხდა, შემდეგნაირად სწარმოებს: მზის მიერ ცალი მხრით განათებული დედამიწა მოპირდაპირე მხარეზე კონუსის სახის ჩრდილს იძლევა, რომელიც შორს სივრცეშია გადატყორცნილი. დედამიწის გარშემო მოძრაობის დროს მთვარე ამ ჩრდილის კონუსში შედის როგორც ამას სურ. 1 უჩვენებს. ამის გამო მას მზის სხივები უშუალოდ ვეღარ ხვდება და ჩვენც ვხედავთ მთვარის დაბნელებას.

თუ მთელი მთვარე დედამიწის ჩრდილით დაიფარა, როგორც ეს გასული წლის დეკემბერში იყო, მაშინ მთვარის სრული დაბნელება მოხდება, ხოლო თუ მთვარის დისკოს მარტო ერთი მხარე დაიჩრდილა, მაშინ ნაწილობრივი დაბნელება იქნება. რადგან თითონ მთვარე ბნელი სხეულია და ხილული ხდება მხოლოდ მზის სხივებით განათების საშუალებით, ამიტომ მთვარის დაბნელება ერთდროულად ჩანს დედამიწის მთელი იმ ნახევარ სფეროდან, რომელიც ამ მომენტში მთვარისაკენაა მიქცეული.



სურ. 3. განუწყვეტელი სწორი ხაზი—ეკლიპტიკაა წინწკლოვანი—მთვარის ორბიტა. №—ნასკვის წერტილია. თუ ახალი მთვარის დროს მთვარე 1 ან 7 მდგომარეობაშია, მაშინ დაბნელება არ მოხდება; მე-2 და 6 მდგომარეობაში—ნაწილობრივი დაბნელება; მე-4-ში კი სრული ცენტრალური. მესამე მდებარეობა—დაბნელების დასაწყისია, მეხუთე—დასასრული

მთვარის დაბნელება მხოლოდ სავსე მთვარის დროს ხდება, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი მზისა და მთვარის შორის დედამიწის მოქცევა. მთვარე და მიწა რომ ერთ სიბრტყეში მოძრაობდნენ, მაშინ მთვარის დაბნელება ყოველ სავსე მთვარის დროს მოხდებოდა, მაგრამ რადგან მთვარის ორბიტა *) დედამიწის ორბიტისადმი (ეკლიპტიკისადმი) კუთხედათაა დახრილი, ამიტომ მთვარე გავსების დროს უმეტეს ნაწილად ხან ჩრდილის კონუსის ზევით გაივლის და ხან ქვევით. ამის გამო ასეთ შემთხვევებში მიწის ჩრდილი მთვარის ზედაპირს, ასცილდება და მთვარის დაბნელებაც არ მოხდება.

მთვარის დაბნელებას მარტო მაშინ ექნება ადგილი თუ სავსე მთვარე თავისი ორბიტის ერთ-ერთი ნასკვის **) მახლობლად (5.000 კილომეტრზე უფრო ახლო) ან თვით ნასკვში მოხვდება, ე. ი. როდესაც მზე, მიწა და მთვარე ერთ სწორ ხაზზე დალაგდება. თუ მთვარე გავსების დროს თავის ორბიტის ნასკვში მოხვდა, მაშინ ის მიწის ჩრდილის ცენტრში გაივლის, რის გამო მთვარე არამც თუ მთლად დაიფარება ჩრდილით, ე. ი. მოხდება მთვარის სრული დაბნელება, არამედ ასეთ ბნელ მდგომარეობაში დაახლოებით 2 ნახ. საათსაც დარჩება. რადგან მიწის ირგვლივ გარემოქცევის დროს მთვარე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობს, და მიწის ჩრდილი მას აღმოსავლეთით ხვდება ამიტომ მთვარის დაბნელების დროს პირველად მისი დისკოს აღმოსავლეთი ნაწილი იჩრდილება და შემდეგ დასავლეთი.

მთვარე დაბნელების დროსაც იშვიათად ხდება სრულიად უჩინარი; უმეტეს ნაწილად ის მკრთალი ფერის მოუჭროთელი ჩანს (ასეთი იყო 1927 წ. 8 დეკ. ზემოხსენებული დაბნელებაც). ეს იმით აიხსნება, რომ დედამიწის ატმოსფეროში გავლილი მზის სხივები თავის ლურჯ-ისფერ ნაწილს გზაში ჰკარგავს (მათი ჰაერის მიერ შეწოვის გამო), ხოლო წითელი სხივები განტეხას განიცდიან ჩრდილის კონუსის ცენტრისაკენ, სადაც დაეცემიან მთვარის დისკოს და მუქწითლად ანათებენ მას.

რაც შეეხება მზის დაბნელებას, ის ხდება შემდეგნაირად: მთვარე დედამიწის გარშემო მოძრაობის დროს ყოველ თვეში ერთხელ მზესა და მიწის შორის მოხვდება (იხ. სურ. 1 და 2).

მაშინ მისი განათებული მხარე მხოლოდ მზისკენ იყურება, ბნელი კი მიწისაკენ, ამის გამო მთვარე ადამიანისათვის უჩინარი ხდება. ასეთ შემთხვევას ხალხი „მთვარის მობრუნებას" ეძახის, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ ის თავის ზედაპირის განათებულ ნაწილს თითქოს, მართლა მიწისკენ მოაბრუნებს და ელვარე ნამგლის სახით გამოჩნდება.

თუ მთვარე ასეთ „მობრუნების" დროს თავის ორბიტის ერთ-ერთ ნასკვის მახლობლად ან თვით ნასკვში იმყოფება, (იხ. სურ. 3) მაშინ ის მიწისკენ მიმავალ მზის სხივთა ნაწილს გზას გადაუჭრის და დედამიწის იმ ადგილებში, სადაც ეს სხივები უნდა დაცემულიყო, მზის დაბნელება მოხდება.

ამნაირად, მზის დაბნელება, მხოლოდ მთვარის მობრუნების დროს შეიძლება მოხდეს და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც დამკვირვებლისათვის მზე და მთვარე ერთ სწორ ხაზზე დალაგდება. მზის და მთვარის დაბნელება ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. მთვარე დაბნელების დროს მართლაც უსინათლო და ბნელი ხდება, მზის დაბნელების დროს კი მზე თავისთავად წინანდებურად ბრწყინვალე და ნათელი რჩება, მხოლოდ მის ცხოველმყოფელ სხივებს აკავებს და ჩვენ თვალთაგან ფარავს ბნელი სხეული მთვარე.

მზესთან შედარებით მთვარე ძლიერ პატარა სხეულია; მზის დიამეტრი დაახლოებით 400-ჯერ უფრო დიდია მთვარისაზე, მაგრამ რადგან მანძილიც მიწიდან მზემდის აგრეთვე 400-ჯერ მეტია (150.000.000 კილომეტრი), ვიდრე მთვარემდის (380.000 კილომეტრი), ამიტომ ჩვენ მზე და მთვარე ერთი სიდიდის გვეჩვენება. ამისათვისაა, რომ მთვარეს თავის მობრუნების დროს შეუძლია მზის დაფარვა-დაბნელება. ამასთანავე მზე ბნელდება არა დედამიწის მთელი ნახევარ სფეროსათვის, როგორც მთვარე, არამედ მხოლოდ მიწის განსაზღვრული ზოლისათვის, რომლის სიგანე 100 კმ. არ აღემატება. დანარჩენ ადგილებზე კი მზის დაბნელებას ადგილი არ ექნება. ასე, მაგალითად, სურ. 4 ჩვენ ვხედავთ რომ დამკვირვებელ a-სთვის მზე სავსებით დაფარულია მთვარის მიერ, ე. ი. ამ ადგილში მზის სრული დაბნელებაა; ამავე დროს „b" დამკვირვებლისათვის დაფარულია მზის დისკოს მხოლოდ ერთი მხარე, მაშასადამე აქ მზის მხოლოდ ნაწილობრივი დაბნელება ხდება, „c" პუნქტში მყოფი დამკვირვებლისათვის კი, ბრწყინვალე მზე ჩვეულებრივად ანათებს და არავითარ დაბნელებას ამ მომენტში ადგილი არ აქვს.



სურ. 4. მიწის a წერტილში—სრული დაბნელებაა, b-ში— ნაწილობრივი, c-ში—არავითარ დაბნელებას ადგილი არა აქვს

მიწის გარშემო მოძრაობის დროს მთვარე ხან უფრო შორსაა მიწიდან და ხან უფრო ახლოს ამის მიხედვით მთვარის დისკო დედამიწიდან ხან უფრო პატარა ჩანს და ხან უფრო დიდი. ამიტომ, თუ მზის დაბნელება მაშინ მოხდა, როდესაც მთვარე მიწასთან ახლოა, ჩვენ სრულ მზის დაბნელებას დავინახავთ. ხოლო თუ მზის დაბნელება ისეთ დროს ხდება, როცა მთვარე დედამიწიდან შედარებით შორსაა, მაშინ მთვარის დისკო მზის დისკოზე პატარა მოსჩანს და მთვარე მზის დისკოს შუაგულშიაც რომ მოხვდეს, ბრწყინვალე მნათობის სავსებით დაფარვას მაინც ვერ შესძლებს. ასეთ შემთხვევაში მზის სრული დაბნელების მაგივრად ჩვენ გვექნება, ე. წ. მზის რგოლისებური დაბნელება ხოლო როდესაც მზის დაბნელების დროს მთვარის ცენტრი მზის შუაგულზე არ გადაივლის, მაშინ მაყურებელი მიწიდან დაინახავს (ტელესკოპის ან გამჭვირვალე მინის საშუალებით) მარტო მზის ერთი მხარის, ანუ მზის ნაწილობრივ დაბნელებას. ასეთი იყო მაგალითად გასულ 1927 წლის 29 ივნისში მომხდარი მზის დაბნელება ჩვენში.

მზის სრული დაბნელება ბუნების ერთი საკვირველი მოვლენათაგანია და ფრიად ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ სანამ ჯერ კიდევ მზის დისკოს თუნდაც პაწია ნაწილი მთვარის მიერ დაუფარავი რჩება, მანამ გარეგან ბუნებაში მაინცდამაინც არაფერი უჩვეულო ჩანს. მხოლოდ შედარებით ჩვეულებრივზე უფრო ჩამობნელდება: თითქო ცა ამღვრაო. მიუხედავათ ამისა მზის ცხოველმყოფელი სხივების არსებობას ადამიანი მაინც აშკარად გრძნობს. მაგრამ, აი, მზის უკანასკნელი სხივიც გაქრა: მაშინვე ყოველივე ცასა და დედამიწაზე ერთბაშად იცვლება ყველაფერს არაჩვეულებრივი სიბნელე მოიცავს; თუმცა სრულ ღამეს არა ჰგავს, მაგრამ ვარსკვლავები მაინც მოსჩანან; მდელო და ხის ფოთლები ნაცრის ფერი ხდება; ადამიანის კანს მიწის ფერი დაჰკრავს. ჩრდილები დედამიწაზე საოცარი სისწრაფით გარბის. ფრინველებს, ცხოველებს და ცრუმორწმუნე ადამიანთ შიშის ზარი იპყრობს.. მგლოვიარე ცის ფონზედ მთვარის შავ დისკოს ირგვლივ მხოლოდ **მზის გვირგვინი** ვერცხლისფერად ანათებს და ამ გვირგვინში ტელესკოპით მზის წითელი კონცხები ჩანს, რომელთა სიმაღლე ხანდახან 800.000 კილომეტრს აღწევს!.

სრული მზის დაბნელება 6—7 წუთზე მეტი არ გასტანს, მაშინ, როდესაც მთვარის დაბნელება, როგორც ზევით ვსთქვით, 2 ნახევ. საათზე მეტი გრძელდება.

მზისა და მთვარის მოძრაობათა შორის ისეთი დამოკიდებულება არსებობს, რომ დაახლოებით ყოველ 18 წლისა და 11 დღის შემდეგ ეს მნათობები ერთმანეთის შესახებ ძველ მდებარეობას მიიღებენ სივრცეში. ამიტომ მზის და მთვარის წინა წლების დაბნელებებიც ძველი მიმდევრობით გამეორდება. ეს კანონზომიერება დაბნელებათა შორის უკვე ძველ დროში იყო ცნობილი ჩინელებისა და ქალდეველების მიერ, რომელნიც 18 წლისა და 11 დღის პერიოდს „საროსს" ეძახოდნენ, რაც ქალდეველთა ენაზე განმეორებას ნიშნავს. „საროსი"-ს საშუალებით ხდებოდა მზისა და მთვარის დაბნელების წინასწარმეტყველება, როგორც ჩინეთში, ისე ძველი დროის სხვა კულტურულ ქვეყნებში

მიმდინარე 1928 წლის 12 ნოემბერს მოხდება მზის მხოლოდ ნაწილობრივი დაბნელება, რომელიც დაინახება დასავლეთ ევროპასა, ჩრდილო აღმოსავლეთ აფრიკასა, აზიის უმეტეს ნაწილსა და მთელ საბჭოთა კავშირში (შორეულ აღმოსავლეთის გარდა). თბილისში ის დაიწყება 11 საათსა და 5 წუთზე ადგილობრივი დროით და დამთავრდება ნაშუადღევის 2 საათსა და 5 წუთზე. მზის ამ დაბნელების დროს ჩვენში დაიჩრდილება მისი ზედაპირის თითქმის ნახევარი (0,46). ადამიანი, რომელიც წინდაწინ გაფრთხილებული არ არის, ზემოხსენებულ მზის ნაწილობრივ დაბნელების დროს განსაკუთრებულს ვერაფერს შეამჩნევს გარდა მცირეოდენი შებინდებისა. ამისათვის რომ მზის დაბნელება აშკარად დავინახოთ, საკმაოა უბრალო მინის ნაჭერი კვამლზე წინასწარ გავჭვარტლოთ და 12 ნოემბერს დილის 11 საათიდან ამ შუშის საშუალებით უცქიროთ მზეს. მაშინ დაწვრილებით და მკაფიოთ გაივლის მაყურებლის წინ მზის დაბნელების ყველა საფეხურები. მზის დაბნელების დროს ყოველთვის პირველად მისი დისკოს დასავლეთი ნაწილი დაიჩრდილება და შემდეგ აღმოსავლეთი. ზემოხსენებულ „საროსის"-ის პერიოდის მიხედვით ასეთივე მზის ნაწილობრივი დაბნელება განმეორდება კიდევ 1946 წლის 23 ნოემბერს.

შ. მოსიძე.

---

*) ორბიტა ეწოდება იმ მრუდე ხაზს, რომელსაც ცის მნათობი თავისი მოძრაობის დროს სივრცეში შემოწერს.

**) ნასკვი ეწოდება მიწისა და მთვარის ორბიტთა გადაკვეთის წერტილებს.

მა, მომზადება, სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა, ოცნებანი, გატაცებანი...

ეეჰ, კარგია ახალგაზრდობა.

ესეც კურსკის სადგური. გამოვედი: ვერ, არც ერთი „ვანკა", ესე იგი ცალცხენა ეტლი,—ავტომობილები, ტაქსები, ერთ-სართულიანი და ორსართულიანი ავტობუსები, რომლებიც ტრამვაის ვაგონებს ჰოგაგონებენ.

დავდექი სასტუმროში ცენტრალურ ალაგას, რომ უკეთ დამეთვალიერებინა ყველაფერი.

სხვათა შორის, ხშირად გამიგონია: მოსკოვში სასტუმროები საშინელი ძვირიაო.

რა მოგახსენოთ, მე კი იაფად ვიშოვე საუკეთესო ალაგას მშვენიერი ოთახი.

დილაა,—არ მინდა, უქმად დავკარგო დრო.

საჩქაროდ გამოვიცვალე ტანისამოსი და შევუდექი მოსკოვის დათვალიერებას. აი ნაცნობი ქუჩები, ბაღი. აი აქ გამოჩენილი ფილიპოვის მაღაზია იყო, ეგერ—აბრიკოსოვისა, ელისეევის, რა იქნენ, სად არიან?

მოსკოვში ყოველივე კერძოს ალაგი დაუთმია საზოგადოებისათვის. კერძო მაღაზიას ძვირად შეხვდებით, — ყველგან კოოპერატივია სხვადასხვა სახელწოდებით. ვიტრინებში საქონელი ბევრია.

ვინ სთქვა, მოსკოვში ყველაფერი საშინელი ძვირიაო. ყველაფერი ბევრად უფრო იაფი, ვიდრე ჩვენში. მაგ., თბილისში წამოსვლისას პერანგი ვიყიდე შვიდ მანეთად კერძო მაღაზიაში. სრულებით იმგვარივე პერანგში მივეცი მოსკოვის ერთ კოოპერატივში სამი მანეთი და სამი აბაზი. პური მოსკოვში რამდენიც გნებავთ და იაფი. თბილისში რომ კერძო საშაქარლამოში ბულკში მისცემთ ოცდაოთხ კაპეიკს, მოსკოვში იგივე ბულკი ღირს კოოპერატივში თერთმეტი კაპეიკი.

აი კუთხეში დიდი მაღაზია; ვათვალიერებ. ბიჭოს! ქართული წიგნები, სომხური, ებრაული, თათრული, ოსური.

რა ამბავია? წიგნები საბჭოთა კავშირის ერებისა.

ნეტავი ახლა სტოლიპინი და პობედონოსცევი წამოაყენა ზეზე და ყოველივე ეს დაანახვა. რამდენ ხანს და რა გააფთრებით ებრძოდნენ ისინი რუსეთის ერების განთავისუფლებას და განათლებას, მაგრამ ამაოდ.

ჭეშმარიტებამ მაინც გაიმარჯვა, იგრიალა ოქტომბრის რევოლიუციამ და დღეს საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქში მთელი მაღაზია არის ფედერაციის ყველა ერების ენაზე დაწერილი წიგნებისათვის.

აი აგერ დიდი წითელი სახლი.

მახსოვს, მახსოვს ძალიან კარგად: აქ ბრძანდებოდა მისი უმაღლესობა მოსკოვის გენერალ - გუბერნატორი.

ახლა? აბა ვნახოთ:

„მოსკოვის საბჭო მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატებისა".

ნეტავი ახლა გააცოცხლა რევოლიუციონერების მიერ სიკვდილით დასჯილი სერგეი და პლევე და ეს წარწერა დაანახვა!

სასახლის წინ მოედანზე ამართულია რევოლიუციის ძეგლი და იქით დიდი ლენინის ინსტიტუტი.

ძეგლი ლამაზია, დიდებული, მაგრამ რუსეთის რევოლიუციის ქმედობასა და გაქანებას ვერ იძლევა.

ლენინის ინსტიტუტი საუცხოვოა, როგორც ნიმუში ახალი სტილისა; სიმარტივე და სინათლე, აი რა არის შიგ მოცემული.

აღმშენებლობა ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ მოსკოვში. ახალ შენობათა შორის მეტად საყურადღებოა ტვერის ქუჩაზე ახალი ფოსტა-ტელეგრაფი. უზარმაზარი შენობა გადის სამ ქუჩაზე და კედლების ნაცვლად მთლად შუშებია; შიგა და შიგ სვეტებად დატანებული კედლები მხოლოდ ჩარჩოებია დიდი ფანჯარებისათვის. ჩვენს ხუროთმოძღვრებს ბევრს რასმე ეტყვის და ასწავლის ეს შენობა.

სიარულსა და თვალიერებაში შთაბეჭდილება შთაბეჭდილებას ცვლიდა და კარგა დროს გაევლო.

თუმცა ავთანდილ მჴეც ჭმნილი
ტირილითა და ხვნეშითა;
ეგრეცა ჭამა მოუნდის.
ადამისტომთა წესითა.

სატირალი და სახვნეშავი არა მქონია რა, პირიქით, გაფაცცებით ვათვალიერებდი ყოველისფერს, მაგრამ „ეგრეცა ჭამაც მოჰინდის" მეც.

დავუწყე სასადილოებს ძებნა, „ვეგეტარიანული სასადილო", „კავკასიური", „ევროპიული", „დიეტიური" —აი წარწერები. აქ ბევრი რამ არის ახალი და მეტად მნიშვნელოვანი.

არის ადამიანი, რომელსაც ხორცეული სწყენს, მისთვის საჭირო არის ვეგეტარიანული საჭმელი.

არის ავადმყოფი, რომელსაც კუჭი სტკივა, ნაწლავები, თირკმლები და სხვა, მისთვის აუცილებელია შერჩეული, განსაზღვრული, ანუ დიეტიური საჭმელი.

ყოველივე ამას განათლებულ ევროპაში თქვენ მხოლოდ კურორტებზე იშოვით, ქალაქებში ვერა.

მოსკოვში კი ამგვარი სასადილოები ყოველი ფეხის გადადგმაზეა. ამას აქვს ერთი უპირველესი მნიშვნელობა მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის. მოსკოვში ეს განხორციელებულია, ბერლინში კი თითო-ოროლა ვეგეტარიანული სასადილოა.

მოსკოვში საშინელი მოძრაობაა; ხალხი ბუზივით ირევა ტროტუარებზე, მაგრამ თქვენ აქ ვერ ნახავთ ზანტ სიარულს უსაქმური ადამიანისას, ან გაჩერებულ ჯგუფებს.

აქ ყველა მიიჩქარის, ყველა სადღაც მიეშურება; ყველას საქმე, ზრუნვა, ფიქრი აქვს აღბეჭდილი სახეზე. თქვენ აქ ვერ ნახავთ მდიდრულად გადაპრანჭულ ქალებს, გაბზეკილ არისტოკრატებს, გაღენძილ ბურჟუებს, ყოველივე ეს წარვიდა, გაჰქრა.

სუფთად, უბრალოდ და სადათ აცვია ყველას.

მოსკოვში მოძრაობს, მუშაობს, საქმეს აკეთებს, შრომობს ხალხი.

წინეთ მოსკოვი იყო გენერლების, ბიუროკრატების, მემამულეების, ვაჭრების ქალაქი.

ახლა კი მოსკოვი არის მშრომელი ხალხისა, სახალხო ქალაქი.

მოსკოვში შესანიშნავია ზოოლოგიური ბაღი თავისი სივრცით, მოწყობილობით, სიმდიდრით და მრავალგვარობით. რა ცხოველსა ან ფრინველს არა ნახავთ აქ, მაგრამ განსაკუთრებით ლამაზია თავისუფლად გაშვებული ვეფხვები და ლომები. მოზრდილი ვაკე შემოზღუდულია ერთის მხრით ხელოვნური კლდეებით, მეორეს მხრით განიერი და მაღალი თხრილით, რომელშიაც წყალია დაგუბებული.

თხრილი და კლდეები მხეცებისათვის გარდუვალია, ისინი თავისუფლად დანავარდობენ ვაკეზე და კლდეებში; მაყურებელიც თავისუფლად და გულდამშვიდებით ადევნებს თვალს მათს მოძრაობას, მიხვრა-მოხვრას, თამაშს, გადახტომას. იშვიათია სპილო თავისი სიდიდით.

მოსკოვის ძვირფას საგანძურს წარმოადგენს სამხატვრო გალერეია, მაგრამ მისი აღწერა შთაბეჭდილებათა სახით შეუძლებელია.

როგორც კი გავიხედ-გამოვიხედე მოსკოვში და ზერელედ თვალი გადავავლე, მაშინათვე გავეშურე ლენინის მავზოლეუმის დასათვალიერებლად, მაგრამ შიგ შესვლა ძალიან გაძნელდა, რადგანაც მსურველი ბევრი იყო.

აქ ყველაფერი უბრალოა, სადა, მარტივი და მავზოლეუმის მთელი სილამაზეც ამაშია: ლენინიც უბრალო და სადა იყო კერძო ცხოვრებაში.

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს თითქოს მშვიდათ სძინავს დიდი შრომის შემდეგ და მავზოლეუმის მთელი აღნაგობა, სტილი, სწორი ხაზები განხორციელებული სიწყნარეა, სიჩუმე, რათა მოქანცულ ბელადს ძილი არასფერმა დაუფრთხოს.

მოსკოვი წარმოადგენს ცეცხლის მქშინავ მთას, რომელიც გრგვინავს და წალეკვას უქადის ყოველივე ძველსა და დრომოჭმულს, რათა გზა გაუკაფოს ყოველივე ახალსა და მშრომელი ხალხისათვის სასარგებლოს.

ამ მთამ მძლავრად ამოხეთქა ჩემი ჩასვლის მეორე დღეს: ეს იყო საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე.

ტვერის ქუჩის სიგრძით კრემლისაკენ მთელი ექვსი საათი შეუწყვეტლად მოსრიალობდა ახალგაზრდობის დაუსრულებელი ტალღა. ვარაუდით ორასი ათასზე მეტი იყო, როგორც ამბობდნენ.

ვის არ დაინახავთ ამ აღფრთოვანებულ ტალღაში.

აქ იყვნენ რუსები, ებრაელები, პოლონელები, გერმანელები, ქართველები, სომხები, ოსები, ფრანგები, ჩინელები, იაპონელები, ოსმალები— ერთის სიტყვით სულ ყველა ერის წარმომადგენლები.

ბრწყინვალე თვალები, სპეტაკი სახე, დაჭიმული კუნთები, მტკიცე ნაბიჯი, იშვიათი წესრიგი — ყოველივე მოწმობდა, რომ საერთაშორისო ახალგაზრდობამ იცის თავისი მიზანი, ესმის თავისი მოწოდება და სწამს თავისი გამარჯვება.

მთელი ეს ახალგაზრდობა, მოზღვავებული დედამიწის ყოველი კუთხიდან, ფიცსა სდებდა მავზოლეუმში მოსვენებული ბელადის წინაშე, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იმის საქმეს დაიცავდა.

შთაბეჭდილება მეტისტემად ძლიერი იყო. ჭეშმარიტად მოსკოვი ინტერნაციონალური ქალაქია მებრძოლი პროლეტარიატის, ახალგაზრდობისა და ყველა დაჩაგრულისა. მოსკოვი უდიდესი ქურაა მსოფლიო რევოლიუციისა. აქ იჭედება ყველა ქვეყნის მშრომელთა და დაჩაგრულთა ბედი.

ქარიშხალის ავარდნილ ტალღებში ისახება აქ ახალი ცხოვრება!

სამწუხაროდ ჩემს განკარგულებაში არ იყო საკმაო დრო, რომ მოსკოვი ჯეროვნად დამეთვალიერებია, ბევრი რამ არის აქ ახალი, რასაც ევროპის დიდ ქალაქებში ვერ ნახავთ.

მოსკოვში თუ რამე კეთდება, მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. ამ მხრივ შესანიშნავია მოსკოვში დასვენებისა და განათლების ბაღი, რომელიც ცნობილ „ვორობიოვის მთებს" უერთდება; საუცხოოდ არის მოწყობილი, ყოველგვარ სპორტს აქვს აქ საპატიო ადგილი და ყოველგვარი ზომაა მიღებული, რომ ადამიანმა აქ სხეულითა და გონებით დაისვენოს, გაერთოს, ბევრი რამ ნახოს, გაიცნოს და მოიკრიბოს ახალი ენერგია ახალი შრომისათვის.

მოსკოვი დიდი პერსპექტივების მაჩვენებელია, დიდი შესაძლებლობით დატვირთული, დიადი მომავლის მჭედელი.

ივ. გომართელი.

წითელი ჯვრის სამდღიური

პირველი დღის შედეგები

საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდიუმში ჩვენს თანამშრომელს აცნობებს, რომ წელს წითელი ჯვრის სამდღიური გაცილებით მეტის წარმატებით ტარდება, ვინემ წინა წლებში.

ყულაბებით ფულის შეგროვება სამდღიურის პირველ დღეს მეტად ნაყოფიერად ჩატარდა. პირველი დღის შემოსავალი 40 პროცენტით სჭარბობს გასულ წელს მთელ სამდღიურის განმავლობაში შეგროვილ თანხას. თბილისში შემოწირულებათა შეკრება სწარმოებს 120 ყულაბით.

დიდ ინტერეს იჩენენ მშრომელთა ფართო მასები წითელი ჯვრის მიერ მოწყობილ მოხსენება-ლექცია-საუბრებისადმი.

ასეთივე ცნობები მოდის მაზრებიდანაც.

დაწესებულება - ორგანიზაციები — წითელი ჯვრის წევრებათ

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, წითელი ჯვრის სამდღიურის განმავლობაში ჩატარდება დაწესებულებების და ორგანიზაციების წითელი ჯვრის წევრებად ჩაწერის კამპანია.

ამ მუშაობის ჩასატარებლად წითელი ჯვრის სამდღიურის ჩამტარებელ მთავარ კომიტეტის მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისიები.

10 პროცენტიანი დანარიცხი

წითელი ჯვრის სამდღიურის განმავლობაში თბილისის ყველა კინოებში და თეატრებში ბილეთების ფასზე დარიცხულია 10 პროცენტი წითელი ჯვრის სასარგებლოდ.

ყულაბებით ფულის შეკრებისათვის ხელის შესაწყობად

საქართველოს ცაკის დადგენილებით ყულაბებით ფულის შემკრებთ ნება ეძლევა აწარმოონ ფულის შეკრება დაწესებულებებში, თეატრებში, ცირკში, კინოებში და საერთოდ გასართობ დაწესებულებებში.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა მე-7 ყრილობა

გუშინ, საღამოს, მუშათა ახალ კლუბში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა მეშვიდე ყრილობა.

ყრილობა გახსნა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ორჯონიკიძემ.**

ამხ. ორჯონიკიძის წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამას წინად გარდაცვალებულ ამხანაგების: ციურუპას, სტეპანოვ-სკვორცოვის და სემკოვის ხსოვნას.

შემდეგ ყრილობამ აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი 19 კაცისაგან, სამდივნო და სამანდატო კომისია.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს **ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, ვოროშილოვი, ბუხარინი, კრუპსკაია, ტომსკი, ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე; მ ცხაკაია; მ. კახიანი; ბ. მაჩაიძე** და **ფიგატნერი** (საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე).

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ **ამხ. ბ. მაჩაიძემ.**

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა ყრილობის წინაშე,—ამბობს ამხ. მაჩაიძე,—დასმულია ფრიად საყურადღებო საკითხები. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ. ეს ლოზუნგი უნდა დაედვას საფუძვლად თქვენი ყრილობის მუშაობას.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქ. მ. დ. საარტილერიო ლეგიონის წარმომადგენელმა ამხ. კოპლატაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წითელი არმია მედგრად სდგას საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე და თუ საჭიროება მოითხოვს მკერდით დაიცავს ოქტომბრის მონაპოვარს.

თბილისის მუშათა კოოპერაციის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ნარსია**, რომელმაც მუშკოოპის მოსამსახურეთა სახელით ყრილობას მიუძღვნა წითელი დროშა.

სახელმწიფო ბანკის პიონერთა კოლექტივის სახელით ყრილობას მიესალმა პიონერი ქალი აბრამოვა:

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე: სომხეთის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **პოლოსიანმა**, მეორე რაიადგილკომის კომკავშირის უჯრედის სახელით ამხ. **ბეჟანოვმა**, აქტიურ ქალთა სახელით ამხ. **გერმეზარიშვილმა** და **ვახილიევმა.**

ამის შემდეგ ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, წითელ არმიას, საბჭოთა მუშაკების ორგანოს „ნაშა გაზეტა"-ს რედაქციას მოსკოვში, ამხ. **ტომსკის** მისი საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეთ ყოფნის ათი წლის შესრულების გამო, საქართველოს ცაკს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა.

ყრილობის საქმიანი მუშაობა დაიწყება დღეიდან.

ქარხლის საუკეთესო მომშენებელთა დაჯილდოვება

7 ნოემბერს სოფ. გომში (გორის მაზრ.) გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოფენა. გარდა მანქანების გამოფენილი იყო აგრეთვე გლეხ-მეურნეთა და კოლექტიურ მეურნეობის მიერ მოყვანილი შაქრის ჭარხალი.

გამოფენის საზეიმო გახსნისა და მიტინგის დამთავრების შემდეგ თბილისიდან ჩასულმა საუწყებათაშორისო (სპეციალისტების) კომისიამ შეამოწმა ცალკე მეურნეობებში მოყვანილი ჭარხლის მოსავალი. გომი-გორის რაიონში შაქრის ჭარხლის საუკეთესო მომშენებელთა დასაჯილდოებლათ გამოყოფილი იყო 5 პრემია. პრემიები მიეცა იმ გლეხ მეურნეებს და კოლექტივებს, რომლებმაც ჰექტარზე მოიყვანეს 120 ფუთ ჭარხალზე მეტი.

საექსპერტო კომისიამ **1-ლი ჯილდო** მიაკუთვნა **სოფ. დირბის კომკავშირელთა კოლექტივს**, რომელმაც შესძლო ერთ ჰექტარზე 923 ფუთი ჭარხლის მოყვანა. კოლექტივს პრემიათ მიეცა 1 გუთანი და 1 ფარცხი, **მეორე ჯილდო**—1 გუთანი და 1 ფარცხი—მიეცა **სოფ. ქვანატყორცის ქალთა კოლექტივს**, ჰექტარზე 916 ფუთი ჭარხლის მოყვანისათვის. **მესამე ჯილდო**—1 გუთანი—მიეცა **სოფ. ვარდისუბანში მოსახლე მეურნე გლეხს ალექსი ნოზაძეს**, რომელმაც ერთ ჰექტარზე მოიყვანა 895 ფუთი ჭარხალი. **მე-4 ჯილდო ერგო გომის გლეხთა ახალგაზრ. სკოლას**, რომელსაც ჰექტარზე 868 ფუთი ჭარხლის მოყვანისათვის მიეცა—1 გუთანი, **მეხუთე ჯილდო**—1 ფარცხი მიეცა **სოფ. სასირეთის გლეხთა კოლექტივს** ჰექტარზე 725 ფუთი ჭარხლის მოყვანისათვის.

ჯილდოების დარიგებას და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა გამოფენას დიდძალი გლეხობა დაესწრო. ჭარხლის მოსავლის შემოწმების დროს საექსპერტო კომისიამ გამოარკვია, რომ სოფ. გომში, იქ სადაც კერძო ჭარხლის მეურნე გლეხებს ძლივს მოჰყავდათ ჰექტარზე 720 ფუთამდე ჭარხალი, საბჭოთა მეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე მოუყვანია 1.800 ფუთი ჭარხალი, ანუ ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე ნორმით იყო გათვალისწინებული.

მოსავლის შემოწმების შედეგები კომისიამ გააცნო დამსწრე გლეხობას.

მშრომელ ებრაელთა მიწათ-მომწყობ საზოგადოებაში

მიმდინარე ნოემბერში ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზ-ბის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად ატარებს კამპანიას, რომლის მიზანია მუშათა, გლეხთა და შინამრეწველთა ახალგაზრდობის და მოსწავლეთა ჩაბმა მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზ-ბის რიგებში.

კამპანია, რომელიც ერთი თვე გაგრძელდება, მიზნად ისახავს არა მარტო მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზ-ბის ორგანიზაციულ განმტკიცებას, არამედ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობის ამოცანასაც: განუმარტოს მთელ მშრომელ ახალგაზრდობას, განურჩევლად ეროვნებისა, ებრაელთა მასების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებული მნიშვნელობა ებრაელთა მიწადმოწყობისა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს.

საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზ-ბა საქ. კომკავშირის ცეკასთან ერთად აღნიშნულ კამპანიას ჩაატარებს დეკემბრის განმავლობაში. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია. ამ დღეებში გამოყოფილი იქნება სპეციალური კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს მთელ მუშაობას.

ამას გარდა საზ-ბა ამ ჟამად ამუშავებს ადგილებზე უჯრედების მოწყობის გეგმას. პირველ რიგში უჯრედები მოწყობილი იქნება მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან. სათანადო დირექტივა პარტიის რაიკომების მხრიდან თავის დროზე იყო მოცემული.

ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიაში

საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიას ამ ჟამად თბილისში სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან მოწყობილი აქვს 60 ბუფეტი, რომლებშიაც მუშაობს 152 უმუშევარი ქალი. კომისიას აგრეთვე გლეხის სახლთან გახსნილი აქვს სასადილო, რომელშიაც მუშაობს 13 უმუშევარი ქალი.

ბუფეტებისა და სასადილოს გარდა კომისიას მოწყობილი აქვს სხვადასხვა არტელები, როგორიცაა—სამკერვალოები, პარკების სახელოსნო და სხ. ამ არტელებში მუშაობს 80 ქალი. ქალაქში ჩამოსულ და უბინაო ქალებისათვის კომისიის ხარჯზე თბილისში გახსნილია დროებითი თავშესაფარი. თავშესაფართან მოწყობილია სხვადასხვა სახის სახელოსნოები, რომლებშიაც მუშაობენ უმუშევარი და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები.

1928 წლის 1 იანვრიდან 1-ლ მაისამდე ქალთა დამხმარე კომისიამ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინა 62 უმწეო ქალს, საავადმყოფოში თავის ხარჯით მოათავსა—7 ღარიბი ქალი, ერთდროული ფულადი დახმარება აღმოუჩინა 61 ქალს. ამავე დროს უფლებრივი და იურიდიული დახმარება გაუწია 119 ქალს.

კომისიას გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელში გააფართოვოს მშრომელ ქალთა დახმარების საქმე და ამ მიზნით მოაწყოს ახალი შრომის არტელები და სახელოსნოები, კომისიამ აგრეთვე შეიმუშავა მაზრებში მშრომელ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ახალი გეგმა. გეგმის მიხედვით ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სვანეთში, ხევსურეთში, ფშავეთში და სხვა დანარჩენ ჩამორჩენილ ადგილებში.

სამხედრო მუშაობა მშრომელ ქალთა შორის

საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა შეიმუშავა ღონისძიებები მშრომელ ქალთა გასამხედროებისათვის.

მთავარი ყურადღება მიექცევა მშრომელ ქალთა მომზადებას სპეციალურ, დამხმარე სამსახურისათვის ჯარის ზურგში ომისა და მშვიდობიანობის დროს.

შრომის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით გამომუშავებულ იქნა გეგმა, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ქალების შრომა მრეწველობაში ომის შემთხვევაში.

მოკლე ხანში საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო შეუდგება ქალთა შორის მომუშავე სექციების მუშაობის გამოკვლევას აფხაზეთში, აჭარისტანში, სამხრეთ-ოსეთში და საქართველოს სხვა და სხვა მაზრებში.

ვინაიდან ჯერ-ჯერობით არ არის შექმნილი მტკიცე აქტივი, რომელიც შესძლებდა მუშაობას ქალთა შორის, ამიტომ ადგილებზე მოეწყობა კურსები აქტივის მოსამზადებლად.

ადგილებზე და თბილისში მიმდინარე წელს ქალებისათვის მოწყობილი იქნება შემდეგი კურსები: თბილისში — ადმინისტრატიულ-სამეურნეო, საკავშირო, ძიების საქმის, საავტომობილო, სამხედრო-სანიტარული; გორში, ახალციხეში და ზესტაფონში — სამხედრო-სასროლო კურსები, ზუგდიდსა და თელავში —სამხედრო-ქიმიური კურსები, სოხუმში, ფოთში, ქუთაისში და ბათომში — სამხედრო-სანიტარული კურსები.

ადგილებზე მშრომელ ქალთა მონაწილეობით ჩატარებული იქნება ფართო კონფერენციები თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის ირგვლივ

ყურადღება მიექცევა დიასახლისთა ჩაბმას გასამხედროების საქმიანობაში.

შეშის დამზადება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადება საშეშოდ იწარმოებს გეგმიანი წესით. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და წარმოება, აგრეთვე კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაცია ვალდებულია წარუდგინოს ხოლმე, ყოველ წლიურად, არა უგვიანეს მარტის 1-სა, ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, განცხადება მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში საჭირო შეშის რაოდენობის შესახებ.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ვალდებულია შეადგინოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთან ერთად, ყოველწლიურად, არა უგვიანეს ივლისის 1-სა მომავალი საბიუჯეტო წლისათვის ხე-ტყის საშეშოდ დამუშავების გეგმა. პირველი გეგმა 1928-29 წლისათვის უნდა იქნეს წარდგენილი სახკომსაბჭოში ა.წ. ნოემბრის 15-სათვის.

შეშის მომხმარებელ ყველა დაწესებულება, წარმოება და ორგანიზაცია მოვალეა დაამთავროს ხოლმე, ყოველ წლიურად, არა უგვიანეს სექტემბრის 15-სა, ხელშეკრულების დადება შეშის ყიდვა-მიწოდების თაობაზე.

ტყის მრეწველობის ტრესტს დაევალა მიიღოს ყოველი საჭირო ღონისძიება შეშის ბაზრის მთლიანად დასაპყრობად.

რკინისგზებზე

უბედური შემთხვევა

8 ნოემბერს სადგ. ყარაიადან საბარგო მატარებლის № 102 გასვლის დროს, კონდუქტორმა სტურუამ განიზრახა დაძრულ მატარებელზე შეხტომა. მაგრამ ფეხი დაუსხლტა საფეხურზე და ჩავარდა ვაგონის ქვეშ. სტურუა გადაჭრა ვაგონმა.

მასალების დამზადება

მიმდინარე წლისათვის საჭირო შეშის და ხე-ტყის მასალების დასამზადებლად, გზათა სახ. კომისარიატმა ა-კ. რკინის გზების გამგეობას გადასცა 200.000 მანეთი.

დაჯახება

მატარებელი № 204 სადგ. ზაზალში მიიღეს დაკავებულ ხაზზე.

მოხდა დაჯახება, რასაც შედეგად მოჰყვა ერთი დახურული ვაგონის და 2 ცისტერნის დაზიანება.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

დაჯახების მიზეზების გამოკვლევიდან ჩანს, რომ იგი გამოიწვია მეისრე მახმუდოვის მიერ ისრის არა წესიერად მომზადებამ.

ნავთის საწვავი ღუმელები

მიმდინარე წელს სადგ. ნავთლუღში და ბალაჯარში აგებული იქნება ნავთის საწვავი ღუმელები.

ქრონიკა

მისალმება საქართ. ცაკს

ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავის აღსანიშნავად სრ. საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ მისალმებების დეპეშები მიიღო ქსანის გლეხობისა და აგურ-კრამიტის ქარხნის მუშებისაგან და სურამის თემსაბჭოს გაფართოებულ საზეიმო სხდომისაგან.

არქეოლოგიური აღმოჩენა

ახალშენებათა სამმართველოში მიღებული ცნობებით, გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევში ხილის სახმობი ქარხნის აგების დროს აღმოაჩინეს ძველი სამარხი, რომელშიაც იპოვეს ქალისა და კაცის ძვლები. სამარხი აღმოჩნდა ქარხნის ღუმელის დასადგმელად ამოთხრილ მიწაში 2 მეტრის სიღრმეზე. სამარხი ყოველი მხრით ამოშენებულია ფიქალი ქვებით.

სამარხის აღმოჩენის შესახებ ახალშენებათა სამმართველომ აცნობა საქ. მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებას.

გლეხის სახლი ჩოხატაურში

ჩოხატაურის გლეხკომმა გადასწყვიტა ჩოხატაურში გახსნას გლეხის სახლი და შეიძინოს ავტომობილი, რომელიც ივლის ჩოხატაურიდან საჯევახომდე.

თბ. ალმასკომში

◆ **ხის მასალების ქარხანა.** თბ. ალმასკომის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა თბილისში ხის მასალების ქარხნის აგების პროექტი. პროექტი შედგენილია ინჟ. ბეთანელის მიერ. ქარხნის აგება დაიწყება მიმდინარე წელში.

სხვადასხვა

◆ **ოქტომბრის რევოლიუციის** 11 წლის თავის აღსანიშნავად ხაშურში გაიხსნა ამხ. ვ. ვაშაკიძის სახელობის საბავშო ბაღი.

◆ **სტატისტიკოსების კრება.** დღეს, დილის 11 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანება იწვევს სტატისტიკოსების საერთო საქალაქო კრებას.

◆ **ბუნებისმეტყველ მასწავლებელთა კრება,** ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, მე-14 შრომის სკოლის საბუნებისმეტყველო კაბინეტში შესდგება ბუნებისმეტყველ მასწავლებელთა კრება.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** განჯიდან—არუთინოვს, საგარეჯოდან — კომრაკოვს, ქუთაისიდან — ბოკერიას, სოხუმიდან—ადამიას, ქუთაისიდან — ჭანტურიას, ომსკიდან—ჩაგაიძეს.

ხელოვნების ქრონიკა

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა გადარეულის წიგნაკი „გადარეული საქართველოში", გამოცემა „ტარტაროზის" ბიბლიოთეკის, № 1, გვ. 64, ფასი 30 კაპ.

◆ **კომპოზიტორ პ. ჩაიკოვსკის** გარდაცვალებიდან 35 წლის თავის აღსანიშნავად 15 ნოემბერს ოპერის თეატრში გაიმართება სიმფონიური კონცერტი ა. პავლოვ-არბენინის დირიჟორობით. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სოლისტები: კ. დერჟინსკაია და ა. ალექსეევი.

◆ **სურათ „18—28"-ს საზოგადო ჩვენება.** პროფსაბჭოს კულტგანყოფილება, ორშაბათს, 12 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სასახლის დიდ დარბაზში გამართავს კინო-სურათ „18—28"-ს საზოგადო ჩვენებას, რის შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

◆ **ოპერის თეატრთან** არსდება მუდმივი სამხატვრო საბჭო, რომლის მიზანია თეატრის დაახლოება ფართო მასასთან და მხატვრული მეთვალყურეობის გაწევა წარმოდგენებისათვის.

◆ **მოზარდ მაყურებელთა თეატრის** სეზონი გაიხსნება დღეს, ოპერის თეატრში. წარმოდგენა დაიწყება დღის სრულ 1-ლ საათზე.

◆ **„კარმენ".** რედაქციამ მიიღო პროსპერ-მერიმეს რომანი „კარმენ", თარგმანი **ალი არსენიშვილის.** წიგნს დართული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა.

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში,** დღეს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციაში ნაშუადღევის 4 საათზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის ბიუროს წევრების სხდომა.—ორშაბათს ხელოვანთა სასახლეში შესდგება წრის მორიგი კრება.

ქუთაისი

მუშაობა ქუთაისის წყალსადენზე

ამჟამად ქუთაისის წყალსადენის ასაგებათ გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. უკვე დამთავრდა წნევის და წყლის დამწმენდი აუზების აგება და აგრეთვე მიწის სამუშევრები. დაწყებულია ქვის და ბეტონის სამუშაოები. ამჟამად წყალსადენზე მუშაობს 100 კაცამდე, დღემდე ხელისუფლების მიერ გაღებული ხარჯები, ყოველგვარ სამუშაოებზე უდრის 56.660 მ. წყალსადენის აგების დამთავრება განზრახულია 1930 წლისათვის.

აბჰეს-ქუთაისის ელექტრო გადამცემი ხაზი

აბჰეს-ქუთაისის ელექტრო-ენერგიის გადამცემი ხაზის გაყვანა ახლო ხანში დამთავრდება. ამ მიზნით ქუთაისის 1-ლ ელექტროსადგურთან შენდება მეორე ახალი ელექტრო ქვესადგური გადმოყვანილი ელექტრო-ენერგიის გამანაწილებლად. სადგურის დამთავრება განზრახულია 1929 წლის აპრილისათვის.

კირის ახალი ქარხანა

მიუხედავათ იმისა, რომ ქუთაისის პირველი კირის ქარხანა მთელი დატვირთვით მუშაობს, ის მაინც ვერ აკმაყოფილებდა ბაზარზე კირის მოთხოვნილებას. ამის გამო ამჟამად შენდება კირის მეორე ქარხანა. ქარხანაში მოეწყობა ორი ღუმელი, რომელიც დღე და ღამის განმავლობაში დაამზადებს 2.400 ფუთ კირს. შემდეგისათვის განზრახულია ახლად აგებულ ქარხანაში მესამე ღუმელის დადგმაც.

ახალი ფიზიო - თერაპევტიული სამკურნალო

ქუთაისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას განზრახული აქვს ახლო მომავალში გახსნას ფიზიო-თერაპევტიული სამკურნალო, რომლის მიზანია შინაგანი, ვენერიული და ნერვიულ სნეულებებთან ბრძოლა. აღნიშნული სამკურნალოსათვის განყოფილების მიერ შეკვეთილია სხვადასხვა ელექტრო ხელსაწყოები, რომელთა ნაწილიც უკვე მიღებულია. ახლო ხანში მიღებული იქნება აგრეთვე რენტგენის ხელსაწყო.

ახალი ამბულატორია

ქუთაისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ სამტრედიის რაიონში დაზღვეულთათვის გახსნა ახალი ამბულატორია, სადაც განყოფილების მიერ უკვე დაინიშნა ერთი ექიმ-სპეციალისტი და ორი ექიმის თანაშემწეები.

ინვალიდთა ახალი კოოპერატიული ნადები

ქუთაისის სამაზრო ალმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება უკვე შეუდგა ინვალიდთა ახალი კოოპერატიული ნადების ჩამოყალიბებას. ნადების მიზანია ინვალიდთა შრომაში ჩაბმა მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. განყოფილების მიერ განზრახულია აგრეთვე კლუბის გახსნა ინვალიდთა შორის კულტურული მუშაობის საწარმოებლად.

სასამართლო

მკვლელობა ქეიფის შემდეგ

ამა წლის 25 ივლისს ავლაბრის ქუჩაზე სასადილო „დარიალ"-ში ქეიფობდნენ „ძმა-ბიჭები", რომელთა შორის იყვნენ ისაკი ივანეს ძე გაბრიელიანცი და ლაშხია მანუკოვი, რომელთაც სულ უბრალო მიზეზის გამო უკმაყოფილება მოუვიდათ.

უკმაყოფილება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. გაბრიელიანცმა დაიწყო გრძელი „რეჩი" და აღარ გაათავა. მანუკოვს კი ღვინის დალევა ეჩქარებოდა და მაინცა და მაინც არ ხიბლავდა გაბრიელიანცის მჭერმეტყველება.

— კარგი რაღა! „სტანცია" აღარ იცი?—აწყვეტინებს მანუკოვი გაბრიელიანცს.

გაბრიელიანცის აღგზნებულ გულს თითქოს ცივი წყალი გადაასხა მანუკოვმა, დაეშალა გაბრიელიანცს სიტყვა, დაჰკარგა „ძაფი" და ჩადგა გულმოსული.

— შენ ყოველთვის ასე იცი! როგორც კი ლაპარაკს დავიწყებ, შენ უნდა შემიშალო. ასე ვერ მოისვენებ! ალბად მტრობა გაქვს ჩემდამი... ვნახოთ!

ქეიფი გადაიქცა ჩხუბჩოლად და ლანძღვა-გინებად. გაბრიელიანცმა დასტოვა მოქეიფე ხალხი და წავიდა „დემონსტრატიულად".

გავიდა ცოტა ხანი, დარჩენილებმაც მალე გაათავეს ღვინის სმა და გამოვიდნენ ქუჩაში. კახეთის მოედანს რომ მიუახლოვდნენ, მათ შემოხვდა გაბრიელიანცი, რომელმაც მანუკოვის დანახვისთანავე იშიშვლა მაუზერი და ტყვია გულში დაახალა მას.

მანუკოვი იქვე გარდაიცვალა.

გაბრიელიანცი გუშინ გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. კუპრაშვილის თავმჯდომარეობით.

ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით სასტიკი იზოლიაციით.

მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის

სამტრედიის უბნის სახალხო სასამართლომ მიწის კანონის დარღვევისათვის გაასამართლა ეწერის თემის მცხოვრებლები **იასონ გოგისვანიძე და ევგენი ტალაბაძე.**

იასონ გოგისვანიძე სამი წლის წინ გადასახლებულა სოფლიდან ქ. ბათომში საცხოვრებლად. თავისი 2 ქცევა სახნავი მიწა მან დატოვა დასამუშავებლად ზამთარაძეს, რომელიც მას მოსავლის ნახევარს აძლევდა.

ამა წლის თებერვალში გოგისვანიძემ დაითხოვა თავისი ადგილიდან ზამთარაძე, რომელსაც მადლობაც არ უთხრა მამულის მოვლისათვის და განუცხადა: ჩემი მამული ევგენი ტალაბაძეს მივაქირავე 4 წლის ვადით და შენ საჭირო აღარ ხარო.

ტალაბაძემ და გოგისვანიძემ სოფელში [illegible] გაავრცელეს ხმა, თითქოს უბრალო გაქირავებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მალე ყველა დარწმუნდა, რომ გოგისვანიძემ მიწა გაჰყიდა.

ტალაბაძის და გოგისვანიძის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის დევნა.

სასამართლოში დადასტურდა, რომ გოგისვანიძეს მიუღია ტალაბაძისაგან მიწის ფასად 240 მანეთი.

სასამართლომ ორივე ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6—6 თვით, მიწა გადაირიცხა სახაზინო ფონდში. გოგისვანიძემ 240 მანეთი უნდა გადაიხადოს ადგილობრივ თემალმასკომის სასარგებლოდ.

მსჯავრდადებულებმა საჩივარი შეიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

გაფლანგვა ინვალიდთა დამხმარე კომიტეტში

(პროცესის მესამე დღე)

სწარმოებს მოწმეების დაკითხვა.

ბრალდებული ლ. რუხაძე, რომელმაც საქმის გარჩევის დასაწყისში „პრინციპიალურად" უარი სთქვა სასამართლოსათვის ჩვენებისა და ახსნა-განმარტების მიცემაზე, ეხლა უკვე ენა ამოუბამს და არც ერთ მოწმეს არ გაუშვებს ისე, რომ ჩვენება არ შეაწყვეტინოს და თავისი ვრცელი, მაგრამ წინააღმდეგობით სავსე განმარტება ზედ არ მიაყოლოს.

საინტერესო ჩვენებას იძლევა მოწმე **ნინუა** (ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი).

მოწმე ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ შეიტანა მან ეჭვი კომიტ. კომერც. ნაწილის რწმუნებულის რუხაძის კეთილსინდისიერებაში. ამის მიზეზი იყო ანგარიშის წარმოდგენის თვეობით დაგვიანება. როგორც შემდეგში გამოირკვა, ნინუას მოადგილე **ლუხტანის** (ამჟამად ბრალდებულია) შვებულებაში წასვლის შემდეგ, რუხაძე ყოველმხრივ ცდილობდა დაეგვიანებინა უკანასკნელის მიერ დატოვებული ანგარიშის წარმოდგენა იმიტომ, რომ რუხაძეზე ამ ანგარიშში გაუნაღდებლად ითვლებოდა 5.500 მანეთი და თუ ამ ანგარიშს გამოარკვევდა, პასუხი უნდა ეგო 5.500 მანეთზედაც, რომელიც მას ხელწერილის ქვეშ ჰქონია მიღებული და რომლის შესახებ ის „დიპლომატიურად" სდუმდა.

ეხლა საინტერესოა, როგორ „ჩაჰდა" რუხაძე ამ 5.500 მანეთის საქმეში. ნინუამ როგორც იქნა ენერგიული ზომების მიღებით აღმოაჩინა მის მოადგილე ლუხტანის მიერ დატოვებული ანგარიში, რომელიც შენახული ჰქონდა იმავე დაწესებულების თანამშრომელს ვინმე ივანოვს. ივანოვი გამოტყდა, რომ ანგარიშის წარმოდგენას მას არ აძლევდა რუხაძე. ანგარიში უკვე ხელთ აქვს ნინუას, რომელიც იბარებს რუხაძეს და გამოსაცდელად ეკითხება, თუ რამე იცის 5.500 მანეთის შესახებ. რუხაძე, როგორც მოწმე ლაპარაკობს, ჩვეულებრივ „არტისტულ" გამომეტყველებას ღებულობს და დიდმნიშვნელოვნად თავს აქნევს, ვითომ არაფერი იცის.

— მაშასადამე, ლუხტანისაგან თქვენ არ მიგიღიათ 5.500 მანეთი და არც საამისო ხელწერილი მიგიცია?—ეკითხება ნინუა.

— არასოდეს.—უპასუხებს რუხაძე, რომელმაც არ იცის, რომ ნინუას იქვე უჯრაში უწყვია მის მიერ გაცემული ხელწერილი.

როდესაც ნინუამ გამოაღო უჯრა და ხელწერილი უჩვენა რუხაძეს, უკანასკნელი დაიბნა. ჯერ ლაპარაკობს, რომ ლუხტანს მისი ძველი უთარიღო ხელწერილები გამოუყენებიაო. მაგრამ მალე პასუხისმგებლობას კისრულობს ამ თანხის დაკარგვისათვის.

როგორც მკითხველებმა იციან რუხაძემ შემდეგში, კიდეც დაფარა ეს თანხა, მაგრამ ახალი გაფლანგვის საშუალებით.

შემდეგ მოწმე ლაპარაკობს, როგორ აღმოუჩინეს რუხაძეს 2 ვაგონი მარილის მითვისება, აგრეთვე 8.000 მანეთის გატანა № 2 სავაჭროდან, რაც მას დღემდე არ დაუფარავს.

გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

ზერ.

—:—

საჭირო განმარტება. ჩვენი გაზეთის 256 ნომერში მოთავსებული იყო ანგარიში მიწის კანონის დარღვევის შესახებ, რომელშიაც დასახელებული იყო სოფ. ლიხაურის მცხოვრები **გერასიმე ქავჟარაძე.** აღნიშნული პიროვნება არ არის თბილისში მცხოვრები გერასიმე ესტატეს ძე ქავჟარაძე.

შემთხვევები

„ზელიმხანის" მოკვლა

ზაქათალის მაზრის სოფ. ალიაბათში კახეთის მილიციის თანამშრომლებმა მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი **ვაჭხო მიქოს ძე წუდაქაიძე,** მეტ სახელად „ზელიმხანი". წუდაქაიძე 3 წლის განმავლობაში სისტემატიურად ეწეოდა ყაჩაღობას, ძარცვავდა გლეხებს და იტაცებდა ოთხფეხ საქონელს.

ყაჩაღების შეპყრობა

კახეთის მაზრის მილიციამ შეიპყრო ყაჩაღები **დიმიტრი მიხას ძე აშკარელი** და **შაქრო ნიკას ძე ჯალაღოვი.** ეს უკანასკნელი, მეტ სახელად „პოდას ბიჭი", გამოქცეული იყო თბილისის გამსახლიდან, სადაც ის დაპატიმრებული იყო მკვლელობისათვის.

ქურდობა

გაქურდეს გიორგი კიქნაძის ბინა (საბჭოთა ქ. № 15); წაიღეს 630 მანეთის ნივთები;—პეტრიწის მოედანზე ალექსანდრე მიხნეიჩს ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა 80 მანეთი.—გაქურდეს პ. ხაჩატურიანის დუქანი (კლარა ცეტკინის ქ. № 140),—მოპარულია 200 მანეთის საქონელი,—გარდა ამისა, 9 ნოემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 4 შემთხვევა.

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ევანე კიმოთის ძე კოშუნოვი, რომელმაც მუშკოოპის მაღაზიიდან (სადგურის ქ.) მოიპარა სხვადასხვა ნივთები.

დაჭრა

9 ნოემბერს ანდრონიკ გულასარიანცმა (მცხ. მე-2 პარალელი ქ. № 10) დანით დასჭრა თავისი ცოლი—მასია. დაჭრილს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში, გულასარიანცი დაპატიმრებულია.

ხულიგნობის ახალი ფორმა

ქალაქის სხვადასხვა რაიონებსა და ცენტრალურ ადგილებში მოწყობილია ტელეფონ-ავტომატები. ავტომატებით სარგებლობა შეუძლია ყველა მოქალაქეს, რისთვისაც საჭიროა ავტომატში წინასწარ ორშაურიანის ჩაშვება.

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ ავტომატით სარგებლობა შეუძლებელი შეიქნა. მათი შეკეთების დროს გამოირკვა, რომ ავტომატში ორშაურიანის ნაცვლად ჩაშვებულია ორკაპეიკიანი. ორკაპეიკიანი იჭედება ავტომატში, რაც იწვევს ტელეფონის დაზიანებას და მუშაობის შეფერხებას. ამრიგად ზოგიერთ მოქალაქეთა ხულიგნური მოქმედების გამო შეუძლებელი ხდება ავტომატებით სარგებლობა და თბილისის ტელეფონის სადგურს აქვს საგრძნობი ზარალი, რომელსაც იწვევს ავტომატების დაზიანება და მათი შეკეთება.

იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც შემჩნეული იქნებიან იმაში, რომ ორშაურიანის ნაცვლად ავტომატში ჩააგდეს ორკაპეიკიანი, მიღებულ იქნება ადმინისტრატიული ზომები.

ჭადრაკი № 3

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

ამოცანა
ზ. დოლბორჯგინიძის (აბასთუმანი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

ამოცანა
გ. ქასპარიანის (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი სამ სვლაში

პარტია № 3 (ინდიური)

თეთრები: გოგლიძე — შავები: გრიგორიევი.

გათამაშებულია შეჯიბრის მეცხრე ტურში

1. მg1—f3, მg8—f6 2. d2—d4, e7—e6 3. კc1—g5, კf8—e7 (შავები პასიურათ თამაშობენ, სჯობდა c5! რათა შემდეგში ლაზიერის b6-ზე გამოყვანით იქონიონ კონტრთამაშის საშუალება, პაიკ b2-ს სისუსტის გამო.) 4. e2—e3,, d7—d6 5. კf1—d3, 0—o 6. მb1—d2, მb8—d7 7. 0—o, მf6—d5 (შავები ცდილობენ g5 კუს გაცვლას, რათა შემდეგ ცენტრი გაარღვიონ და პაიკ e-ს მიწევით საშუალებით მიიღონ უფრო თავისუფალ თამაშის შესაძლებლობა) 8. კg5:e7, ლd8:e7 9. c2—c4, მd5—b4 (უფრო ძლიერი იქნებოდა შავებისთვის მხედრით დახევა მd5—f6, ვინაიდან შემდეგში e5-ს თამაშით უფრო თავისუფალ მდგომარეობას ღებულობენ.) 10. კd3—b1! (პირველ შეხედვით ეს სვლა თითქოს არ ვარგა, რადგან თეთრები კარგავენ ტემპს ეტლ a1—ჩაკეტვის გამო, ნამდვილად კი ეს ასე არ არის: თეთრები დაკარგულ ტემპს იბრუნებენ a3-ს თამაშით და ამასთანავე არ აშორებენ შავებისთვის საშიშ კუს b1—h7 დიოგანალს, რასაც შავები ცდილობდენ, მაგ. 10. კe2) 10...., ეf8—e8? (გაუგებარი სვლაა? თუ კი შავებს სურთ ითამაშონ e5-ი, მათ ეს მოსამზადებელი სვლა სრულებითაც არ სჭირდებათ, შეეძლოთ პირდაპირ ეთამაშათ e5. როგორც პარტიის ვითარება გვიჩვენებს, შემდეგში ამ სვლით შავები კარგამენ ორ ტემპს.) 11. a2—a3, მb4—c6 12. ლd1—c2, მd7—f8 13. b2—b4, e6—e5 14. d4—d5, მc6—d8 15. e3—e4, მf8—g6 16. g2—g3 (აუცილებელია, რათა შავებს არ მიეცეს მf4-ს თამაშის საშუალება) 16...., ეe8—f8 17. ლc2—c3, f7—f5 18. e4 : f5, კc8 : f5 19. კb1:f5, ეf8:f5 20. ეa1—e1, მd8—f7 21. ლc3—d3, მf7—h6 22. მf3—d4! ეf5—f7 23. მd4—e6, მg6—f8 (შავები ცდილობენ მიიღონ მეფის ფრთაზე შეტევის შესაძლებლობა, რისთვისაც იძულებული არიან ეტლების გაორებისთვის f—ხაზზე გაცვალონ მხედარი მათი მიზნის შემფერხებელ მხედარ მe6-ზე, ხოლო ფიგურათა გაცვლით მეფის ფრთაზე შეტევის მიტანის შანსები თანდათანობით მცირდება, ამასთანავე თეთრებს შეუძლიათ ყოველ წამს c5-ს თამაშით გაარღვიონ შავების ლაზიერის ფრთა და აიძულონ ისინი თავდაცვაზე გადავიდნენ, ამას გარდა თეთრებს აქვთ საშუალება დააყენონ მხედარი ძლიერ e4—უჯრედზე.) 24. მe6 : f8 25. მd2—e4, ეf7—f5 (შავები მაინც ოცნებობენ შეტევაზე; სჯობდა ეტლების გაცვლა შემდეგი სვლით. 25...., ეf3! 26. ეe3, ე : e3 27. fe, ლe7) 26. f2—f3, ლf8—e7 27. c4--c5! ლe7—d7 28. ეe1—c1!, ეa8—f8 29. c5—c6, (თეთრები ვერ ამჩნევენ უბრალო ვარიანტს ხარისხის მოგებით 29. g4, ე f4 30. მg5, g6 და 31. მe6 მოყვანილ სვლას ტექსტშიც არა უშავსრა) 29...., b7:c6 30. ე c1:c6, ლd7—f7 31. მe4—d2, e5—e4 (უმწეო შეწირვა, იმ ანგარიშით, რომ თეთრები ითამაშებენ 32. fe, რასაც შემდეგში მოსდევს 32...., ე:f1+33. ლ:f1, ლh5 და შავები ღებულობენ დიდი შეტევის საშუალებას.) 33. ლd3:e4, ე f5:d5? (არ ვარგა, სჯობდა ეe5 და თეთრების სვლაზე ლc4, მf5) 33. ეc6:c7! ლf7:c7 36. ლe4:d5+, მფg8—h8 35. მd2—c4, ეf8—f5 36. ლd5—a8+, მh6—g8 35. ლa8—e4, ეf5—b5 38. ლe4—e6! (უმოკლესი გზა პარტიის მოგებისათვის, შავებმა უნდა დაკარგონ პაიკი, ან, როგორც პარტიაშიც, გასწიონ წინ პაიკი და დაკარგონ ხარისხი, შავები ირჩევენ უკანასკნელს) 38...., d6—d5. 39. მe4—d6, ლc7—b6+40. მფg1—g2, h7—h6 41. ლe6—d7! მg8—f6. 42. ლd7:b5, ლb6:d6 43. ლb5—d3 (დანარჩენი გასაგებია) 43...., ლd6—e5 44. ეf1—f2, მფh8—g8 45. ეf2—c2, მფg8—f7 46. a3—a4, ლe5—e1 47: ეc2—c7+, მფf7—g8 48. ეc7:a7, ლe1:b4 49. ლd3—g6, ლb4—f8 50. a4—a5, 50...., d5—d4 51. a5—a6, მფg8—h8 52. ლg6:g7+, ლf8:g7. 53. ეa7:g7, მფh8:g7 54. a6—a7, d4—d3 55. a7—a8ლ, d3—d2 56. ლa8—d8 და შავები დანებდნენ.

უკანასკნელი (მე-10) პარტიის ბოლო

თეთრები: გრიგორიევი—მფg2, ეc3, მf3 და პაიკი h4.

შავები: გოგლიძე—მფg6, ეe4, პაიკები: h5, e6, a4.

ეc3—c5, e6—e5! (უმოკლესი გზა ყაიმისთვის, შავები ვერაგზით ვერ ითამაშებენ მოგებაზე პაიკების გაიცალკევებულ მდგომარეობის გამო). 2. მf:e5+, მფg6—f5 3. მe5—f3+ (არაფერს არ იძლევიან სხვა სვლებიც, მაგ 3. მd7+, მფe6 4. მf8+, მფe7 5. მg6+, მფf6 6. ეc6+, ეe6 7. ეc4—ყაიმი ან ასე. 3. მd3+, მფg6 და პაიკი h4 იკარგება) 3...., მფf5—f4 4. მფg2—f2, ეe4—b4! 5. მf3—d2 (თეთრები უგებენ მახეს, რაშიც შავები მოყვნენ). 5...., მფf4—g4? 6. ეc5—g5+, მფg4—f4 (პაიკის აღება არ შეიძლება შამათის გამო ორ სვლაში. 7. ეg5:h5, ეb4—d4! 8. მფf2—e2, a4—a3? (პარტიის წამგები სვლა, 8....., მფf4—g3 თამაშით პარტია დამთავრდებოდა ყაიმით. მაგ., 9. ეg5+, ეg4 10. ე:g4, მფ:g4 ან 9. ეg5+, ეg4 10. მf3, a4—a3 ყაიმი).

—:—

ქრონიკა

— **დამთავრდა გროსმეისტერთა შეჯიბრება.** დაწყებული 11 ოქტომბერს ბერლინში პირველი ადგილი დაიკავა კაპაბლანკამ, რომელმაც მოაგროვა + $8^{1}/_{2}$ ქულა თორმეტიდან, მეორე ადგილი ნიმცოვიჩმა (+7), მესამე შპილმანმა (+6), შემდეგი — ტარტაკოვერმა (+ $5^{1}/_{2}$), რუბინშტეინმა და რეტიმ (+ 5) და ბოლოს მარშალი.

— **საჭადრაკო სექციის საბჭოს აღმასრულებელ ბიუროს** უკანასკნელ სხდომაზე გამოყოფილი იქნა კომისია, რომელიც დაამუშავებს საკითხს დიდ საერთაშორისო შეჯიბრის მოწყობის შესახებ მოსკოვში 1929 წლისათვის.

პროფკავშირთა შორის გუნდურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოდის საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირის გუნდი, მეორეზე—რკინის გზელთა გუნდი, მესამეზე—მშენებელთა გუნდი და ასე შემდეგ.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

დღეს, 11 ნოემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პროფკავშირების პირველი და მეორე ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

პირველ ნაკრებ გუნდში შედიან: **ბაბკოვი, ვორონოვი, დოლგოლევი, რამიშვილი, დ. მდივანი, ჩერეპჩენკო, ხომოვი, ასლამაზოვი, დოკოვი, მალალაშვილი და აივაზოვი.**

მეორე ნაკრებ გუნდში თამაშობენ **დ. ცომაია, მატიენკო, ტაჩილინი, გონელი, იამშონოვი** და სხვები.

შეჯიბრება დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე.

შეჯიბრება ტენისში

დღეს ფიზკულტურის თბილისის საბჭოს ტენის-მოედანზე (პლეხანოვის პრ. № 117) შესდგება პროფკავშირების გუნდების შეჯიბრების გაგრძელება. თამაში დაიწყება დილის 9 საათიდან.

„დინამო“-ს გამგზავრება

თბილისის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“ გაემგზავრა ბაქოში, სადაც ჩაატარებს რამდენიმე ამხანაგურ შეჯიბრებას. ბაქოდან გუნდს განზრახული აქვს ტაშკენტში გამგზავრება.

თბილისში დაბრუნების შემდეგ „დინამო“-ს შეჯიბრება ექნება გემო-კვების მუშაკთა კავშირის გუნდთან, რომელმაც პროფკავშირების პირველობა აიღო ფეხბურთში. აღნიშნული მატჩი გადასწყვეტს ქალაქის პირველობის საკითხს.

კინო-სცენარი ფიზკულტურელების ცხოვრებიდან

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მდივანმა ამხ. **ვ. კიკნაძემ** დასწერა ფიზკულტურული შინაარსის კინო-სცენარი, რომელიც განსახილველად გადაეცა საქართველოს სახკინმრეწვს.

ნარევი

„სახალხო კომისარის მეგობარი“

როგორც მოსკოვის „რაბოჩაია გაზეტა“ იუწყება, მიმდინარე წლის აგვისტოში ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის სამდივნოში მისულა ვინმე მოქ. **შჩელნოვი.** ფოსტა-ტელეგრ. სახალხო კომისარი ამხ. **ანტიპოვი** ამ დროს შვებულებაში იყო. შჩელნოვმა თავი ამხ. ანტიპოვის „უახლოეს მეგობრად“ გამოაცხადა და კომისარიატის თანამშრომლებს მოსთხოვა მოწმობა საბჭოთა კავშირის ყველა გზებზე უფასო სამგზავრო ბილეთის მისაღებათ.

საკმაო დარჩა შჩელნოვის ზეპირი განცხადება, რომ კომისარიატის თანამშრომლება ჯარისავით დატრიალებულიყვნენ და სახ. კომისრის „უახლოესი მეგობრისათვის“ საჩქაროდ დაემზადებიათ საჭირო მოწმობა.

„კომისრის მეგობარი“ შეუდგა მოგზაურობას საღაც არ მივიდოდა „სასტიკ რევიზიებს“ აწყობდა. იმოგზაურა მან კზილ-ორდა, ტაშკენტა და სხვ. ქალაქები, კზილ-ორდაში მან განაცხადა, რომ იქაში გაჩერდეს და იქვე მიიღო მოწმობა, რომ ის არის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის ინსპექტორი. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქების უფროსებს „ინსპექტორი“ სტუქსავდა, როგორც ბავშვებს. შჩელნოვი ყველგან პოულობდა „უწესრიგობას“, ილანძღებოდა მარჯვნივ და მარცხნივ და დასასრულ ითხოვდა... ფულებს „სესხად“.

ფოსტა-ტელეგრ. კომისარიატის რევიზორის მანდატი ჯადოსნურ გავლენას ახდენდა. შჩელნოვის წინაშე თრთოდენ. მან დიდი თანხა მოაგროვა, აწყარებდა „წესრიგს“ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში და ყველას უამბობდა თავის „მეგობრობას“ სახკომთან.

მაგრამ ერთ-ერთ დაწესებულებაში, სადაც შჩელნოვი „სარევიზიოდ“ მივიდა, ის დააპატიმრეს და მოსკოვში გაგზავნეს. შჩელნოვი აფერისტი აღმოჩნდა.

ფოსტა-ტელეგრ. კომისარიატის ზოგიერთ თანამშრომლებს მანდატის გაცემის საქმეში ასეთი გულუბრყვილობის გამოჩენისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა, ზოგი მათგანი მოხსნილია სამსახურიდან.

შრომის ბირჟაში

ორშაბათს, 12 ნოემბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

შავ მუშათა სექციიდან—სტეფანე კოლიაშვილს, ხაჩატურ გაზაროვს, ზაქარია სამორძაშვილს, მნაცაკანოვს, არაქელ ვათანიანს, ნიკოლოზ პაპიაშვილს, ვლადიმერ კუშაშვილს, ლეონ ბაგრამოვს, გიორგი წიარაშვილს, ნესტორ ტატიშვილს და ხაჩატუროვს.

მშენებელთა სექციიდან—კალისტრატე სუ[illegible]ვავას, საკოვს, მელიქიანს, ოლექსანიანს, მშელიურის, განჯოიანს, სტეპანიანს, მანუკიანს, არიუთინოვს, დანელიანცს, ბოცხვაძეს, დონიკეს, მეხაშვიშვილს, ადამიანს, ჯანიაშვილს, ხმალაძეს, ვართანიანს, სარქისიანს, აირაპეტ ვართანოვს, კირაკოზოვს, დავიდოვს, ბარსეგიანს, მხიტარიანს, გალახასიანს, ავეტიკოვს, ასპირ აგაჯანიანს, გოგოლაშვილს, ყურაშვილს, ნაკლიაშვილს, ხიზანაშვილს, რუბენ არუთინოვს, ნარსიას, მაჭავარიანს, ქურხულს, გოქსაძეს, სარქისიანს, გოგიაშვილს, გალდავაძეს, ნერსესიანს, კასრაძეს, ოგანეზოვს.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან. გრიგოლ ყუფარაძეს, დავით კობრეიძეს, ანდრო მალაშხიას, ალექსი ბირსკის, ევგენია ოუდინს, ამირაჯიბს, კონსტანტინოვს, ნინო გიოგიანცს, ტალინა ორნასტკაიას, ალექსანდრე ოსიპოვს, ვიორგი მეძმარიაშვილს, არგუთინსკი-დოლგორუკოვს, ელენე ჩილინგარიანს, მირიმანოვს, ნინო მჭედლიძეს, რუბენ აასიანს, ალექსანდრე ლაზაროვს, ივანე გულისაშვილს, გუტენგერფს, ნინო მჭედლიძეს, რუბენ აგასიანს, ალექსანდრე ნაზაროვს, ივანე გულისაშვილს, ამავე სექციაში მიღებულია მოთხოვნილება 2 სტატისტიკოსზე, რომლებმაც უნდა იცოდნენ დიაგრამების შედგენა. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება ამხ. ნიკოლაიშვილთან.

კვალიფიკაციურ მუშაკთა სექციიდან. ნიკოლოზ დიმიტრიევს, მელიქ-ხაჯაევს, პოგოსი სარქისოვს, ივანე პერეპიოლის, გიორგი ჭელიძეს, სარაჯევს, სედრაკ მარკოსიანს.

რადიო-გადაცემა

კვირა, 11 ნოემბერი

დღეს, 11 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: პიონერთა რადიო-გაზეთი; გლეხთა რადიო-გაზეთი; კონცერტი სტუდიიდან.

საღამოს: კომკავშირის რადიო-გაზეთი; მოხსენება წითელი ჯვრის სამდღეურზე; ტექნიკური კონსულტაცია; ოპერა „ლაკმე“-ს მუსიკალური ახსნა-განმარტება; „ლაკმე“-ს ტრანსლიაცია სახელმწიფო ოპერიდან; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

ორშაბათი, 12 ნოემბერი

წითელარმიელთა რადიო-გაზეთი; მუშათა რადიო-გაზეთი, საუბარი აგრონომიაზე; საუბარი „მუცლის სახადი და მასთან ბრძოლის ღონისძიებები“; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტი სტუდიიდან.

პარტიული კალენდარი

საქ. კომპარტიის ცეკას მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება, ორშაბათს, 12 ნოემბერს, დილის 10 საათზე **იწვევს თათბირს** ნაციონალურ უმცირესობებით დასახლებულ მაზრებში ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის საკითხის განსახილველად. ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: **ნინა მახარაძე** (განათლების კომისარიატი), **იმედაძე** (მთავარი პოლიტგანი), **დიმოევი** (საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი), **ფოთოევი, თენიეშვილი, ჩერქეზიშვილი** (საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება).

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ძველს და აგრეთვე ახლად მიღებულ კომპარტიის წევრებს და კანდიდატებს, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ბიურო-კოლექტივში აღრიცხვაზე გასატარებლად საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ყველა სტუდენტებს, რომლებიც ითვლებიან კომპარტიის წევრებად და კანდიდატებათ და ირიცხებიან სხვა უჯრედებში, სამი დღის განმავლობაში ჩამოსცილდნენ მათ და გატარდნენ აღრიცხვაზე პოლიტ. ინსტიტუტის ბიურო-კოლექტივში საღამოს 5-დან 8 საათამდე.

სამშაბათს, 13 ნოემბერს დილის 9 საათზე მოწვეულია (საქ. კომპ. ც.კ. შენობაში—პარტიის ოთახში № 27) საქ. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიუროს და ც.კ. მიერ დანიშნულ წევრთა გადამსინჯავი კომისიის შეერთებული სხდომა. უნდა დაესწრენ: ამხ-ბი ტოროშელიძე მალ., ბოლქვაძე ვანო, ელენტი თენგიზ, სტურუა ვანო, სუხიშვილი ლადო, თოდრია სილ., ფირცხალავა ანდ., ლეჟავა შამშე, ნაზარეტიანი ამაიაკ, სტურუა გიორგი და ყურულიშვილი გიორგი.

გულმოკლულნი დედა ეფემია, მეუღლე ოლღა და დები მარიამი, ნინო, ევგენია (ჟენია) და სიძე ბიქტორ ჟვანია აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ახლობელთ მათთვის დაუვიწყარ, ერთად-ერთი იმედის ექიმ

ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 10 ნოემბერს გარდაცვალებას ქალ. მე-2-ე საავადმყოფოში (ყოფ. ალექსანდრეს) საიდანაც გადმოსვენებული იქნება კვირას, 11 ნოემბერს, დილის 11 საათზე საკუთარ ბინაზე, მატინოვის ქ. № 1. სამოქ. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა სამშაბათს 13 ნოემბერს ნაშუადღევს 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. (ა)

თბილისის უნ`ვერსიტეტის შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალური კლინიკა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 10 ნოემბერს საღამოს 5 საათ. 30 წ. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კლინიკის ასისტენტი, თავდადებული და ერთგული მუშაკი

ექიმი ალექსანდრე მამულაიშვილი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული (შ)

დამწუხრებული ცოლი პელაგია შვილებით: საშა, ვალოდია, თამარი, ნინო დიდ მადლობის უძღვნიან მათ, ვინც პატივი სცა და აუწყებენ, რომ კვირას 11 ნოემბერს

ნოე შათირიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად ავლაბრის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4822

მწარე ხვედრით დატანჯული მშობლები ვარდო და მაკარი, დები—ცისანა და ჟენია ბაბუა—ალექსანდრე, ბიძები—სერგო და სოსო მასხულიები, ბიცოლები—კატო და ნინა, დეიდა სარა ლომაძისა მეუღლე კოდრატით, მატრონა თევდორაძისა და ჯულიეტა იუწყებიან,

პატარა გიზო ქილიფთარის

გარდაცვალებას დაკრძალვა კვირას, 11 ნოემბერს ქ. ოზურგეთში 4828

ღრმად დამწუხრებულნი—მეუღლე ფარნაოზ მამფორია, შვილები: ანა საყვარელიძე, ელისაბედ ღოლობერიძე, ლუბა მამფორია, ვარლამ ჩხეტია, სიძე—გრიგოლ ღოლობერიძე და რძალი ბაბილინა ჩხეტიასი, შვილისშვილები: თამარ (გოგუცა) საყვარელიძე, დარეჯან, რუსუდან და თინათინ ღოლობერიძენი აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

მართა ანტონის ასული მამფორია

გამოსვენება მოხდება (ქ. ქუთაისში) საკუთარი ბინიდან (ჯულაშვილის ქ. № 15), სამშაბათს, 13 ნოემბერს, დღის 3 საათზე ოლასკურის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე. ნ. 1815

დამწუხრებული დედ-მამა მარიამი და ბიქტორი შვილებით და ბებია მართა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ნოემბრის 11-ს დღის 1 საათზე ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი

ელეონორა (ნორიკო) ბიქტორის ასული ჯაფარიძის

მოსაგონებლად ნ. 1819

რუსთაველის სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, 13 ნოემბერს, უკანასკნელი ღია წარმოდგენა

„ანზორ“ ალ. შანშიაშვილის.

დადგმა ალ. ახმეტელის. მუსიკა ი. გოკიელის.

კონსტრუქცია ირ. გამრეკელის. დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები თეატრის სალაროში დილ. 11—3 ს. ‐ საღ. 6—10 საათ.

ანონსი: 18 და 20 ნოემბერს, პრემიერა – **„ხოჭოების დოლი“** მეორე სააბონემენტო წარმოდგენისათვის. მე-3 გადასახადის უკანასკნელი ვადა—16 ნოემბრამდე—რის შემდეგ გაუნაღდებელი აბონემენტები გაყიდული იქნება.

2—1 ნ. 1800

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, აბონემენტის გარეშე **ლაკმე** ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა.

ლაკმე—ლენინგრადის ყოფ. მარინეს თეატრის მსახიობი ვ. მ. აფრამეევი, ჯერალდი—მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობი ა. ი. ალექსეევი, ნილაკანტა—დამსახ. არტისტი ვ. ა ნიკოლსკი, ფრედერიკი—პ. ა. პავლოვსკი. 13-ს მეორე აბონემენტის პირველი წარმოდგენა ქ. გ. დერჟინსკაიას მონაწილეობით **პიკის ქალი**

ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი გაიყიდება ჩვეულებრივი წესით. დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

ნ. 1811

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, კომპოზიტორ **პ. მ. ჩაიკოვსკის**

გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების აღსანიშნავად

შესდგება

სასწრაფო სიმფონიური კონცერტი

ა. ვ. პავლოვ-არბენინის ხელმძღვანელობით

თბილისის ოპერის მსახიობთა და ორკესტრის და მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერების ქ. გ. დერჟინსკაიას (სოპრანო), ა. მ. ალექსეევის მონაწილეობით. (დაწვრილებით ცალკე აფიშებში).

ნ. 1812

სახქინმრეწვის კინოთეატრები		[illegible]
განთიადი	უპრაზია 1 და 2 სერია ერთად	უპრაზია 3 და 4 სერია
არფასტო	საუკეთესო ბოევიკი ჩემი შვილი რეჟ. ჩერვიაკოვი. მთ. როლ. ანა სტენ და გ. მიჩურინი	მეორე კვირას
სოლეი		მიდის ეკრანზე
პალასი	თქვენ დათხოვნილი ხართ	მამა სერგი
აპოლო	მისი კაპრიზი ოსი ოსვალდის მონაწილეობით	2 კვირას ეკრანზე
მინიონი	მოსამსახურე ყველაფრისათვის	თქვენ დათხოვნილი ხართ
დარბაზი	კაცი № 14	კლოდ დიუვალი
პროლეტარი ავლაბარი	ბოროტმოქმედების დალი	18--28

0—6

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს, კვირას, 11 ნოემბერს,

დიდი სანახაობანი

ფართო მრავალმხრივი პროგრამით 3 განყოფ.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

კვირას, 11 ნოემბერს, დღის სანახაობანი

ბავშვთათვის

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. ბავშვები უფასოდ. დაწვრილებით აფიშებში! წაიკითხეთ!!

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი,
ნ. 1799 2—2. მმართველი მ. ი. ტადე

ჩამოვიდა და დღეიდან ღიაა ყოველდღე

დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე

„ჟოკეი კლუბის“ (ყ. არტოს) ბაღში

საბჭოთა კავშირში უდიდესი

მოძრავი სამეცნიერო-საჩვენებელი

სამხეცე „ცხოველთა სამეფო“ ნატურალისტ ზოოლოგის გ. ი. ბოიკოს ხელმძღვ-ბით

ღიდძალი ყოველგვარი ზღვისა და ხმელეთის იხვები, ფრინველები, მაიმუნები, ქვეწარმავლები. მხეცების კვება საღამოს 9 საათზე. ნ. 1777

„პალას“-ში ორშაბათიდან 11 ნოემბრიდან კინო თეატრ „პალას“-ში

„პალას“-ში

მამა სერგი

ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოების მიხედვით

„პალას“-ში მოზჟუხინის და ორლოვას მონაწილეობ. „პალას“-ში

ნ. 1820



სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები

1. მ. კახიანი—Наши недочеты и задачи Компартии Грузии. —40
2. მ. კახიანი—ჩვენი ნაკლოვანებები ‐ საქ. კომპარტიის ამოც. —40
3. ლ. ღოღობერიძე—საწარმოებში მასიური მუშაობის შესახებ —25
4. თ. ჟღენტი—რ.ს.-დ.მ.პ., მეორე ყრილობის მოკლე მიმოხილვა —50

ნ. 1814 3—1

„მეჟრაბპომ-ფილმ“-ის კინო სურათი

რესპუბლიკის სახალ. არტისტები

ვ. ი. კაჩალოვი
ვს. ე. მეიერხოლდი

მსოფლიო ფილმში

თეთრი არწივი

მალე საუკეთესო კინო-თეატრებში.

ნ. 1828

კვირას, ნოემბერს 11, დილის 10 საათზე გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში (რუსთველის პროსპ. № 34)

დანიშნულია

გაზეთზე ხელის მოწერის შემკრებ აგენტების **კრება**

დასწრება სავალდებულოა.

2—1 მთავარი კანტორა.

ლიკვიდკომი ამასთანავე აცნობებს სახელმწიფო დაწესებულებებს ‐ კერძო პირთ, რომ შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების საგანგებო კონფერენციის დადგენილებით

ხდება ზემოხსენებულ საზ. ლიკვიდაცია

ამიტომ ყველა პრეტენზიები საზოგადოების მიმართ შემოტანილ უნდა იქნეს ლიკვიდკომში არა უგვიანეს ა. წ. 10 დეკემბრამდე პლეხანოვის პრ. № 66 მისამართით, რომელ რიცხვის შემდეგ არავითარი პრეტენზიები ლიკვიდკომის მიერ არ იქნება მიღებული. ლიკვიდკომის მუშაობა სწარმოებს 1929 წლ. იანვრამდე.

4825 ლიკვიდკომი.

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა

იბეჭდება და გამოვა ნოემბრის დამლევისათვის

ქართულ ენაზე 1929 წლ.

მაგიდის და კედლის კალენდრები

(„სახელგამი“-ს და „შრომა“-ს გამოცემა). შეკვეთებით მიმართეთ სახელგამის მაღაზიებს თბილისში და პროვინციაში. ნ. 1813

იყიდება სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 თვალი წაბლის, დადგმული, მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—1 „კომუნისტ“-ს მთავარი კანტორა.

ქალაქის ვენეროლოგიისა და დერმატოლოგიის ინსტიტუტი (კამოს ქ № 34)

ამა წლის 12 ნოემბრიდან აწარმოებს ავადმყოფთა მიღებას ამბულატორიაში გარდა დილისა—საღამოთიც.

ავადმყოფთა ჩაწერა მხოლოდ 5 ნახ. ს—დე. 4828

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.

ელსმენი—11—78. ნ. 25—2

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12 ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35

25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 —12—საღ. 7 $^{1}/_{2}$—8 $^{1}/_{2}$ საათ

ტელეფ.—12—67. ნ. 3 25—2

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 13.2

13—1 ნ. 1809

ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ 20 ამ ნოემბერს მის მიერ დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** პავლე ქაცარავას მოძრავი ქონების—ერთი ბუფეტის შკაფის გასაყიდათ შკაფი შეფასებულია 74 მან. ვაჭრობა გაიხსნება დილის 11 საათზე; გიორგი ექვთიმეს-ძე კუკულავას მოძრავი ქონების ერთი ზინგერის საკერავი მანქანა № 1341730 შეფასებული 64 მან. 68 კაპ. საჯარო ვაჭრობა გაიხსნება აკაკი წერეთლის ქუჩაზე დღის პირველ საათზე და მელანია აბულაძის მოძრავი ქონების ბუფეტის შკაფის, რგვალი მაგიდის და სუვების შეფასებულს 96 მან. საჯარო ვაჭრობა გაიხსნება დღის 2 საათზე. ყველა ზემოაღნიშნული მოძრავი ქონება აწერილია ქუთაისის სამაზრო აღმასკომის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. ნ. 1816

ცაგერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ნემსაძე

ამით აცხადებს, რომ ის 16 ნოემბერს, 1928 წ., დღის 1 საათზე სოფ. ორბელს **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ივანე გიორგის-ძე გვიშიანის მოძრავ ქონებას: ერთ ბეღელს—გადასატანათ, ორ ხორგოს, ერთ შკაფს, ორ ნოხს, ერთ ხელით საკერავ მანქანას, ერთ ვენახის სარწყავ, ერთ საწპერავ, ერთ ყურძნის საწნეხ მანქანებს და სხვა საოჯახო ნივთებს; შეფასებულს 610 მანეთად, მოქ. პარმენ ვარდენის-ძე გელოვანის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად მესტიის უბნის სახ. სასამართლოსაგან 27 ივლისს 1928 წ. თარიღით № 494, გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. ნ. 1817

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90.

ნ. 4 25—1

ექიმი

დარეჯან ე. თბეხიშვილი-

კაკუბერი

სიფილისი, ვენერიული ‐ კანის სნეულება სემიონოვის (ვარდცისის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,

მიღება დილის 8—9 საათ საღამ. 5—8 საათ.

ექიმი

ტერ-ოვაკიმოვი

დაბრუნდა ‐ განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: **სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი.** (ფსიხიოტერაპია)

ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ.; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ყორისის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე

შეღავათიან ფასებში

სწარმოებს ყოველგვარ **ხელოვნურ კბილების ჩასმა**

და

პროტეზების მომზადება.

მიიღება ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ხოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ტელ. 14—23. 4829 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესანგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

25—1 ნ. 5

დაკარგვი: პარტ.-საკანდიდატო ბი ეთი № 20387 ნინა ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ. 4830

დაკარგვი: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 12873 მიხეილ ჩუბინიძის სახელზე, ჩ. გ. 4831

დაკარგვი დახმარების მოწმობა № 2210, გაცემული სოც უზრუნველყოფის განყოფილებიდან. ძართა თოიძეს სახელზე, ჩ. გ. 4809

დაკარგვი საწევრო წიგნაკი № 17145 თედო იობისძე შავიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4820

დაკარგვი: კავშირის წიგნაკი № 172630, მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 756 და ყვადო პირადობის მოწმობა გიგო გიორგის ძე ჯანდუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4819

დაკარგვი: მოწმობა მიღებული თბ. ას. სამეურ. ტეხნიკუმიდან № 2603 გერასიმე ქავჟარაძეს სახელზე, ჩ. გ. 4824

დაკარგვი: უმუშევრობის წიგნაკი ვლადიმერ მიხეილისძე გავაშელის სახელზე, ჩ. გ. 4823

დაკარგვი: ზუგდიდის ს. ა. ლ. ქ. კ. ორგანიზაციის მანდატი № 39386 მამია სანაიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1818

დაკარგვი: საბჭ. და სავაჭრო მუშაკების საწევრო წიგნაკი № 20281 ბუხუტი ბესარიონის ძე დარასელიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1818

დაკარგვი: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პ/კავშირის საწევრო წიგნაკი № 2061 ბიქტორ შონიას სახელზე, ჩ. გ. 4834

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.